

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
სამხედრო-საზღვაო ძალები

სამხედრო-საზღვაო
პროტოკოლი
და ცერემონიალი

თბილისი
2005

ძალაში შესულია საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
№ ბრძანებით

რედაქტორი
კონტრადმირალი ა. ჯავახიშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
პირველი რანგის კაპიტანი გ. გალდავა
პირველი რანგის კაპიტანი ბ. შენგელია
მეორე რანგის კაპიტანი ზ.ერქვანია
უფროსი მიწმანი ნ. გეგეჭკორი

მეორე გამოცემა

გადამუშავებული და გამოსაცემად მომზადებულია
დ. ვარძელაშვილის მიერ

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს სამხედრო პოლიტიკა თავდაცვითი ხასიათისაა. საქართველოს არ გააჩნია სხვა სახელმწიფოების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და არ ისახავს მიზნად მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. მათი ძირითადი სტრატეგიული მიზანი ნებისმიერი სახის აგრესიის შეკავება, აუცილებლობის შემთხვევაში კი საერთაშორისო თანამეგობრობისგან დახმარების მიღებამდე, მოგერიებაა.

შესავალი

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ვითარდება საერთაშორისო განვითარების კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით. უცხო ქვეყნებთან ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოება-განვითარებასთან ერთად მყარდება და ვითარდება სამხედრო კონტაქტები, სადაც ერთ-ერთი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები არის ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი საშუალება. ასეთი პოლიტიკის გატარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საქართველოს სამხედრო ზომალდების ვიზიტი საზღვარგარეთის პორტებში.

დღეს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა სამხედრო-საზღვაო ძალების ზომალდების ვიზიტს უცხო ქვეყნების პორტებში. ასეთი მიმოსვლები და საქმიანი ვიზიტები უნერგავენ უცხო ქვეყნების ხალხებს ერთმანეთის მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებისადმი სწრაფვას, ეცნობიან ერთმანეთის მიღწევებს, ცხოვრების ხასიათს, კულტურასა და სხვა.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობა სხვა ქვეყნებში ვიზიტის დროს, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, აღამაღლებს თავისი ქვეყნის პრესტიჟს, კუთვნილი წვლილი შეაქვს ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, სამხედრო ზომალდს შეუძლია იყოს ღია ზღვის წყლებში, ტერიტორიულ და რომელიმე სახელმწიფოს შიდა წყლებში, გაიაროს სრუტეები და მსოფლიო ოკეანის სხვა ნაწილები. აღნიშნულ საზღვაო სივრცეთა სამართლებრივ რეჟიმს აქვს საკუთარი თავისებურებანი და ეს ახდენს გავლენას სამხედრო ზომალდის ცურვასა და მოქმედებაზე. ამავე დროს, თვით სამხედრო ზომალდის სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მის მოქმედებას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც აუცილებელია უცხოეთის სამხედრო ზომალდებთან ან ხელისუფლებასთან, გარკვეულწილად, სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმა.

სამხედრო ზომალდს, თავისი განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობით ღია ზღვაში, ტერიტორიულ წყლებში და უცხო სახელმწი-

ფოთა პორტებში, აქვს თავისებური იმუნიტეტი, რომლის საფუძველშიც ჩადებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით აღიარებული დებულება, სუვერენულ უცხო სახელმწიფოთა პატივისცემის შესახებ, რომელიც გამოდინარეობს ყველა სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან და რომელიც განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სახელმწიფო იურიდიულად თანასწორია და როგორც საერთაშორისო ერთიანობის წევრებს, აქვთ ერთნაირი უფლებები და მოვალეობები. რაც შეეხება სამხედრო ხომალდებს – მიუხედავად რანგისა, ერთი სახელმწიფოს სამხედრო ხომალდებს არავითარი უფლება გააჩნიათ სხვა სახელმწიფოს სამხედრო ხომალდების მიმართ, მიუხედავად იმისა, მსოფლიო ოკეანის რომელ წყლებში იმყოფებიან ეს ხომალდები. საქართველოს სამხედრო ხომალდებისათვის ეს დებულება განმტკიცებულია სამხედრო-საზღვაო სახომალდო წესდებით.

სამხედრო ხომალდებისათვის დამახასიათებელი იმუნიტეტის საფუძველზე, უცხო ტერიტორიულ და შიდა წყლებში, აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნების პორტებში და ნავსაყუდლებში, მათზე არ ვრცელდება არც ერთი ქვეყნის კანონის მოქმედება და სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილება, გარდა იმ ქვეყნისა, რომლის დროშითაც დაცურავს ხომალდი. საზღვარგარეთ პორტში მყოფი ხომალდის პირადი შემადგენლობა პასუხისმგებელია საკუთარ ხომალდზე ჩადენილ ქმედებებზე, იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის დროშითაც დაცურავს ეს ხომალდი.

სამხედრო ხომალდის მეთაურის ნებართვის გარეშე არა აქვთ ხომალდზე ასვლის უფლება, უცხო სახელმწიფოს ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლებს. ყველა კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა ხომალდსა და უცხოეთის პორტების ხელმძღვანელთა შორის, თუ მათი მოგვარება ადგილზე შეუძლებელია, უნდა დარეგულირდეს დიპლომატიური გზით.

სარეგებლობს რა უცხოეთის იურისდიქციისაგან თავისუფლებით, ამავე დროს, სამხედრო ხომალდებს არა აქვთ უფლება ჩაიდინონ რაიმე ქმედება, რომელიც დაარღვევს უცხო ქვეყნის სუვერენიტეტს. მათ პატივი უნდა სცენ იმ ქვეყნის კანონებს და წესებს, რომლის პორტშიც იმყოფე-

ბა ზომალდი, აგრეთვე დაიცვან საერთაშორისო პრინციპები და ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ უცხო ქვეყნების სამხედრო გემებსა და ხელი-სუფლებას შორის ურთიერთობას. უცხოეთის ქვეყნის იურისდიქციისაგან თავისუფლება არ აძლევს უფლებას ზომალდის მეთაურს, ჩაიდინოს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

სამხედრო ზომალდების ვიზიტის დროს, უცხო ქვეყნების პორტებში პასუხისმგებელ პირებთან უშუალო კავშირში შედიან — რაზმის მეთაურები და უცხო ზომალდის მეთაურები. უცხო ქვეყნის პორტში, რაზმის მეთაური (ზომალდის მეთაური) უფლებამოსილია გამოვიდეს თავისი სახელმწიფოს წარმომადგენლის რანგით და ვალდებულია ყველანაირად დაიცვას მისი ავტორიტეტი. უცხო ქვეყნის პორტში ყოფნისას, აღნიშნული პირები ხელმძღვანელობენ საეიზიტო პროგრამით და ყველა მოქმედებას, რომელიც ეხება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, ათანხმებენ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ან სამხედრო ატაშესთან, დიპლომატიურ ან საკონსულოს წარმომადგენელთან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების უმაღლეს ხელმძღვანელობასთან.

რაზმის მეთაური და ზომალდის მეთაური უზრუნველყოფს წესდებების მოთხოვნათა აუცილებელ შესრულებას — ბრძანებების, ინსტრუქციების, საერთაშორისო აქტების დაცვას სამეზღვაურო საკითხებში — კანონების, წესებისა და ჩვეულებების შესრულებას, იმ ქვეყნის მიერ დადგენილს, რომელშიც იმყოფებიან და რომელიც ეხება უცხო სამხედრო ზომალდების მიერ მოცემული ქვეყნის წყლებში და პორტებში ყოფნისას, მისი საპორტო, საბაჟო, პოლიციის, სანიტარული და რადიოტელეგრაფის წესებს, ამავე დროს მხედველობაში იქონიოს ის, რომ უცხო ქვეყნების კანონების დაცვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ღირსებასა და ინტერესებს.

დიპლომატიურ და საკონსულოს წარმომადგენელთაგან აუცილებელი მონაცემების მიღების შემდეგ, სამხედრო ზომალდის მეთაურები უნდა ცდილობდნენ, რომ მთლიანად ფლობდნენ სამეზღვაურო საკითხებისა და ეროვნული კანონმდებლობის ინფორმაციას, საპორტო წესებს, შიდა და ტერიტორიული წყლების სამართლებრივ რეჟიმს, სპეციალურ

საზღვაო ზონებში ცურვის წესებს, ადგილობრივ ეროვნულ, ისტორიულ, კულტურულ, საყოფაცხოვრებო და რელიგიურ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებების ეტიკეტს, რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის ფლოტში.

ყველა საკითხში, რომელიც ეხება ცერემონიალსა და პროტოკოლს, რაზმის მეთაურები (ხომალდის მეთაურები) კონსულტაციას გადიან სამხედრო-საზღვაო ატაშესთან ან საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთან და აგრეთვე იმ ქვეყნის მაკავშირე ოფიცერთან, რომელ ქვეყანაშიც იმყოფებიან. ამას გარდა, ხომალდის მეთაური მაკავშირე ოფიცრის მეშვეობით წყვეტს სხვა საკითხებსაც, რომლებიც მოითხოვენ უცხო ქვეყნების ხელისუფლებასთან შეთანხმებას.

სამხედრო ხომალდების უცხო ქვეყნების პორტებში ვიზიტებისას უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეული წესი, რომელიც დაკავშირებული იქნება საოქმო ღონისძიებებთან და დაეყრდნობა საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულ პროცედურებს.

დიპლომატიური პროტოკოლი არის ყველას მიერ მიღებული წესების, ტრადიციებისა და ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც დაცულია მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებების, დიპლომატიური, სავაჭრო, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლების მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ წესებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პასუხისმგებელი პირების ვიზიტების მოწყობას. გარდა ამისა, დიპლომატიური პროტოკოლის მიხედვით გათვალისწინებულია მოლაპარაკებების, პრესკონფერენციების, საუბრების, ოფიციალური და პირადი მიწერ-მოწერის მსვლელობის, ამა თუ იმ ოფიციალური შემთხვევებისათვის გათვალისწინებული ჩასაცემელი ფორმის ტარების, დიპლომატიური ეტიკეტის წესები — ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებსა და საზღვარგარეთ მათ წარმომადგენლებს შორის ნორმალურ ურთიერთობებს.

დიპლომატიურ პროტოკოლში დიდი ადგილი ეთმობა დიპლომატიურ ეტიკეტს, ე.ი. დიპლომატიებისა და სხვა ოფიციალური პირების ყოფაცქევის წესებს დიპლომატიური ღონისძიებების დროს (მოლაპარაკებებისას, ვიზიტებისას, დელეგაციების მიღება-გაცილების დროს და ა.შ.). ეტიკეტი შეიცავს ნორმებსა და ჩვეულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის

კულტურასთან, (საზოგადოებაში მოქცევის კულტურა და სტუმრების მიღება, მაგიდასთან ქცევის კულტურა, საუბარი, საკუთარი აზრების მართებულად გადმოცემა და ა.შ.)

დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის წესები ატარებენ საერთაშორისო ხასიათს და საყოველთაოდ მისაღებია ყველა ქვეყნისთვის. დიპლომატები და სხვა ოფიციალური პირები, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრები ვალდებული არიან დაიცვან დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის მხოლოდ ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ხალხთა ურთიერთპატივისცემის ნორმებს. მაგ.: სხვადასხვა ცერემონიალებში მონაწილეობის მიღებისას, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში ატარებენ რელიგიურ ხასიათს (გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა დაკრძალვა, ომში დაღუპულთა საპატივცემლოდ ჩატარებული ცერემონიალი და სხვა), ოფიციალური წარმომადგენლები მიიტანენ ყვავილების გვირგვინებს და ჩაატარებენ ყველა ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურ ღონისძიებებთან.

ეტიკეტი, რომელსაც აუცილებლად ითვალისწინებენ სამხედრო მოსამსახურეები სხვადასხვა მიღებებზე, წვეულებებზე და ანალოგიურ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება სამხედრო ზომალდების საზღვარგარეთა პორტებში ვიზიტისას, უნდა წარმოადგენდეს საერთო მოქალაქეობრივ, დიპლომატიურ და სამხედრო ეტიკეტს.

სამხედრო ზომალდების უცხო პორტებში შესვლისას საოქმო ღონისძიებების გარდა ტარდება, აგრეთვე არაოფიციალური ხასიათის ღონისძიებანი, ისეთი, როგორიცაა მასპინძელი ქვეყნის მეზღვაურებთან შეხვედრა, კონტაქტი ქალაქის საზოგადოებასთან, ხელისუფლებასთან და ზოგ შემთხვევაში ამ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობასთან. ასეთ შეხვედრებზე საოქმო ღონისძიებებსა და ეტიკეტს გააჩნია ზოგიერთი თავისებურება და როგორც წესი დემოკრატიული და უბრალო ხასიათი აქვს. ეს აიხსნება ვიზიტების თავისებურებებით, ფორმალური დიპლომატიური ოქმისაგან გადახრის შესაძლებლობებით, რომლებიც მეგობრულ ვიზიტებს ზიანს არ მიაყენებს. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამხედრო და საერთო საზოგადო ეტიკეტის დაცვას, ეს ნორმა არაერთგვარ გადახრებს არ ითვალისწინებს, რადგანაც ამან

შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში საქართველოს) პრესტიჟს, ავტორიტეტს. ცნობილია, რომ უცხოეთში ყოფნისას სამხედრო მოსამსახურეთა ქცევის კულტურით გარკვეულწილად მსჯელობენ, საერთოდ, ხალხის კულტურაზე.

სამხედრო-საზღვაო ცერემონიალთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულებისას, პირადი ვიზიტით, აგრეთვე ოფიციალურ პირთათვის პატივის მიგებისას, უცხო პორტში ვიზიტის დროს ხომალდზე მყოფთათვის და სხვა საოქმო ღონისძიებებისას, აუცილებელია საწესდებო მოთხოვნათა პუნქტუალური შესრულება, აგრეთვე საოქმო წესებისა და დიპლომატიური ეტიკეტის ნორმების დაცვა.

აღნიშნული მდგომარეობა ავალდებულებს პირად შემადგენლობას და პირველ რიგში, რაზმის მეთაურებსა და ხომალდთა მეთაურებს, გარკვევით იცოდნენ და ასრულებდნენ გათვალისწინებულ ნორმებსა და წესებს.

ამ წიგნში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება სამხედრო ცერემონიალსა და ეტიკეტს, გათვალისწინებულია სამხედრო ხომალდების სამშვიდობო ლაშქრობათა გამოცდილება, აგრეთვე გაშუქებულია დიპლომატიური ოქმისა და ეტიკეტის ის წესები, რომლებიც გამოიყენება სამხედრო ხომალდების უცხო პორტებში ვიზიტისას. ამის მიუხედავად, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ პროტოკოლი და ეტიკეტი, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, საკმაოდ მოძრავია და შეიძლება, კონკრეტული პირობების შესაბამისად, განიცადოს ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით საპროტოკოლო წესების ყველა ნიუანსის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ამიტომ ასეთი ვიზიტების მომზადებისას საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცრებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ წესდებები და სხვა სახელმძღვანელო საბუთები, არამედ გაეცნონ სხვა ლიტერატურასაც, რომლებიც ზემოჩამოთვლილ საკითხებს აშუქებენ.

თავი I

უცხო პორტებში სტუმრობა. საოქმო ლონისძიებები და ეტიკეტი

1. სამხედრო ხომალდების უცხო პორტებში სტუმრობის სახეობები

ცურვაში მყოფი ნებისმიერი სამხედრო ხომალდის მოქმედებაში, შეიძლება წარმოიქმნას სამხედრო-დიპლომატიური ხასიათის საკითხი. მაგალითად, უცხო წყლებში* და პორტებში სტუმრობისას, სამხედრო ხომალდი, არც თუ იშვიათად, ემსგავსება უცხოეთთან ურთიერთობის სახელმწიფო დიპლომატიურ ორგანოს. ამასთან ერთად, როგორც წესი, წინ წამოიწევა წარმომადგენლობითი ფუნქციები, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოს, ამ განსაკუთრებული, ორგანოსათვის. დონე, რომლითაც ხორციელდება ურთიერთობა ასეთი წევრების დროს, დამოკიდებულია ვიზიტის ხასიათზე, რაზმის შემადგენლობაზე, ხომალდზე მთავრობის წარმომადგენელთა ან უმაღლეს სამხედრო პასუხისმგებელ პირთა ყოფნაზე და სხვა გაუთვალისწინებელ ვითარებებზე.

უცხო წყლებში და პორტებში სამხედრო ხომალდებით სტუმრობა ხორციელდება საერთაშორისო-საზღვაო სამართლისა და სანაპირო სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხო წყლებში და პორტებში შესვლა სამხედრო ხომალდებით, მათ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისად იყოფა: ოფიციალურ და არაოფიციალურ ვიზიტებად, საქმიან და იძულებით ვიზიტებად.

ოფიციალურ ვიზიტებს აქვს წარმომადგენლობითი მიზნები და მიმართულია უცხო ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ. როგორც წესი, ვიზიტები ეწყობა ერთი სახელმწიფოს განცხადებით და მეორე სახელმწიფოს თანხმობით. ოფიციალურებს განეკუთვნება ის ვიზიტებიც, რომლებიც ტარდება განსაკუთრებულ

* - უცხო წყლებში - აქაც და შემდგომიც იგულისხმევა საზღვაო სივრცე, რომელზეც ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოების სუვერენიტეტი.

ეროვნულ, ან საერთაშორისო მოვლენებთან, ან ზეიმებთან, სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის წარმომადგენლობის, ან უმაღლესი სამხედრო პასუხისმგებელი პირის, ხომალდით უცხო ქვეყნის პორტში შესვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ოფიციალური ვიზიტები ეწყობა წინასწარ შეთანხმებულ, დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის პროგრამის შესაბამისად, რომელიც შეიცავს პასუხისმგებელ პირთათვის პატივის მიგების წესებს და ოფიციალური ცერემონიების შესრულებას. მხარეთა შეთანხმებით, ვიზიტები შეიძლება გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

არაოფიციალური ვიზიტები ტარდება სასწავლო-სამეცნიერო ან სხვა მიზნებით და ითვალისწინებს ადგილობრივ ცერემონიებში მონაწილეობის მიღებას. ამ შემთხვევაში საოქმო ღონისძიებანი შეზღუდულია მინიმუმამდე — პირადი ვიზიტები და მიღებები. არაოფიციალური ვიზიტები ტარდება მხარეთა შეთანხმებით. ამ ვიზიტებში შეიძლება მიიღონ მონაწილეობა ყველა კლასის ხომალდებმა და გემებმა, მაგრამ უფრო ხშირად, მონაწილეობას ღებულობენ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ხომალდები.

არაოფიციალური ვიზიტის მომზადებისას, ყველა ძირითადი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ცერემონიალთან და ღონისძიებანი, პირადი შემადგენლობის მონაწილეობით — შეთანხმებული უნდა იყოს უცხოეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან წინასწარ და მის ჩასატარებლად, ისევე როგორც ოფიციალური ვიზიტებისას, უნდა შედგეს პროგრამა. მხარეთა შეთანხმებით არაოფიციალური ვიზიტები შეიძლება გაშუქდეს პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში.

საქმიანი ვიზიტები ძირითადად ხორციელდება ხომალდის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მიზნით, პირადი შემადგენლობის დასვენების, ხალხის გადაყვანისა და ქონების გადაზიდვის, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

საქმიანი ვიზიტების დაგეგმვისას წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული მხოლოდ ძირითადი საკითხები, რომლებიც ვიზიტის მიზნის უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. ყველა დანარჩენი საკითხს კოორდი-

ნაციას უწევს ზომალდის მეთაური ადგილობრივ სამხედრო-სახლავო ხელმძღვანელობასთან ერთად და სამხედრო ატაშეს, საელჩოს ან საკონსულოს წარმომადგენლის მონაწილეობით (ზომალდის პორტში შესვლისას). ძირითადი ამოცანების საუკეთესოდ გადასაწყვეტად საქმიანი ვიზიტების დროს ცერემონიალი განსაზღვრულია. როგორც წესი, ამ დროს, სალუტი არ ტარდება. ამის მიუხედავად, ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობით სალუტის ჩატარება გათვალისწინებულია უცხოეთის ზომალდების საქმიანი ვიზიტების დროსაც.

სამხედრო ზომალდის იძულებითი ვიზიტი უცხოეთის წყლებში და პორტებში საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და უმრავლეს სანაპირო სახელმწიფოთა კანონმდებლობით, დაშვებულია წინასწარი თანხმობის გარეშე, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, როგორცაა – ავარია, სტიქიური უბედურება ან ზღვის ძლიერი დელვა, რომელიც უქმნის საფრთხეს ზომალდს, ყინულები, დაზიანებული ზომალდების ბუქსირება, გადრჩენილი ხალხის გადაყვანა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აუცილებლობა ეკიპაჟის წევრისათვის ან მგზავრისათვის და სხვა გადაუდებელ შემთხვევებში.

სამხედრო ზომალდების მეთაურებს შეუძლიათ იძულებით შევიდნენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და როგორც წესი, ღია პორტებში, თანაც იმ სახელმწიფოში, რომლებთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. იმ ქვეყნების პორტებში, რომლებთანაც საქართველოს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, იძულებითი შესვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზომალდს ან ეკიპაჟის წევრს ელის აშკარა დაღუპვა.

ნებისმიერ შემთხვევაში უცხო წყლებში ან პორტში იძულებითი შესვლისას, სამხედრო ზომალდის მეთაური ვალდებულია რადიოთი აცნობოს ხელმძღვანელობას ვითარება, ზომალდისა და ეკიპაჟის მდგომარეობა და მიიღოს იძულებითი შესვლის ნებართვა. უცხო ქვეყნების ტერიტორიულ წყლებში მისასვლელებთან აუცილებელია ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირება, იძულებით შესვლის მიზეზის ახსნა და ზომალდის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემების

წარდგენა. შეძღვომ ქმედებებში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივ ხელისუფალთა მითითებები და რეკომენდაციები.

თუ ზომალდის მონაცემებისა და იძულებითი შესვლის მიზეზის ახსნა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დროულად არ მოხერხდა, მაშინ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს პორტში შესვლისთანავე.

ცნობა, იძულებით შესვლაზე უნდა გადაეცეს რადიოთი, პორტის რადიოსადგურის მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად.

უცხო წყლებში ან პორტში შესვლისთანავე უნდა იქნეს მიღებული ზომები, ამ ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულოს წარმომადგენელთან კავშირის დასამყარებლად. საპროტოკოლო ღონისძიებები ამ შემთხვევაში შემოიფარგლებიან პირადი ვიზიტებით დიპლომატიურ წარმომადგენელთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

უცხო პორტებში სამხედრო ზომალდების სტუმრობის სახეობათა დახასიათებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებში გამოიყენება განსხვავებული კლასიფიკაცია. მაგ.: ავსტრალიაში ვიზიტებს არქმევენ ოფიციალურს, არაოფიციალურს, ტექნიკურს და სასწრაფო შესვლას; დიდ ბრიტანეთში – ოფიციალურსა და ოპერატიულ ვიზიტებს და ა.შ.

ყოველი ცალკეული სახელმწიფო გამოსცემს თავის საკუთარ წესებს და ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს თავის წყლებში და პორტებში უცხო ზომალდების შესვლის სახეობასა და რიგითობას. აგრეთვე, აქვეყნებენ მონაცემებს მოცემული სახელმწიფოს უცხოეთის ორგანიზაციებთან და პასუხისმგებელ პირებთან ურთიერთობის შესახებ, პროტოკოლზე, ცერემონიალზე და ეტიკეტზე, რომლებიც ძირითადად ეფუძნება შემოღებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

უცხოეთის ორგანიზაციებთან და პასუხისმგებელ პირებთან ურთიერთობაში შესვლისას, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული წესების მოთხოვნები და რეკომენდაციები გამოიყენება, როგორც წესი, მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე – პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივ ინტერესებს და რომელიც არ შელახავს არც ერთი მხარის ღირსებას. ამიტომ სამხედრო ზომალდების უცხო სახელმწიფოთა პორტებში ვიზიტისათვის მომზადებისას აუცილებელია ამ სახელმწიფოში დადგენილი წესების გაცნობა, რომლებიც ასახავენ ოქ-

მის, ცერემონიალისა და ეტიკეტის განსაკუთრებულობას, იმ მიზნით, რომ უცხოეთის ხელისუფლებასთან და ზომალდებთან ურთიერთობა დამყარდეს სუვერენულ სახელმწიფოთა პრინციპზე, აგრეთვე სხვა აღიარებულ პრინციპებზე, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.

2. საპროტოკოლო ვიზიტები

სამხედრო ზომალდების უცხო პორტში შესვლისას ზომალდის მეთაური ასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულოს წარმომადგენელთან ვიზიტს, ვიზიტს უცხოეთის პასუხისმგებელ პირებთან, აგრეთვე, ზემოთ აღნიშნული პირების საპასუხო ვიზიტით მიღებას. დიპლომატიურ პრაქტიკაში ასეთ ვიზიტებს ჰქვია საპროტოკოლო ვიზიტები.

უცხოეთის პორტებში სამხედრო ზომალდებით ვიზიტებისას იმ პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობა, რომელნიც უნდა ეწვიონ ვიზიტით, ვიზიტის დრო, როგორც წესი, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული დიპლომატიური გზებით, ორივე დაინტერესებულ მხარეს შორის. ბოლოს უნდა შედგეს ასეთი ვიზიტების ვრცელი გრაფიკი, რომელშიც მითითებული იქნება მათი განრიგი, ხოლო მათი დროული და ზუსტი შესრულებისათვის ინიშებიან პასუხისმგებელი პირები – კავშირის ოფიცრები. საპროტოკოლო ვიზიტების რიცხვი დამოკიდებულია ზომალდის პორტში შესვლის ხასიათზე.

უცხო ზომალდებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის დებულების თანახმად, საოქმო ვიზიტები იყოფა წინასწარ, ოფიციალურ და საპასუხო ვიზიტებად.

წინასწარი ვიზიტები საჭიროა უცხო სახელმწიფოს ხელისუფლებასთან და ზომალდებთან ურთიერთობების წესის დასაზუსტებლად, აგრეთვე ოფიციალური და საპასუხო ვიზიტების დროის დასანიშნად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წინასწარ ვერ ხერხდება. ასეთი ვიზიტით იგზავნება ერთ-ერთი ოფიცერი ზომალდის მეთაურის მითითებით იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ზომალდს იძულებით მოუხდა პორტში შესვლა და ეროვ-

ნული დროშა მანამდე არ იყო წარდგენილი ამ პორტში (თუ მასპინძელ სახელმწიფოსთან საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა).

ოფიციალური ვიზიტები ნიშნავს ოფიციალურ პირთა მონახულებას, რომლებიც უნდა გაფორმდეს სათანადო ოქმით ან აქვს სამსახურებრივი ხასიათი. ასეთი ვიზიტები ნიშნავს წოდების, სახელმწიფო თანამდებობის, საზოგადოებრივი დონის, ან პირადი ადამიანური თვისებების მიმართ პატივისცემას. ასეთი ვიზიტები ტარდება დღისით, ძირითადად ზომალდის უცხო პორტში შესვლის შემდეგ 24 საათის განმავლობაში.

როგორც წესი, ოფიციალურ ვიზიტებს ზომალდის მეთაური ატარებს შემდეგ პასუხისმგებელ პირებთან:

1) სამხედრო ზომალდების უცხო პორტში ოფიციალური ვიზიტისას:

– საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან;

– საპორტო ქალაქის უფროს სამოქალაქო პირთან (გუბერნატორთან, მერთან და ა.შ.);

– ავიაციის და ფლოტის, არმიის უფროს სამხედრო პირთან, იმ პორტში, სადაც შესულია სამხედრო ზომალდი;

– პორტში მდგომ სამხედრო ზომალდების მეთაურებთან, რომელთა სახელმწიფოებთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, თუ ზომალდის მეთაურები წოდებით ან თანამდებობით არიან თანასწორნი მეთაურთან, ან მეთაურები არიან უფრო მაღალი წოდებისა ან თანამდებობისა.

2) უცხო პორტში სამხედრო ზომალდის არაოფიციალური ვიზიტისას:

– საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან;

– პორტის უფროს სამოქალაქო თანამდებობრივ პირთან (გუბერნატორთან, ქალაქის მერთან და ა.შ.);

– პორტის უფროს სამხედრო თანამდებობრივ პირთან.

3) უცხო პორტში საქმიანი ვიზიტისას:

– საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან;

– ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან (საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან შეთანხმებით):

– პორტის უფროს სამხედრო თანამდებობრივ პირთან (საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან შეთანხმებით).

4) უცხო პორტში იძულებით შესვლისას:

– საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთან;

– პორტის უფროს სამხედრო თანამდებობის პირთან.

თუ საქართველოს სამხედრო ზომალდები ოფიციალური ვიზიტით შედიან უცხო სახელმწიფოს დედაქალაქში, ზომალდის მეთაურს, წინასწარი შეთანხმებით, შეუძლია საპროტოკოლო ვიზიტით შეხვედეს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს, თავდაცვის მინისტრს, სახელმწიფო ან მთავრობის მეთაურს (ხელმძღვანელს). ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურთან ვიზიტი შემოიფარგლება მათი რეზიდენციების დათვალიერებით და საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერებით.

ოფიციალურ საოქმო ვიზიტისას ტანსაცმელი უნდა იყოს საზეიმო.

საპასუხო ვიზიტებს აქვთ იგივე მიზანი, რაც ოფიციალურ ვიზიტებს და არის საპასუხო პატივისცემის გამოხატვა იმ პირის მიმართ, ვინც ოფიციალური ვიზიტითაა მისული. საპასუხო ვიზიტი უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 24 საათის გასვლისა, ოფიციალური ვიზიტის შემდეგ.

საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ უცხო ფლაგმანების ოფიციალური ვიზიტისას პასუხისმგებელნი არიან პირადად ფლაგმანები. უცხო ზომალდების მეთაურებს, რომელნიც ეწვივნენ ვიზიტით ფლაგმანს – პასუხს აძლევს საფლაგმანო ზომალდის მეთაური ან სპეციალურად დანიშნული ოფიცერი, რომელიც წოდებით იმ ზომალდის მეთაურზე დაბალი არ უნდა იყოს, რომელთანაც იგზავნება საპასუხო ვიზიტით. ამ წესიდან გადახვევა ნიშნავს საერთოდ მიღებული ეტიკეტის დარღვევას.

თუ პორტში დიპლომატიური წარმომადგენლობის გარდა არის საქართველოს საკონსულო, მაშინ საპროტოკოლო ვიზიტს, რაზმის მეთაურის დავალებით და მისი სახელით შეასრულებს ერთ-ერთი ზომალდის მეთაური ან ერთ-ერთი უფროსი ოფიცერი.

საპროტოკოლო ვიზიტებს განეკუთვნება ის ვიზიტებიც, რომლებიც ტარდება საქართველოს არასამხედრო ზომალდების მეთაურთა მიერ, მოცემულ პორტში მყოფ სამხედრო ზომალდთა მეთაურებთან. ამ ვიზიტის

საპასუხო ვიზიტებს შეასრულებს სამხედრო ზომალდთა რომელიმე მეთაური ფლაგმანის მითითებით.

საპროტოკოლო ვიზიტის დროს აუცილებელია პუნქტუალობა. უპატივეცემლობაა, როგორც დაგვიანება, ასევე სტუმრად მოსულთათვის ლოდინი დანიშნულ დროზე მეტად.

ნორმალურად ითვლება დანიშნულების ადგილზე მისვლა დადგენილ დროზე ხუთი წუთით ადრე. გაუთვალისწინებელი-მდგომარეობის გამო, დანიშნული დროის დარღვევის შემთხვევაში, საჭიროა წინასწარ პატიების თხოვნა და მოლაპარაკება ვიზიტის სხვა დროისათვის გადატანაზე.

საპროტოკოლო ვიზიტების ხანგრძლივობა განსაზღვრულია. წინასწარი ვიზიტების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს იმ მინიმალურ დროს, რაც საჭიროა ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის. ოფიციალური და საპასუხო ვიზიტები, როგორც წესი, გრძელდება 20 - 25 წუთი.

აღნიშნული ვიზიტების გარდა, შეიძლება შედგეს ვიზიტები საქართველოს ოფრებსა და უცხო სამხედრო ზომალდების ოფიცრებს შორის, რომლებიც იმყოფებიან მოცემულ პორტში, მაგრამ ეს დაშვებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ზომალდის მეთაური დაამთავრებს ყველა ვიზიტს უცხო სახელმწიფოს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობასთან. საპასუხო ვიზიტების ჩატარება შეიძლება იმ სახელმწიფოს ოფიცრებთან, რომლებთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობანი. ამგვარი ვიზიტები ტარდება ურთიერთობისა და სუბორდინაციის დაცვის პრინციპით - ე.ი. როდესაც უმცროსი ვალდებულია ეწვიოს პირველი, ხოლო უფროსი ეწვევა საპასუხო ვიზიტით.

საქმიანი კონტაქტების დროს, სხვადასხვა სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა შორის, საჭიროა ეტიკეტით გათვალისწინებული ურთიერთობისა და განსაზღვრული ქცევის ნორმების ზუსტად დაცვა.

ეტიკეტის დაცვა საჭიროა როგორც, საქართველოს სამხედრო ზომალდების უცხოეთის პორტებში შესვლისას, ასევე უცხო ზომალდების ხელმძღვანელობასთან და ხელისუფლებასთან სტუმრობისას. რაზმის მეთაურის უცხო პორტში შესვლისთანავე, პირველი საპროტოკოლო ვიზიტით ეწვევა საქართველოს დიპლომატიურ (საკონსულო) წარმომადგენლებს. ყველა დანარჩენი საპროტოკოლო ვიზიტი შედგება პროგრამის

მკაცრი დაცვით. საპროტოკოლო ვიზიტის დროს რაზმის მეთაურს თან უნდა ახლდეს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ატაშე ან კონსული, ადიუტანტი, თარჯიმანი, ხოლო პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაზმის მეთაურთან ერთად შემოსულ ზომალდთა მეთაურები.

დაწესებული ეტიკეტის შესაბამისად, უცხო პასუხისმგებელ პირთან ვიზიტი ტარდება შემდეგნაირად: პასუხისმგებელი პირის წარმომადგენელი, ვისთანაც უნდა მივიდნენ ვიზიტით, უნდა შეხვდეს რაზმის მეთაურსა და მასთან ერთად მოსულ პირებს დანიშნულ ადგილზე და თან ახლდეს ვიზიტის ბოლომდე; რაზმის მეთაური კაბინეტში შესვლისთანავე მიესალმება მასპინძელს და უფროსობის მიხედვით წარუდგენს თანმხლებ ოფიცრებს, მათი თანამდებობის, სამხედრო წოდების და გვარის დასახელებით; შემდეგ, რაზმის მეთაური და მისი თანმხლები პირები იკავებენ მასპინძლის მიერ შეთავაზებულ ადგილებს. იწყება საუბარი, რომლის ინიციატივაც ეკუთვნის მასპინძელს. ამ საუბარში აქტიურად მონაწილეობს მხოლოდ შენაერთის მეთაური. დანარჩენი ოფიცრები ყურადღებას აქცევენ საუბრის მსვლელობას და საუბარში ჩაერთვებიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გამოწვეულია აუცილებლობით. შენაერთის მეთაურის ადიუტანტი აკონტროლებს დროს და აფიქსირებს ვიზიტის ხანგრძლივობას იმ თვალსაზრისით, რომ საპასუხო ვიზიტის დროს შენაერთის მეთაურს შეეძლოს მთლიანად გაითვალისწინოს საპასუხო ურთიერთობის პრინციპი.

საპროტოკოლო ვიზიტების როს მიღებულია მცირე რაოდენობით სხვადასხვა სასმელების მირთმევა. ამის გარდა, სტუმრებს, როგორც წესი, სთავაზობენ სიგარეტს. აღმოსავლეთ ქვეყნებში მთავრად ჩაის, ყავას, ხილს, გამაგრილებელ სასმელებს.

მკაცრი წესები იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აგრძობინოს პირველმა ვიზიტის დამთავრების შესახებ არ არსებობს. ეს შეიძლება გააკეთოს როგორც სტუმარმა, ასევე მასპინძელმა, მაგრამ ძალიან ტაქტიანად. ზოგ შემთხვევაში ვიზიტი მთავრდება მასპინძლის ინიციატივით, რომელიც ფეხზე წამოდგება და მადლობას მოახსენებს სტუმარს მობრძანებისათვის. თავის მხრივ, სტუმარი მადლობას უხდის მასპინძელს მიღებისათვის. ამით მთავრდება ვიზიტის ცერემონიალი. ზოგი ქვეყნებს საპროტოკოლო

პრაქტიკაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქვეყნებში, ვიზიტი მთავრდება სტუმრის ინიციატივით. ზოგ შემთხვევაში ვიზიტი შეიძლება დამთავრდეს სამახსოვრო სუვენირების გადაცემით.

საქართველოს მთავრობის, უცხოეთის მთავრობისა და პასუხისმგებელი პირების შეხვედრას და მიღებას სამხედრო ზომადებზე, საპროტოკოლო ვიზიტების დროს, თან უნდა ერთვოდეს დაწესებული სამხედრო-საზღვაო ცერემონიალით პატივმიგება. ამგვარი პატივმიგებების მოცულობა და ხასიათი დამოკიდებულია ვიზიტით მომსვლელი პირის თანამდებობასა და წოდებაზე და განისაზღვრება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებით, აგრეთვე უცხოეთის სამხედრო ზომადებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებული წესით.

თანამედროვე დიპლომატიურ პრაქტიკაში რანგის საკითხს, ისევე როგორც ცერემონიალსა და ეტიკეტს, ეძლევა დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით, პატივმიგების მოცულობას, რომელსაც გაუწევენ დიპლომატიურ წარმომადგენელს, მისი რანგის მიხედვით.

საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში დაწესებულია დიპლომატიური რანგების კატეგორიები ესენია:

- ა) უმაღლესი დიპლომატიური რანგები:
 - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;
 - საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;
- ბ) უფროსი დიპლომატიური რანგები:
 - უფროსი მრჩეველი;
 - მრჩეველი;
 - უმცროსი მრჩეველი;
- გ) უმცროსი დიპლომატიური რანგები:
 - პირველი მდივანი;
 - მეორე მდივანი;
 - მესამე მდივანი;
 - ატაშე.

რაც შეეხება საკონსულო დაწესებულებებს მათი მეთაურები იყოფიან ოთხ კლასად, ესენია:

გენერალური კონსული;
 კონსული;
 ვიცეკონსული;
 საკონსულო აგენტი.

მთავრობისა და პასუხისმგებელ პირთათვის საწესდებო დოკუმენტებით გათვალისწინებული პატივიმგება საქართველოს სამხედრო ზომალდებზე ტარდება ქვემოდ მოყვანილი წესით.

საქართველოს განსაკუთრებული და სრულუფლებიანი ელჩის მისაღებად, ზომალდის ზედა გემბანზე სიგნალით – „ღიღი შეკრება“, ზომალდის ეკიპაჟი, საპატიო საყარაული და ორკესტრი დგება მწყობრში. საქართველოს ელჩს შეხვედრას უწყობს შენაერთის მეთაური, საფლაგმანო ზომალდის მეთაური, სამორიგეო და სავანტო სამსახურის პირები. ტრაპის ქვედა მოედანზე საქართველოს ელჩის ასვლისას გაიცემა კომანდა – „ყურადღება“, ხოლო მისი გემბანზე ასვლისას, შემხედვართა შორის უფროსი წარსდგება მის წინაშე და აცილებს მას ადგილამდე, სადაც მწყობრში დგას საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულთან ელჩის მიახლოებისას საპატიო ყარაულის უფროსი აკეთებს მოხსენებას, მაგალითად, შემდეგი ფორმით: „ბატონო საქართველოს ელჩო, თქვენი მობრძანების პატივისცემად საპატიო ყარაული მწყობრშია. ყარაულის უფროსი, კაპიტან-ლეიტენანტი ქოიავა“.

ჩაატარებს რა საპატიო ყარაულის შემოვლას, საქართველოს ელჩი მიუახლოვდება მწყობრში მყოფ ზომალდის ეკიპაჟს და მიესალმება მათ. საქართველოს ელჩის მისაღმებაზე ეკიპაჟი პასუხობს: „გამარჯობათ ბატონო საქართველოს ელჩო“. დღესასწაულსა და მისი მილოცვის შემთხვევაში ეკიპაჟი პასუხობს სამჯერადი „ვაშა“-თი. თუ ელჩი მაღლობას უხდის ეკიპაჟს, ამ შემთხვევაში ეკიპაჟი პასუხობს: „ვემსახურები სამშობლო-საქართველოს“.

საქართველოს გენერალური კონსულის, კონსულის და ვიცეკონსულის მისაღებად ეკიპაჟი, ყარაული და ორკესტრი მწყობრში არ დგება. მოსულთ ხვდებიან ზომალდის მეთაური და სამორიგეო და სავანტო სამსახურის პირნი. სტუმრების წინაშე წარდგება ზომალდის მეთაური, რომელიც მათ ვიზიტის ბოლომდე თან უნდა ახლდეს.

სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურს, თავდაცვის მინისტრს, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს, სამხედრო შეიარაღებული ძალების სახეობათა სარდალს, ხვედებიან შენაერთის მეთაური, ხომალდის მეთაური, სამორიგეო და სავახტო სამსახურის პასუხისმგებელი პირები. დამხვედრთა შორის უფროსი, ვალდებულია წარუდგეს სტუმარს.

უცხო სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურს, აგრეთვე სხვა სამთავრობო პირებს, ყველა შემთხვევაში მიაგებენ პატივს, რომელიც შეიცავს სალუტს (დანართი 2.), მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ვიზიტი ოფიციალური. გამონაკლისი შემთხვევები დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული პირები განაცხადებენ უარს სალუტით შეხვედრაზე, რის შესახებაც ისინი წინასწარ ატყობინებენ შენაერთის ან ხომალდის მეთაურს.

სამხედრო-საზღვაო ოლქის სარდალს და სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურს, თუ მათი სამხედრო წოდება თანასწორია ან უფრო მაღალია შენაერთის მეთაურის სამხედრო წოდებაზე, შეხვედებიან ხომალდის მეთაური და სამორიგეო და სავახტო სამსახურის პირები. დამხვედრთა შორის უფროსი წარსდგება სტუმრის წინაშე. თუ მოხსენებულ უცხოელ პასუხისმგებელ პირთა სამხედრო წოდება დაბალია, ვიდრე შენაერთის მეთაურისა, ამ შემთხვევაში მათ ხვედებიან ხომალდის მეთაური და სამორიგეო და სავახტო სამსახურის პირნი. სტუმრის წინაშე წარსდგება ხომალდის მეთაური.

უცხო ქვეყნის თანამდებობის პირებს, რომლებიც ასრულებენ საპასუხო ვიზიტს, მიიღებს შენაერთის მეთაური. საქართველოს მხრიდან წვეულებაზე აგრეთვე უნდა იმყოფებოდეს იმ ხომალდის მეთაური, რომელზეც ხდება მიღება.

თუ უცხოეთის პასუხისმგებელ პირებს ოფიციალური ვიზიტით ეწვია მხოლოდ ხომალდის მეთაური, მაშინ, როგორც წესი, საპასუხო ვიზიტით აღნიშნული პირები ეწვევიან ხომალდის მეთაურს, რომელიც ამ დროს ვალდებულია ხომალდზე იმყოფებოდეს.

თუ უცხოელი პასუხისმგებელი პირი, რომლის წოდება აღემატება ან თანასწორია ხომალდის მეთაურის წოდებისა, ვიზიტით ეწვია ხომალდს, ხომალდზე მეთაურის არყოფნისას, მევახტე ოფიცერი ამის შესახებ მო-

ახსენებს სტუმარს და თუ ის არ მოისურვებს, რომ მიიღოს ზომალდის მეთაურის უფროსმა თანაშემწემ, მისგან სტუმარი ღებულობს საეიზიტო ბარათს. თუ სტუმრობის მიზეზი იყო ოფიციალური ვიზიტი, ის ჩაითვლება ჩატარებულად.

უცხო სახელმწიფოს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ეწვივნენ საქართველოს სამხედრო ზომალდს ოფიციალური ან საპასუხო ვიზიტით, წესით გათვალისწინებული ცერემონიალური პატივმიგების შემდეგ მიიპატიჟებიან შენაერის მეთაურის სალონში ან კაიუტკომპანიაში, სადაც მათ სათანადოდ უმასპინძლებიან.


მეთაური, საფლაგმანო ზომალდზე უცხოელი სტუმრის მიღებისთანავე, აცილებს მას ფლაგმანის სალონში და რჩება მასთან ვიზიტის ბოლომდე. შენაერთის მეთაური ვიზიტით მოსულ სტუმარს და მის თანმხლებ პირებს შესთავაზებს დასაჯდომ ადგილებს და იწყებს საუბარს.

ვიზიტის დამთავრებისას შენაერთის მეთაური, მოსულ პასუხისმგებელ სტუმრებს რანგის შესაბამისად აცილებს ზედა გემბანის გასასვლელამდე ან ტრაპამდე და შემდეგ ემშვიდობება მათ. ზომალდის მეთაური ნებისმიერ შემთხვევაში აცილებს სტუმრებს ტრაპამდე და თვალყურს ადევნებს სტუმრების მიმართ ზომალდიდან ჩასვლისას გათვალისწინებულ პატივმიგების ჩატარების სისწორეს.


დიპლომატიური ეტიკეტის დაცვის თვალსაზრისით საპროტოკოლო ვიზიტების დროს არანაკლებ მნიშვნელოვნად საყურადღებოა პასუხისმგებელ პირთა ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფა, ტრანსპორტში ადგილების განაწილება და მათი დაკავების თანმიმდევრობა.

როგორც წესი, შენაერთის მეთაურს ტრანსპორტით უზრუნველყოფს პორტის ხელმძღვანელობა, ხოლო შენაერთის მეთაური უზრუნველყოფს პასუხისმგებელ პირებს კატარლით ან კანჯოთი იმ შემთხვევაში თუ ზომალდები რეიდზე იმყოფებიან.

გადაადგილების საშუალება და მასში ადგილები ნაწილდება შემდეგნაირად: პირველ ავტომობილს (კატარლას), როგორც წესი, იკავებს შენაერის მეთაური. სამხედრო-საზღვაო ატაშე, ადიუტანტი და თარჯიმანი. შენაერთის მეთაურის თანმხლები დანარჩენი პირები მიემგზავრებიან შემდეგი ავტომობილით (ავტომობილებით), კატარლით (კატარლებით).



ნახ. 1. ადგილების განაწილება რანგის თანმიმდევრობის მიხედვით:
 ა - ავტომობილზე; ბ - კატარაზე (კანჯოზე)



პირობითი ნიშნები:



ტრანსპორტში ჩაჯდომის რიგითობა,

→ მიმართულება ჩაჯდომის დროს

ნახ. 2. ავტომობილში ჩაჯდომისას ადგილების დაკავების წესი:

ა - მანქანის მარცხენა მხრიდან მიგებებისას ტრაპისკენ;

ბ - მანქანის მარჯვენა მხრიდან მიგებებისას ტრაპისკენ.


ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია ცალკე ავტომობილის ან კატარლის გაცემა შენაერთის მეთაურისათვის და აღმირლისათვის, თუ ის არ არის შენაერთის მეთაური.

საპატიო ადგილად ავტომობილში ითვლება უკანა სავარძელში მარჯვენა მხარე მოძრაობის მიმართულებით, ხოლო კატარლაზე და კანჯოზე აღამიდან მარჯვენა მხარე უკანა ნაწილზე.

ავტომობილის მძღოლის გვერდით ადგილს იკავებს თარჯიმანი, მეკავშირე ოფიცერი ან ადიუტანტი. ადგილების განაწილების სქემა ნაჩვენებია №1 ნახაზზე.

თუ მოძრაობა საპროტოკოლო ვიზიტის ადგილისაკენ ხდება ავტომობილით, უფროსები ავტომობილში ყოველთვის სხდებიან და გადმოდიან პირველები, ხოლო თუ კატარლით (კანჯოთი) – უფროსები ადიან ბოლოს, ხოლო ჩამოდიან პირველები.

უფროს პასუხისმგებელ პირს ავტომობილს მიაგებებენ მარცხენა მხარეს ხომალდის ტრაპიდან (ნახ. 2, ა). იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ავტომობილის ამგვარად მიწოდება, მაშინ ავტომობილი ეძლევა მარჯვენა მხრიდან, ხოლო პირი, რომელიც დაიკავებს საპატიო ადგილს ავტომობილში, შედის მარჯვენა კარებიდან. დანარჩენები ავტომობილის უკანა მხრიდან შემოვლით მანქანაში სხდებიან მარცხენა კარებიდან (ნახ. 2, ბ).



ნახ. 3. ავტომობილიდან გადმოსვლის წესი

პასუხისმგებელ პირთა ადგილზე მისვლისას, ავტომობილი ყოველთვის გაჩერებული უნდა იყოს ტროტუართან ან გემის ტრაპთან მარჯვენა მხრით იმისათვის, რომ პირი, რომელსაც საპატიო ადგილი უკავია, ადვილად გადმოვიდეს ავტომობილიდან პირველი (ნახ. 3).

3. პრესკონფერენციები, ინტერვიუები და საუბრები

ჟურნალისტიკებთან სამხედრო ხომალდების მეთაურთა კონტაქტების ძირითადი ფორმებია: პრესკონფერენციები, ინტერვიუები და საუბრები.

პრესკონფერენცია — ეს არის ჩველებრივი ბეჭდვითი ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთა კრება, სადაც ოფიციალური პირები ან პირი აძლევს ინფორმაციას ჟურნალისტიკებს აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ინტერვიუ — პრესკონფერენციებისგან განსხვავდება, მხოლოდ მონაწილეთა შემადგენლობით და წარმოადგენს ჟურნალისტის საუბარს ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ პირთან.

საქართველოს სამხედრო ხომალდების უცხოეთის პორტში ვიზიტისას, ოფიციალურ პირად, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს აღნიშნული ღონისძიებანი, ითვლება ხომალდების შენაერთის მეთაური, ხოლო ცალკეული ხომალდის ვიზიტის დროს ამ ხომალდის მეთაური. სამეთაურო შემადგენლობის დანარჩენი წარმომადგენლები და ეკიპაჟის სხვა წევრები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ ადგილობრივი მცხოვრებლების და ცალკეულ მოქალაქეთა წინაშე რაიმე გამოსვლებისა და ოფიციალური განცხადებების გაკეთებისგან, თუ ამაზე შენაერთის მეთაურის ან ხომალდის მეთაურის ნებართვა არ ექნებათ.

უცხოეთის პორტებში პრესკონფერენციებისა და ინტერვიუების ჩატარებისას, სამხედრო ხომალდების მეთაურთა წინაშე იქმნება ხელსაყრელი პირობები საქართველოს შესახებ ყოველმხრივი და სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად და მოცემულ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დასამკვიდრებლად, რაც მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მაქსიმალურად.

ინტერვიუები და პრესკონფერენციები უფრო ხშირად ტარდება კაი-უტკომპანიებში და ფლაგმანთა სალონში, მიუხედავად ამისა ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობით ისინი შეიძლება ჩატარდეს სპეციალურად გამოყოფილ შენობაში ნაპირზე (ხმელეთზე).

იმისათვის, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები დამთავრდეს შედეგიანად, საჭიროა მათი მომზადლება მაღალ დონეზე, ხოლო ოფიციალური განცხადების ტექსტი, რომლითაც შენაერთის (ხომალდის) მეთაური აპირებს გამოსვლას, საჭიროა შეთანხმდეს სარღლობის წარმომადგენელთან და საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთან.

პრესკონფერენციაზე, როგორც წესი, უნდა გამოცხადდეს ვიზიტის მიზანი, მოკლე აღწერა და ვიზიტით შემოსული ხომალდების ძირითადი ტექნიკურ-ტექნიკური დახასიათება, აგრეთვე მოუთხრობენ საქართველოს მოკლე ისტორიას; პრესკონფერენციაზე მყოფნი ეცნობიან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხომალდების დათვალიერების წესს. უცხო ჟურნალისტისათვის ან კორესპონდენტისათვის მიცემული ინტერვიუს დროს შენაერთის (ხომალდის) მეთაური, როგორც წესი პასუხობს დასმულ შეკითხვებზე, რომლებიც მისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი.

ოფიციალური საუბარი — საჯარო მოხსენების ერთ-ერთი სახეობა. ოფიციალურ საუბარს პირველ რიგში იწყებს წვეულების ხელმძღვანელი, ხოლო საპასუხო სიტყვას ამბობს, როგორც წესი, მთავარი სტუმარი, წვეულების დანარჩენი წევრები ორივე მხრიდან, რაიმე საჯარო განცხადების გაკეთებისაგან თავს იკავებენ.

საუბრის ხასიათი, მისი შინაარსი და სტილი დამოკიდებულია იმ დონეზე, რა დონეზეც ტარდება წვეულება და იმ შემხვევაზე, რასთან დაკავშირებითაც ტარდება ეს წვეულება.

ოფიციალური საუბარი იწყება მთავარი (უფროსი) სტუმრისადმი მისალმებით, შემდეგ მოკლედ და გასაგები ფორმით უნდა მოხსენდეს მოსაზრებები ვიზიტის საბაბზე, რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა მიღება. საუბარი მთავრდება სურვილების გაზიარებით უცხო სახელმწიფოს მეთაურისა და მთავარი სტუმრის მიმართ, ქვეყნის აყვავებაზე, განვითარებაზე და მისი ხალხის ბედნიერებაზე.

საპასუხო სიტყვა ასევე მოკლედ და ნათელი აზრებით ყალიბდება. მაღლობას მოიხდიან მიღებაზე, გამოხატავენ მოსაზრებებს, რომლებიც ჩადებულია ამ შეხვედრაში და არწმუნებენ თავის მხრივ გამოხატულ შეგობრულ გრძნობებში. საუბარი მთავრდება სურვილებით, ქვეყნის განვითარებაზე და აყვავებაზე, მისი ხალხის ბედნიერებაზე.

სიტყვა, როგორც წესი, წვეულების მსვლელობისას ითქმის ერთხელ, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ამის ბოროტად გამოყენება, ისევე, როგორც გამოსვლის ხანგრძლივობისა.

ზშირად, ვიზიტებისა და საქმიანი შეხვედრების დროს საუბრისათვის მზადებისას სასურველია მოფიქრებული იყოს მისი ჩატარების გეგმა, მომზადებული იყოს საკითხები მსჯელობისათვის, შერჩეული იყოს მონაცემები, რომლებიც სასურველია იცოდეს მოსაუბრეთა აუდიტორიამ. საქმიან საუბრებს, ზშირად იწყებენ საერთო თემებზე აზრების გაცვლით, შემდეგ გადადიან ძირითად საკითხებზე, რომლებიც ექვემდებარებიან განხილვას. საუბრის დამთავრების შემდეგ ხდება მოკლე შინაარსის ჩაწერა.

უცხოეთის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან, უცხოეთის პასუხისმგებელ პირებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან საუბრისას, ყველა შემთხვევაში, ერიდებიან ისეთ თემებს, რომლებიც შეურაცხყოფას მიაყენებენ მოსაუბრეთ ან ქვეყნის მოსახლეობას, ეროვნულ და რელიგიურ მხარეს, იმ სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ზომალდები.

4. მიღების სახეობები

დიპლომატიის პრაქტიკაში მიღება არის განსაკუთრებული საშუალება, რათა დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელთა კონტაქტები იყოს სათანადო დონეზე და თანდათან ვითარდებოდეს დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრებთან, აგრეთვე ოფიციალური, საზოგადოებრივი, საქმიანი, კულტურული და მასპინძელი ქვეყნის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობებით. უცხოეთის ქვეყნებში სამხედრო ზომალდების ვიზიტთან დაკავშირებული მიღებაც არის, ერთ-ერთ-

თი საშუალება სასარგებლო კონტაქტების დამყარებისა საქართველოს სამხედრო ხომალდების ოფიცერთა მეთაურების მიერ, ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო ოფიციალურ ხელისუფლებასთან, მასპინძელი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცრებთან. ამიტომ, სამხედრო ხომალდების მიერ უცხო ქვეყნების პორტებში ვიზიტის განხორციელების გეგმაში გაითვალისწინება მიღების ჩატარება, როგორც ხომალდთა მეთაურების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი მიღება არის ოფიციალური ღონისძიება, მას აწყობენ საერთოდ აღიარებული დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის წესებით, ამ წესებიდან გადახვევა (მათი ნაწილობრივად დარღვევა) შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამართლებული იქნება გემის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში მიღების ხასიათი, რომელიც იმართება უცხო სამხედრო ხომალდის შესვლისას პორტში, დამოკიდებულია თვით ვიზიტის ხასიათზე. ასე მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის სათანადო დოკუმენტებით დადგენილია, რომ სამხედრო ხომალდების საქმიანი ვიზიტების დროს მიღებას აქვს განსაკუთრებული კერძო ხასიათი, ხოლო არგენტინაში, თუ ვიზიტს ოფიციალური ხასიათი არა აქვს — მიღებას საერთოდ არ ატარებენ. ანალოგიური წესებია ზოგიერთ სხვა სახელმწიფოშიც. ამასთან დაკავშირებით სასურველია სამხედრო (სამხედრო-საზღვაო) ატამესთან ან კავშირის ოფიცერთან წინასწარ შეთანხმდეს ხომალდების ვიზიტის დროს მიღების ჩატარების საკითხი.

დღეისათვის, როგორც დიპლომატიურ პრაქტიკაში, ასევე სამხედრო ხომალდების უცხოეთის პორტებში შესვლისას, განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა მიღების ისეთმა სახეებმა, როგორიცაა საუზმე, სადილი, ვახშამი, სადილი-ბუფეტი (შვეიცარული მაგიდა), აგრეთვე მიღება სახელწოდებით „ფურშეტი“ და „კოქტეილი“. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს.

საუზმეს, როგორც წესი, აწყობენ მხოლოდ განსაზღვრულ პირთათვის და მიიწვევენ მხოლოდ მამაკაცებს. საუზმის ყველაზე ხელსაყრელ

დროდ ითვლება 12⁰⁰ – 15⁰⁰ საათამდე. საუზმეს ხშირად ატარებენ 12³⁰ სთათიდან 13³⁰ სთათამდე.

საუზმისა და სხვა სახის მიღების მენიუს ადგენენ მოწვეულთა ეროვნული გემოვნების გათვალისწინებით. საუზმეზე მიღებულია ერთი ან ორი სახის ცივი საუზმის შეთავაზება, ერთი – თევზის ცხელი კერძი, ერთი – ხორცის და ერთიც დესერტი (ტკბილეული, ხილი, კანფეტი, ნაყინი და ა.შ.). საუზმის დროს პირველი კერძები მენიუმში არ შეაქვთ. მიართმევენ აგრეთვე სადესერტო ღვინოებს.

შესაძლებლობის შემთხვევაში, საუზმეზე მოსულ სტუმრებს თავიდან ღებულობენ არა იმ ოთახში, სადაც მაგიდაა გაწყობილი, არამედ სხვა ოთახში; იქ მათ გაუმასპინძლდებიან წვენებით, კოქტილით, მინერალური წყლებით, სთავაზობენ მსუბუქ დესერტს (საუზმეს), თხილს, სენდვიჩს და ა.შ. ამ დროს შეიძლება მოწვეულთა შორის ბაასი. შემდეგ სტუმრებს მიიწვევენ მაგიდასთან.

საუზმის შემდეგ სტუმრებს მიართმევენ ყავას ან ჩაის. ზოგიერთ ქვეყანაში ყავასთან ერთად მოაქვთ ცივი წყალი. ამისათვის მაგიდას ხელახლა აწყობენ ისევ იმ ოთახში, სადაც ჩატარდა საუზმე, ან თუ პირობები აქვთ – იმ ოთახში, სადაც სტუმრები იყვნენ მიღებულნი საუზმემდე. საუზმის დამთავრების შემდეგ, მასპინძელი (ხომალდის მეთაური ან რაზმის მეთაური) პირველი დგება ფეხზე და მიიპატიუებს სტუმრებს იმ ოთახში, სადაც მათ გაუმასპინძლდებიან ჩაით ან ყავით.

საუზმე ხშირად გრძელდება 1–1,5 სთ. (აქედან 45–60 წუთი სტუმრები უსხედან მაგიდას და 15–30 წუთს ანდომებენ ყავას და ჩაის).

საუზმის დამთავრების ინიციატივა (ისევე, როგორც სადილისა და ვახშმის) მიეკუთვნება, როგორც წესი, მასპინძელს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში ინიციატივა შეიძლება გამოიჩინონ სტუმრებმა (რა თქმა უნდა, მისი უფლება ეკუთვნის სტუმართა შორის უფროსს).

სადილს აწყობენ იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან შეხვედრის მნიშვნელობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, გამოხატონ სტუმრის მიმართ განსაკუთრებული განწყობილება. სადილს ატარებენ როგორც წესი, 19⁰⁰ სთ-სა და 21⁰⁰ სთ-ს შორის. არც თუ იშვიათად, მამაკაცებს სადილზე მიიწვევენ მეუღლეებთან ერთად.

საუზმესთან შედარებით სადილის მენიუ გაცილებით მრავალფეროვანია. მასში აუცილებლად შედის პირველი კერძი, სპირტიანი სასმელები, ღვინო, კონიაკი, არაყი და სხვა.

ისევე, როგორც საუზმისას მაგიდასთან მიწვევის წინ და სადილის დამთავრების შემდეგ, სტუმრებს შეუძლიათ მასპინძელთან ერთად, განსაზღვრული დრო (15-20 წუთი) გაატარონ სხვა ოთახში, სადაც სადილის წინ მიაერთმევენ მსუბუქ საუზმეს, ხოლო სადილის შემდეგ – ყავას ან ჩაის, ჩვეულებისამებრ, სადილი გრძელდება 2–2,5 საათი, აქედან სტუმრები მაგიდას უსხედან 1,5 საათი.*

ვახშამს, უფრო ხშირად იწყებენ 20³⁰ სთ-სა და 21⁰⁰ სთ-ს შორის. ვახშმის მენიუ სადილის მენიუს ანალოგიურია, მაგრამ პირველ კერძს (ბულიონი ან სხვა კერძი) არ სთავაზობენ.

სადილი-ბუფეტი, ფურშეტი და კოქტეილი – მიღების ყველაზე გავრცელებული სახეობებია, მათ აწყობენ სხვადასხვა საჭიროებისას.

მომწყობები, როგორც წესი, იწვევენ სტუმართა რაოდენობას იმის მიხედვით, თუ ოთახების რა შესაძლებლობები აქვთ ამა თუ იმ სახეობის მიღებისათვის (15 კაციდან 20-მდე და რამოდენიმე ასეულამდეც კი). მაგიდასთან დასხდომამდე (მიწვევამდე) მიღების ორგანიზება და ჩატარება ხდება 17⁰⁰ სთ-დან 21⁰⁰ სთ-მდე. ასეთი მიღების მოსაწვევებზე აღნიშნულია დაწყებისა და დამთავრების დრო.

სტუმრები იწყებენ მოსვლას წვეულების დაწყებამდე, მიუხედავად ამისა, მცირე დაგვიანება არ ნიშნავს ეტიკეტის დარღვევას. ამასთან ერთად წვეულების მიტოვება დაწყებიდან ორ საათზე ადრე რეკომენდებული არ არის. თუ ვითარება წვეულებაზე 30–40 წუთზე მეტი დროით ყოფნის საშუალებას არ იძლევა, მაშინ სტუმარი მასპინძელს მოკრძალებით უხდის ბოდიშს, მოახსენებს მადლობას და ტოვებს წვეულებას.

წვეულების (მიღების) დასაწყისში მასპინძელი გარკვეული დროის განმავლობაში (მთავარი სტუმრების მოსვლამდე) ხვდება მოწვეულებს.

მთავარი სტუმრების მოსვლის შემდეგ მასპინძელი მიაცილებს მათ შენობაში, სადაც უნდა ჩატარდეს მიღება (წვეულება). დანარჩენი სტუმ-

*უფრო ვრცლად სადილის ჩატარებისა და ორგანიზების შესახებ იხილეთ მე-3 თავში.

რები მასპინძელთან მისალმების შემდეგ, თვითონ, გამცილებლის გარეშე შედიან შენობაში. ზოგჯერ ადგილისა და ვითარების შესაბამისად, სადაც ტარდება მიღება, პატივცემული სტუმრების შესახვედრად, მათთვის აუცილებელი დახმარების გაწევისა და მასპინძლის თანხლების მიზნით (ვესტიბიულში) დარბაზში (შენობაში შესვლისას, გარდერობისაკენ, ტრაპისაკენ ან გემიდან ჩამოსასვლელად და ა.შ.) ინიშნებიან სპეციალური პირები (ზომალდებზე – ეკიპაჟის შემადგენლობიდან).

სადილი-ბუფეტის, ფურშეტის და კოქტიელის ტიპის მიღება, როგორც წესი ტარდება 2–2,5 საათის ხანგრძლივობით.

5. მიღება ზომალდზე

სახომალდო პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებული წვეულებები, რომლებსაც, როგორც წესი, ზომალდებზე აწყობენ, არის საუზმე, სადილი და კოქტიელი.

წვეულების ნორმალურად ჩასატარებლად, საჭიროა მისი დეტალურად მომზადება. ამასთან, უნდა განისაზღვროს წვეულების სახეობა (როგორც წესი, სახეობა უნდა იყოს მითითებული ვიზიტის პროგრამაში), უნდა ამოირჩეს მისი ჩასატარებელი ადგილი, შედგეს მოწვეულთა სია; გაიგზავნოს მოსაწვევი ბარათები, მომზადდეს სტუმართა მაგიდასთან განთავსების გეგმა (თუ დაგეგმილია საუზმე, სადილი ან ვახშამი), შედგეს მენიუ და მიღების სქემა (განისაზღვროს წვეულების დროებითი ღონისძიებანი ქრონოლოგიური წესით), მომზადდეს წარმოსათქმელი სიტყვა, მაგიდების სერვირება; აღნიშნული და სხვა ღონისძიებათა დაგეგმვა, რომლებიც დაკავშირებულია წვეულებასთან, ითვალისწინებენ მის მიზანს, კონკრეტულ სიტუაციას, რომელშიც უნდა ჩაიაროს წვეულებამ, გამოყოფილ საშუალებებსა და სხვა ფაქტორებს.

წვეულების ჩასატარებელ ადგილს ირჩევენ მოწვეულთა რაოდენობისა და წვეულების სახეობის მიხედვით. წვეულება შეიძლება ჩატარდეს ფლაგმანთა სალონში, კაიუტკომპანიაში, ხოლო კარგი ამინდის დროს შეიძლება ჩატარდეს ზედა გემბანზე. გემბანის ის ნაწილი, სადაც დაგეგმილია წვეულების ჩატარება, წინასწარ უნდა იყოს მომზადებული წვიმი-

სა და ქარისაგან დაცვის მიზნით. თუ არ არის სპეციალური გადასაფარებელი, მაშინ ხმარობენ სათანადო ზომის სასიგნალო დროშების კომპლექტს (მხოლოდ ფერად, ამოსაცნობ, მალლა ასაწევ დროშებს). გემბანის გადაფარებული მონაკვეთი სათანადოდ უნდა განათდეს, იქვე უნდა მოთავსდეს სპეციალური ჩამოსაკიდი, ან დასადები ადგილი ქუდებისთვის, აგრეთვე ტანსაცმლისათვის, ქოლგებისა და მოწვეულთა სხვა პირადი ნივთებისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზომალდზე არ არის პირობები წვეულების ჩასატარებლად, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებთან ან საკონსულოსთან შეთანხმებით, მასპინძელ სახელმწიფოში წვეულებას ატარებენ ნაპირზე, სპეციალურად გამოყოფილ შენობაში.

სტუმრების მოწვევა. წვეულებაზე სტუმრები მოდიან მხოლოდ მოწვევით, ამიტომ მოწვეულთა სიის შედგენას ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით. უცხოელთაგან ამ სიაში შეყავთ, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სარდლობა. საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშეს წარმომადგენლები, კორესპონდენტები, ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სიას ათანხმებენ საქართველოს სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშესთან, დიპლომატიურ ან საკონსულოს წარმომადგენლებთან.

ყველა წვეულების მოწყობა ისახება რაზმის (გემის) მეთაურის მიერ და მიმართულია მოწვეული კონკრეტული პირის მიმართ და არა მისი თანამდებობის მიმართ. არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც უცხოეთის გემის ოფიცრებს მოიწვევს არა რაზმის (გემის) მეთაური, არამედ კაიუტკომპანია — თავისი სახელით.

მოსაწვევს აგზავნიან სპეციალური ბარათის სახით, რომელიც მზადდება სტამბური (კომპიუტერული) წესით. მასზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული წვეულების დაწყების და დამთავრების დრო. თუ მამაკაცებს წვეულებაზე მეუღლეებთან ერთად იწვევენ, ეს აღნიშნული უნდა იყოს მოსაწვევ ბარათში, რომელშიც ყოველთვის პირველ ადგილზე მამაკაცია მითითებული.

ბოლო დროს სამთავრობო და საარჩევნო ორგანოებში დიდ თანამდებობებს, აგრეთვე უმაღლეს ადმინისტრაციულ პოსტებს იკავებენ ქალებიც. თუ მათ მიიწვევენ, როგორც ოფიციალური თანამდებობის პირს საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის შესაბამისად, მას უგზავნიან პერსონალურ მოსაწვევე ბარათს და ოფიციალურ საუბრეზე ან სადილზე გამოუყოფენ ადგილს, რანგისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტის გათვალისწინებით.

დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულია მოსაწვევე ბარათების დანიშნულ დრომდე 5–10 დღით ადრე გაგზავნა. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები (მაგალითად რომელიმე საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის დროს), როდესაც აღნიშნულ დროს ამცირებენ 2–3 დღემდე იმდენად, რამდენადაც უცხოეთის პორტებში სამხედრო ხომალდების ყოფნის ხანგრძლივობა არ აღემატება 5–10 დღეს; ჩასატარებელ წვეულებაზე მოსაწვევებს აგზავნიან 2–3 დღით ადრე, მაგრამ არანაკლებ 24 საათისა წვეულების დაწყებამდე.

მოსაწვევე ბარათები, როგორც წესი, გადაიცემა სახმედრო ატაშეს გავლით, მისი თანაშემწის — საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის, ან უცხოეთის მეკავშირე ოფიცრის მიერ. თუ პირობები ხელსაყრელია, მიზანშეწონილია წინასწარ, ხომალდების უცხო პორტში შესვლამდე, გაიგზავნოს მოსაწვევე ბარათების აუცილებელი რაოდენობა სახმედრო ატაშესთან (ელჩთან), რომელიც მოწვეულთა სიის ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგ, აგზავნის მათ მისამართების მიხედვით.

თუ მიღება დაგეგმილია შემდგომი წვეულებით, მაშინ, მოსაწვევე ბარათის ქვედა მარცხენა კუთხეში უნდა იყოს სათანადო მითითება (ნიშანი). ასეთ მიწვევაზე სავალდებულოა გაიცეს პასუხი. როგორც წესი, პასუხი უნდა გაეცეს მოსაწვევის მიღებისთანავე. პასუხი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში უნდა იყოს გამოხატული მადლიერება მოწვევისათვის და აღინიშნოს სინანული წვეულებაზე მიუსვლელობის გამო. თუ მოსაწვევე ბარათის მიმღები დარწმუნებული არ არის, რომ დაესწრება წვეულებას, ამ შემთხვევაში სჯობს წინასწარ განაცხადოს უარი, ვიდრე ბოლო მომენტში.

ყველა მოწვეულმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პასუხის დაგვიანება მასპინძელს უქმნის უხერხულ მდგომარეობას, რადგანაც ეს ხელს უშლის ორგანიზაციული საკითხების დროულად განხორციელებას. ამ მიზეზით მასპინძელი იძულებულია შეახსენოს მოწვევაზე პასუხის გაცემის აუცილებლობა.

საერთოდ პასუხის გაუცემლობა უაღრესად არაეთიკურია.

სახელმწიფოებში, სადაც არც თუ ისე იშვიათად, მართავენ წვეულებებს სადილის გარეშე, მოსაწვევ ბარათებში აღნიშნავენ: „სადილი განლაგებით“. ეს შეახსენებს სტუმრებს დანიშნული დროის დაცვის აუცილებლობას.

თუ საქართველოს სამხედრო ზომალდის ოფიცერთათვის მოსაწვევი ბარათები გამოგზავნილია არა პერსონალურად, არამედ კაიუტკომპანიის მისამართით, რომელშიც მითითებულია მხოლოდ მოწვეულთა რაოდენობა, მაშინ საპასუხო წერილთან ერთად აგზავნიან ოფიცერთა სახელობით სიასაც, რომლებიც იქნებიან წვეულებაზე. აღნიშნული სიის შეცვლა შემდგომში დაუშვებელია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა გათვალისწინებულია წვეულება სადილით. გაუთვალისწინებელი გარემოებისას, როცა ერთი პიროვნება უნდა შეიცვალოს მეორეთი, მეთაური ბოდიშს იხდის სიაში შეტანილი ცვლილებებისათვის. პასუხი მოწვევაზე, როგორც წესი, დაბეჭდილი უნდა იყოს სპეციალურ ბლანკზე, ან კერძო წერილის სახით. თუ მოსაწვევ ბარათზე აღნიშნულია ტელეფონის ნომერი, პასუხის შეტყობინება შეიძლება ტელეფონით. ასეთი მეთოდი დელეგაციათა მუშაობის პრაქტიკაში საერთაშორისო კონფერენციებზე ჩვეულებრივი გახდა. ეს მეთოდი აგრეთვე მიღებულია სამხედრო ზომალდების უცხოეთის პორტებში ყოფნისას. მოწვევაზე პასუხის გაცემა შეიძლება სიტყვიერადაც, მოსაწვევი ბარათის გადამცემი პიროვნების მეშვეობით.

ზომალდზე სტუმრების შეხვედრა. ყველა სტუმართმოყვარე მასპინძელი ცდილობს, რათა მის მიერ მოწვეულმა სტუმრებმა გულთბილი შეხვედრა იგრძნონ. ამ პრინციპს ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც წვეულებას (მიღებას) აქვს ოფიციალური ხასიათი. ამიტომ, წვეულებაზე მოსულ პირთა მიღების მოწყობისას, უცხო პორტებში მდგომ საქართველოს სამხედრო ზომალდებზე, უნდა მიექცეს განსაკუთ-

რებული ყურადღება, რათა სტუმრებმა მასპინძლისაგან დიდი პატივისცემა იგრძნონ.

ხომალდზე სტუმრების მიღებისას, სტუმარი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ოფიციალური პირი, მოცემულ მომენტში ვალდებულია წარსდგეს ინდივიდუალური სახით. ამიტომ მათ არ მიაგებენ იმ პატივს, რაც გათვალისწინებულია საპროტოკოლო ცერემონიალით ოფიციალური და საპასუხო ვიზიტის დროს, მაგრამ ყველა სტუმარს სავალდებულო ყურადღებას აქცევენ, ხოლო საპატიო სტუმრებისადმი* იჩენენ მაქსიმალურ ყურადღებას.

წვეულების ხომალდზე ჩატარებისას, მასპინძლის როლში გამოდის ხომალდთა რაზმის (ხომალდის) მეთაური. მოწვეულთა შეხვედრისას გემბანზე, მეთაური ელოდება საპატიო სტუმარს (სტუმრებს) ტრაპთან და მასთან ერთად შედის იმ დარბაზში, სადაც უნდა შეიკრიბოს ყველა მოწვეული.

თუ ხომალდზე მოსალოდნელია უცხოელი სტუმრების დიდი რაოდენობით მოსვლა, მათ შორის მთავრობის წარმომადგენლებისა, ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლებისა, ადმირალებისა და ოფიცრებისა, ამ შემთხვევაში ხომალდთა რაზმის მეთაურისა და ხომალდის მეთაურის გარდა მათ ხვდებიან სპეციალურად დანიშნული ოფიცრები. მათი რაოდენობა უნდა იყოს იმდენი, რომ სტუმართა არც ერთი მოწვეული ჯგუფი ყურადღების გარეშე არ დარჩეს.

წვეულების მომზადებისას უმჯობესია წინასწარ განისაზღვროს, ტრაპიდან განლაგების ადგილამდე მოწვეულთა სელის მარშრუტი. ძნელად გასასვლელ ადგილებთან საჭიროა უსაფრთხოების ზომების მიღება.

სტუმრების გაცილება. წვეულების დასკვნითი ეტაპია სტუმრების გაცილება, რომლის მოწყობაც, სტუმრების მიღებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. სტუმრებს სათანადო პატივს მიაგებენ გაცილების დროსაც. თუ არის შესაძლებლობა სტუმრებს ასაჩუქრებენ სამახსოვრო სუვენირებით. მასპინძელი აცილებს სტუმრებს იმ ადგილამდე, სადაც მათ დახვდა და ისევე ყურადღებით ეპყრობა, როგორც მიღების დროს. თუ წვეულებებზე

* საპატიო სტუმრებად ითვლებიან – საქართველოს ელჩი უცხოეთის ქვეყანაში, სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელები მასპინძელ ქვეყანაში.

სტუმრების რაოდენობა დიდი არ იყო, მასპინძელი უნდა დარჩეს იმ ადგილზე, სადაც დაემშვიდობა საპატიო სტუმრებს, რათა დანარჩენ სტუმრებს მიეცეთ მასპინძლისათვის მადლობის თქმის შესაძლებლობა. თუ წვეულებაზე იყო ბევრი სტუმარი, ამ შემთხვევაში მასპინძელი აცილებს მხოლოდ საპატიო სტუმრებს. დანარჩენ სტუმრებს აცილებენ ოფიცრები, რომლებიც მათ დახვდნენ წვეულებამდე. თუ შეხვედრა ჩატარდა ნაპირზე, მაშინ მასპინძელი სტუმრების გაცილებისას იმ ადგილამდე, სადაც მათ შეხვდა, ბოლომდე რჩება და ემშვიდობება წვეულების ყველა წევრს.

6. წარდგენა და გაცნობა

წარდგენა სხვადასხვა სახისაა და აქვს სხვადასხვა მიზნები. ერთ შემთხვევაში წარდგენა შეიძლება იყოს, როგორც აუცილებელი საპროტოკოლო ცერემონიალი, რომელიც დაცული უნდა იყოს — მაგალითად, დიპლომატიურ პრაქტიკაში, როდესაც საელჩოს ან საკონსულოს ახლად დანიშნულ თანამშრომლებს წარუდგენენ მასპინძელი ქვეყნის სათანადო ოფიციალურ წარმომადგენლებს. სხვა შემთხვევაში წარდგენას აქვს კერძო ხასიათი, არის რა საკუთარი ნებისყოფის გამომხატველი, რომელიც მიმართულია საერთო საზოგადო და დიპლომატიური ეტიკეტის დაცვისაკენ. ასეთი წარდგენის მიზანია — გააცნოს ადამიანები ერთმანეთს შემდგომი ურთიერთობისათვის.

ეტიკეტის კლასიკური წესებით, ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს გააცნოს რომელიმე სტუმარს დიპლომატიურ წვეულებაზე ან სხვა ანალოგიურ ღონისძიებაზე, სადაც შეკრებილია ადამიანთა მცირე რაოდენობა, სტუმარს აუცილებლად წარუდგენს მასპინძელი ან პირი, რომელიც მას იცნობს. პიროვნება წარსდგება თვითონ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახლოს არავინ არ იმყოფება ისეთი, ვინც წარუდგენდა მას. თანამედროვე ეტიკეტში არსებობს წარდგენის ზოგიერთი საერთო პრინციპები და წესები, რომლებიც როგორც წესი, გამოიყენება ბევრ სახელმწიფოში. ისინი დამყარებულია ზრდილობის ელემენტარულ ნორმებზე და ურთიერთპატივისცემაზე. ასე მაგალითად, თუ პიროვნებები ერთნაირი წოდების არიან, ამ შემთხვევაში უფრო ახალგაზრდას წარუდგენენ

შედარებით ხანშიშესულს, უფრო დაბალი წოდების ან დაბალი თანამდებობის პირს წარუდგენენ მას, ვინც სათანადოდ მაღალი რანგისაა. თუ წარდგენა ხდება ერთნაირი ასაკის, წოდების, თანამდებობის და ა.შ. პირებისა, ამ შემთხვევაში უნდა წარედგინოს ნაკლებად ცნობილი, უფრო მეტად ცნობილს. მამაკაცი ყოველთვის წარედგინება ქალბატონს.

ასეთი კლასიკური მეთოდით წარდგენა ხდება მაშინ, როდესაც სტუმართა რაოდენობა მცირეა. თანამედროვე წვეულებები, როგორც წესი, უფრო დემოკრატიული ხასიათისაა. ამ წვეულებებზე სტუმართა წარდგენის ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. სტუმრები წარუდგებიან მხოლოდ მასპინძელს, თუ ისინი არ იცნობენ ერთმანეთს და მხოლოდ მაშინ, როცა მასპინძელი მათ შეხვედრას იწყებს. ნებისმიერი სტუმარი ან წვეულების მონაწილე, თუ მას ვინმეს გაცნობის სურვილი გაუჩნდა, წარუდგება მას საკუთარი ინიციატივით.

წარდგენის ჩვეულებრივი ფორმები. როდესაც ერთმანეთს აცნობენ ორ პიროვნებას, წარადგენენ, მაგალითად, შემდეგი მიმართვით: „ბატონი გიორგი საყვარელიძე“. მამაკაცს წარუდგენენ იგივე წესით, მაგრამ არსებობს წარდგენის სხვა ფორმაც. მაგალითად: „ქალბატონო ნინო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ბატონი დავით ბაქრაძე“. წარდგენის იგივე ფორმა საზღვარგარეთ ქვეყნებშიც მაგალითად: „ბატონო ჯონ, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ბატონი ლევან სიხარულიძე“. ოფიცერთა, ადმირალთა (გენერალთა) წარდგენისას მიუთითებენ მათ წოდებას: „ბატონო რონალდ, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ II რანგის კაპიტანი ბატონი ივერი ბერიძე“. იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმეს წარუდგენაა საჭირო სენატორისათვის, დოქტორისათვის, მოსამართლისათვის ან სასულიერო პირისათვის, ასახელებენ მათ ტიტულს. მაგალითად, „ბატონო სენატორო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ კონტრადმირალი ბატონი თეიმურაზ ბარამიძე“. არსებობს წარდგენის სხვა ფორმა, რომელსაც აქვს კითხვითი ფორმა: „ბატონო არნოლდ, თქვენ იცნობთ I რანგის კაპიტანს ბატონ გურამ ამაშუკელს“?

წარდგენის მიუღებელი ფორმები. ერთი პიროვნების მეორისთვის წარდგენისას არ შეიძლება ითქვას: „მე მსურს გაგაცნოთ ბატონი დავით აბაშიძე“. მამაკაცის ქალბატონისათვის წარდგენისას შეიძლება კითხვა:

„თქვენ იცნობთ ქალბატონ თინათინს?“, მაგრამ არ შეიძლება კითხვა: „ქალბატონო თინათინ, თქვენ იცნობთ ბატონ გურამს?“.

როგორ პასუხობენ, როდესაც წარუდგენენ ვინმეს ამა თუ იმ პიროვნებას? ნებისმიერ შემთხვევაში, ის, ვისაც წარუდგენენ პიროვნებას გასაცნობად, პასუხობს: — „გამარჯობათ“. მაგალითად: „ქალბატონო ნორმან, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ კონტრადმირალი ბატონი გიორგი ფალავა“. ქალბატონი ნორმანი პასუხობს: „გამარჯობათ“. კონტრადმირალი პასუხობს თავის დახრით.

ხელის ჩამორთმევა. წარდგენის შემდეგ ახალი ნაცნობები გაუზიარებენ ერთმანეთს აზრებს და ხშირ შემთხვევაში ჩამოართმევენ ხელს. ხელის ჩამორთმევა არ უნდა გამოიხატებოდეს ძლიერი ხელის მოჭერით, ან პირიქით, ჩამორთმეული ხელის ქნევა ან ორი ხელით მოჭერა არაეთიკურია.

თუ ერთმანეთს აცნობენ მამაკაცებს, ხელის ჩამორთმევა უნდა შესთავაზოს იმან, ვისაც წარუდგენენ გასაცნობად სხვა პიროვნებას. მამაკაცის ქალბატონისათვის წარდგენისას ქალბატონი პასუხობს ოდნავი თაყვანისცემით (ჟესტით, რევერანსით) და ამბობს: „გამარჯობათ“. რაც შეეხება ხელის ჩამორთმევას ეს დამოკიდებულია ქალბატონის სურვილზე, შესთავაზებს თუ არა ხელს ჩამოსართმევად. ეს მისი უფლებაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალბატონის მიერ შემოთავაზებულ ხელს, იმის მიხედვით, თუ როგორ მოგაწვდით, ზოგჯერ ხელზე კოცნით პასუხობენ.

დამშვიდობებისას არაა აუცილებელი იმ პირების ხელის ჩამორთმევა, რომელთაც საუბარში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ერთმანეთისადმი არ იყვნენ წარდგენილნი.

გამარჯობის თქმის წესი. (მისალმების წესი). ამ შემთხვევისათვის თანამედროვე ეტიკეტით გათვალისწინებულია მთელი რიგი აუცილებელი წესები. ასე მაგალითად: გამარჯობას ყოველთვის ეუბნება უმცროსი უფროსს, დაგვიანებული — მომლოდინეს, შემოსული — ადგილზე მყოფს. ერთნაირი რანგის, წლოვანების, თანამდებობის, წარმოშობის პირები იქცევიან ისე, როგორც გათვალისწინებულია ცნობილი ფრანგული სამხედრო ეტიკეტით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: ორი ოფიცრიდან,

რომელთაც აქვთ ერთნაირი წოდება, პირველი ეტყვის გამარჯობას ის, ვინც თავის თავს თვლის უფრო ზრდილობიანად და თავმდაბლად.

პიროვნება, რომელიც შედის შენობაში და სადაც შეკრებილნი არიან სტუმრები, მდგომარეობის შესაბამისად გამარჯობას ეტყვის ყველას ერთად ან ცალ-ცალკე. თუ დაგვიანებული სტუმარი აპირებს მაგიდასთან დაჯდომას, სადაც სტუმრები უკვე განლაგებულნი არიან, იგი იკავებს რა ადგილს, კიდევ ერთხელ მიესალმება გვერდზე მსხდომ მეზობლებს ხელის ჩამორთმევის გარეშე.

დიპლომატიურ წვეულებებზე, სადაც სტუმართა რიცხვი მცირეა (საუზმის, სადილის, ვახშმის დროს) პირველ რიგში მიესალმებიან მასპინძელს და მის მეუღლეს, ქალბატონებს, ჭარმაგ, ხანშიშესულ მამაკაცებს და შემდეგ დანარჩენ ახალგაზრდებს. ამის შემდეგ მიესალმებიან შედარებით მოხუც და პატივცემულ მამაკაცებს, შემდეგ დანარჩენ სტუმრებს.

მისალმების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გამართულად დგომას, თავის დაჭერას. პიროვნებას, რომელსაც ესალმებიან, უყურებენ პირდაპირ და გაღიშებით. მისალმებისას წელში არ იხრებიან. მჯდომარე მდგომარეობაში მისალმებისას, აუცილებლად საჭიროა ფეხზე ადგომა; თუ თანამდებობრივად ან წლოვანებით უფროსი მისალმებისას ხელს არ ჩამოართმევს, ამ შემთხვევაში საჭიროა ოღნავი თავის დახრა ახალგაზრდა მამაკაცის მიერ.

თუ ოთახში შემოდის მანდილოსანი (ქალი), მამაკაცი ვალდებულია ადგეს ფეხზე და იდგეს მანამდე, სანამ ქალბატონი არ დაჯდება, ან არ გავა ოთახიდან. საზოგადო ადგილებში მამაკაცს, რომელსაც უახლოვდება უცნობი მანდილოსანი, შეუძლია არ ადგეს, მაგრამ თუ ეს მანდილოსანი მიმართავს, ამ შემთხვევაში მამაკაცი დგება ფეხზე და პასუხობს.

7. ტანსაცმლის ფორმა და ქცევის წესები ოფიციალურ მიღებებზე (წვეულებებზე)

დიპლომატიურ ღონისძიებებზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმულობას და ქცევას. ამიტომ, დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის შესაბამისად, დიპლომატები ეყრდნობიან წესებს, რომლებიც ეხება

განსაზღვრული ფორმის ტანსაცმლის ტარებას, რომელიც დამოკიდებულია ამა თუ იმ სიტუაციაზე. სამხედრო ხომალდის უცხო პორტში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილე სამხედრო პირები იცვამენ შესაბამისი ფორმის ტანსაცმელს. ამას აცხადებს რაზმის (ხომალდის) მეთაური, რომელიც გამოძვინარეობს დაწესებული მოთხოვნებიდან, რომელშიც მითითებულია სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო მოსამსახურეთათვის ტანსაცმლის ფორმის ტარების შესახებ.

ოფიციალურ მიღებაზე ოფიცრები უნდა იყვნენ საზეიმო ან საზეიმო-გამოსასვლელ ტანსაცმელში. იგივე ტანსაცმელში ასრულებენ ისინი საპროტოკოლო ვიზიტს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან და აგრეთვე ხვდებიან ოფიციალურ პირებს, რომელნიც საპასუხო ვიზიტით იმყოფებიან. ხომალდზე მიღებისათვის რაზმის (ხომალდის) მეთაური გარემოებასთან დამოკიდებულების შესაბამისად გასცემს ბრძანებას ყოველდღიური ფორმის (ტანსაცმლის) თეთრ პერანგთან ჩაცმაზე. გამონაკლის შემთხვევებში წვეულებებზე, განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში, ჩასაცმელად ადგენენ ტანსაცმლის საზეიმო ფორმას, რაც მოსაწვევ ბარათში სპეციალურადაა მინიშნებული.

ოფიციალური პირების მიერ ხომალდების დათვალიერებისას და აგრეთვე დელეგაციების, ადგილობრივი მოსახლეობის ხომალდზე მიღებისას, მთელი პირადი შემადგენლობისათვის ჩასაცმელად ცხადდება საზეიმო გამოსასვლელი ფორმა. აღნიშნული ღონისძიებების დროს, ზედა გემბანზე და სხვა ადგილებზე, ეკიპაჟის ნებისმიერი წევრის სამუშაო ტანსაცმელში გამოჩენა დაუშვებელია.

პირთათვის, რომელნიც ემსახურებიან წვეულებას, დგინდება ერთნაირი ფორმა. ყველა ისინი უნდა იყვნენ აბსოლუტურად სუფთად ჩაცმულნი, დაუშვებელია მათი გამოჩენა დაუუთოებელი ტანსაცმლით და ა.შ.

საზოგადოებაში თავდაჭერა არის არამარტო საერთო-საზოგადო და დიპლომატიური ერთ-ერთი მთავარი წესი, არამედ სამხედრო ეტიკეტისაც. პიროვნების კულტურაზე მსჯელობენ მისი ქცევით, შესახედაობით, გარშემომყოფთა მიმართ დამოკიდებულებით, ამიტომ საჭიროა, რომ ჩამოთვლილი პირადი თვისებები პასუხობდეს საერთოდ მიღებულ ნორმებს. თანამედროვე ეტიკეტის თანახმად პირები, რომელნიც იმყოფებიან უცხო

ადამიანთა საზოგადოებაში, არ უნდა მოიქცნენ ისე, რომ მოხვდნენ გადა-
მეტებული ყურადღების ცენტრში. ასეთი მოქცევა დასაშვებია მხოლოდ
მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია აუცილებლობით ან მოვალეობით (მა-
გალითად: წვეულების გამანაწილებელ-ორგანიზატორი).

საერთოდ ცნობილია, რომ საზოგადოებაში გამოჩენამდე ყველა პი-
როვნება, ჯერ კიდევ სახლში, კაიუტაში ან საცციალურ ადგილას, გულ-
დასმით ამოწმებს თავის შესახედაობას, რადგანაც საზოგადოებაში არ
შეიძლება (მით უმეტეს მაგიდასთან) თმის ვარცხნა, კოსტუმის წმენდა
და ა.შ. იქ, სადაც საჭმელს მიირთმევენ არ არის რეკომენდებული, მაგა-
ლითად, ხელით თმის გასწორება ან უბრალოდ შეხება.

შენობაში შესვლის შემდეგ გამარჯობის თქმის, წარდგენის შემთხვე-
ვაში, მადლობის გამოხატვის შემთხვევაში, რაიმე თხოვნით მიმართვისას,
საცეკვაოდ მიწვევისას ან ანალოგიურ სხვა შემთხვევებში, როგორც წე-
სი, საჭიროა თავის ოდნავი დახრა, ამ დროს კორპუსი (სხეული)
გამართული უნდა იყოს, ხელი ეკავოს სწორად, ქუსლები ერთად, თავს
ხრიან ნელა და ოდნავ, წელში არ იხრებიან.

სკამზე ჯდომისას კორპუსი უნდა იყოს სწორი, თავისუფალი, წელში
არ უნდა იყოს მოხრილი და არ ეყრდნობოდეს გარშემო მდგარ ნივთებს.
დაჯდომა და ადგომა ხდება ხმაურის გარეშე, სკამის გაწვევ-გამოწვევა არ
შეიძლება, არ შეიძლება ფეხის ქნევა, სკამის ფეხების ფენსაცმლით შე-
ხება და ა.შ. უფროსი ასაკის წარმომადგენლების ყოფნისას, სკამზე
ჯდომის შემთხვევაში არ შეიძლება ფეხის ფეხზე გადადება. ულამაზოა
ხელზე თავის დაყრდნობა ან ხელებზე თავის დადება, აგრეთვე ასეთ პო-
ზაში საუბარი.

უცხო საზოგადოებაში, მაგიდასთან ყოფნის დროს, არ შეიძლება
ხელში ნივთის ტრიალი, თითებით მაგიდაზე ან სკამზე კაკუნი, ხელების
სრესა, კისრის ან ყურის ფხანა, ხელით ლოყაზე ან შუბლზე ფათური
და ა.შ. ასეთი ჩვეულებებისაგან საჭიროა გადაჩვევა.

საუბრის დროს ფესტიკულაცია მიუღებელია. დაშვებულია მხოლოდ
ოდნავი ფესტი, რომელიც მიანიშნებს რაიმე სიტყვის და ფრაზის მნიშ-
ვნელობას. მაგალითად, როცა სთავაზობენ დაჯდომას – „დაბრძანდით
ბატონო“, „გაიცანით“ და ა.შ.

ვინმესთან საუბრის დროს მოსაუბრეს უყურებენ თვალებში და გამოხატავენ ყურადღებას, როგორც მოსაუბრის, ასევე სალაპარაკო თემის მიმართ. ამ დროს საჭიროა არა მხოლოდ ყურადღების გამოხატვა, არამედ საუბრის თემის გულდასმით მოსმენა, რათა რაიმე შეკითხვის დროს უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ. ანალოგიურ შემთხვევებში არ შეიძლება ისეთი შეკითხვების დასმა, როგორცაა: „რა?“ და „როგორ?“ თუ მაინც მოხდა ისე, რომ მოსაუბრის აზრი გამოგრჩათ, საჭიროა ბოდიშის მოხდა და მიმართვა, მაგალითად: „მაპატიეთ, ვერ გავიგე, თუ შეიძლება გაიმეორეთ“ და ა.შ. მოსაუბრის შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს მიუღებელია პასუხი „დიახ“ და „არა“.

საუბარი უნდა იყოს წყნარი, დაბალი ტემპის, ყველა სიტყვა უნდა იყოს ნათქვამი გარკვეულად, უცხო ენის სიტყვებით სარგებლობენ მხოლოდ მაშინ, როცა იციან მათი მნიშვნელობა და სწორი გამოთქმა. აზრები გამოთქმული უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლედ, ნათლად და ამავე დროს არ უნდა ირღვეოდეს ლოგიკური კავშირი ფრაზებს შორის. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც შინაარსიანი საუბარიც არ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას, თუ ლაპარაკის დროს იხმარება ჟარგონული, პარაზიტული სიტყვები, ისეთები, როგორცაა მაგალითად: „აი ასე“, „სხვათა შორის“, „მაშასადამე“, „გაიგეთ“ და ა.შ. უზრდელურია, მაგალითად, მოსაუბრისთვის პასუხის გაცემისას ან თავისი აზრის გამოხატვისას სალაპარაკო თემის მიმართ ითქვას „კი“, „ვაა“, „კმ“, „ხოო“ და ა.შ. ლექსიკური ან სხვა სახის შეცდომების დაშვებისას სიცილი ან ხაზგასმა შეცდომაზე – უზრდელობაა.

საუბრის დროს არჩევენ თემას, რომელიც შეესაბამება ადგილს, დროს, პირობებს და მდგომარეობას. სამხედრო მოსამსახურეები უცხო ხალხის თანდასწრებით სამსახურებრივ საკითხებზე არ მსჯელობენ. საუბრის დროს ცნობისმოყვარეობას არ ავლენენ ისევე, როგორც არ ავლენენ სხვათა ინტიმურ საქმეებში ჩარევის სურვილს. ანეკდოტის მოყოლა ან ზუმრობა შეიძლება მაშინ, როდესაც ეს არ სცილდება ზრდილობის ფარგლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ტაქტისა და ზრდილობის გრძნობას.

ამა თუ იმ თემაზე მსჯელობისას ყურადღებას აქცევენ საუბრის ტონს, რაც გარკვეულად მიუთითებს ადამიანის ხასიათზე, მის დამოკიდე-

ბულებზე მოსაუბრისა და გარშემომყოფთა მიმართ, მის ზრდილობაზე. ერთი და იგივე სიტყვები და ფრაზები შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს გაგებული მოსაუბრისა და საზოგადოების მიერ იმის მიხედვით, თუ რა ტონით იქნება ნათქვამი ისინი. მიუღებელი ტონით ლაპარაკის დროს, შეიძლება მოსაუბრე განაწყენდეს და თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, რადგანაც ხშირად სიტყვები არ მოქმედებს ისე, როგორც ტონი, რომლითაც გამოითქმება სიტყვა თუ ფრაზა.

ტაქტიანი და ზრდილობიანი მოსაუბრე უნდა ლაპარაკობდეს ისე, რომ არავის აძლევდეს აშკარა უპირატესობას. თუ მას წარმოეშვა საჭიროება, რათა მიმართოს პიროვნებას, რომელიც საზოგადოების გარემოცვაში იმყოფება, საჭიროა ბოდიში მოიხადოს საუბრის შეწყვეტის გამო, წარსდგეს მათ წინაშე და წარმოთქვას ის, რასაც თვლის საჭიროდ.

საუბრის აუცილებელი პირობაა ის, თუ როგორ უნდა მოუსმინო მოსაუბრეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იყო ჩუმად. სხვისი საუბრის შეწყვეტა უტაქტობაა. საჭიროა მოსაუბრეს მოუსმინო ბოლომდე და მხოლოდ ამის შემდეგ სთქვა საკუთარი აზრი. მაშინაც კი, როცა მოსაუბრე ეხება მოსაწყენ თემას, მოთმენა ითვლება და არის ზრდილობისა და შეგნების მანიშნებელი.

იმ შემთხვევაში, თუ საუბრის დროს თქვენს აზრს მხარდაჭერა არა აქვს, არაა მიზანშეწონილი მის დასაცავად კამათის გამართვა. ასეთი კამათი სხვა იქ მყოფ საზოგადოების წევრებზე უარყოფითად მოქმედებს. იმისათვის, რომ სხვა დაარწმუნო საკუთარ აზრში, საჭიროა თვითონ იყო მყარად დარწმუნებული. არაა საჭირო აღელვება და უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალური საუბრისას მიუღებელია პიროვნებაზე გადასვლა და მასზე უარყოფითი ლაპარაკი.

საუბარი მაგიდასთან. ეტიკეტის უცვლელ წესად ითვლება, რომ მაგიდასთან მსხდომნი ვალდებული არიან ისაუბრონ ერთმანეთთან. ერთმანეთის გვერდით ჩუმად ყდომა უზრდელობაა. არსებობს ეტიკეტის უცვლელი და მყარი წესები, რომლის მიხედვითაც საჭიროა მაგიდასთან ორივე მეზობელს ესაუბრებოდე (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი მათგანი თქვენ არ გსიამოვნებთ); აგრეთვე შეიძლება საუბარი არა მართლ უშუალო მეზობლებთან, არამედ ახლომჯდომარე პიროვნებასთან. ამ-

ასთან, უნდა იცოდეთ, რომ მთელი მაგიდის წვერების გასაგონად საუბარი არ ნიშნავს თავაზიანობას და ზრდილობას.

გვერდით მსხდომი უცნობი ადამიანები, როგორც წესი, თვითონ ეცნობიან ერთმანეთს. მაგალითად: იღებ მაგიდაზე დადებულ ფურცელს, სადაც წერია თქვენი სახელი და გვარი, აჩვენებ მეზობელს და მიმართავ: „ეს ჩემი სახელი და გვარია“. შემდეგ ეცნობიან მეზობლის გვართა და სახელით შევსებულ ფურცელს, მაგრამ შეიძლება მეზობლის წინაშე წარსდგე ჩვეულებრივი მეთოდით და გაეცნო.

მაგიდასთან საუბრობენ მსუბუქ თემაზე, რომელიც სადილს ხელს არ უშლის. უფრო გაცხოველებული საუბრისათვის გამოიყენებენ იმ შემთხვევებს, რომლებიც არსებობს სხვადასხვა კერძების მიტანის პროცესში. რთულ პრობლემებზე არ საუბრობენ და არც კამათობენ.

თამბაქოს მოწვევა. არსებობს საერთო წესი, რომლის მიხედვითაც იქ, სადაც არიან პიროვნებები, რომლებიც არ ეწვეიან, თამბაქოს მოწვევა არ შეიძლება. ქალბატონთან ყოფნის დროს მამაკაცი ყოველთვის თხოულობს მისგან თანხმობას თამბაქოს მოწვევაზე.

თამბაქოს, სიგარეტის ან სიგარის შეთავაზება შეიძლება მხოლოდ კოლოფიდან. სიგარის ბოლო ნაწილის მოკებრა არ შეიძლება, მიზანშეწონილია მისი მოჭრა დანით ან სპეციალური მაკრატლით.

თუ პიროვნება სთავაზობს თამბაქოს ან სიგარეტს და თვითონაც აპირებს მოწვევას, მაშინ საჭიროა მას შესთავაზოს ასანთის მოკიდება. მიუღებელია ცეცხლმოკიდებული სიგარეტიდან ცეცხლის მოკიდების შეთავაზება. სიგარეტის კვამლის გაშვება ხდება მოსაუბრის საწინააღმდეგო მხარეს, ცარიელ სივრცეში, სადაც არაფერ იმყოფება. იმ შემთხვევაში, როცა სიგარეტის ნამცეცი ხვდება პირის ღრუში, მისი გადმოფურთხება არ შეიძლება, მიღებულია მისი ხელსახოცით მოწმენდა ტუჩებიდან. მიუღებელია პირში სიგარეტით ლაპარაკი. მისალმების დროს საჭიროა პირიდან ჩიბუხის ან სიგარეტის გამოღება.

სიგარეტის ფერფლი უნდა ჩაიყაროს საფერფლეში, ამ მიზნით სასადილო ჭურჭლის ხმარება არ შეიძლება. სიგარეტის დადება დროებით შეიძლება საფერფლის კიდეზე. სიგარეტის მოწვევის დამთავრების შემდეგ საჭიროა მისი ჩაქრობა საფერფლეში ისე, რომ მას კვამლი აღარ ასდიო-

დეს. უზრდელობად ითვლება სიგარეტის ჩაქრობა რომელიმე სხვა საგანზე.

თუ საფერფლე არ არის მაგიდაზე მიზანშეწონილია მისი მოთხოვნა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მასპინძელს მიაჩნია, რომ სტუმრებმა თავი შეიკავეთ სიგარეტის მოწვევისაგან მანამ, სანამ მათ არ მიართმევენ სიგარეტს, თამბაქოს, სიგარას. საუზმის, სადილის და ვახშმობის დროს სიგარეტის მოწვევა მიუღებელია მანამ, სანამ არ მიართმევენ ყავას ან ჩაის. ყველა შემთხვევაში მაგიდასთან მოწვევა შეიძლება მხოლოდ მასპინძლის და იქ მყოფთა თანხმობით. უნდა გკახსოვდეს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში შეიძლება იყოს სიგარეტის მოწვევის სხვაგვარი წესი, საერთოდ მიღებულ წესებთან შედარებით. მაგალითად, ინგლისში სიგარეტის მოწვევა შეიძლება მხოლოდ დედოფლის სადღეგრძელოს წართმევის შემდეგ.

ყველა სიტუაციაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს დაკავშირებული სიგარეტის მოწვევასთან, იმისათვის, რომ არ დაირღვეს მოცემულ სახელმწიფოში მიღებული წეს-ჩვეულებები, ადგილობრივ თავისებურებასთან შესაბამისად, ყურადღება ექცევა საზოგადოებას და საექვო შემთხვევაში ორიენტირდებიან მასპინძლის მოქმედების მიხედვით.

წვეულებიდან წასვლა. მაგიდასთან მჯდომი სტუმრის ადგომის შემთხვევაში, სკამის გამოწეულ მდგომარეობაში მიტოვება არ შეიძლება. თუ წვეულებაზე არიან მანდილოსნებიც, მაშინ მამაკაცები ეხმარებიან გვერდით მჯდომ მანდილოსნებს ადგომისას. ამისათვის საჭიროა მამაკაცი ადგეს და როგორც კი მანდილოსანი ოდნავ წამოდგება მისი სკამი გამოსწიოს. როდესაც მანდილოსანი ადგება, მის სკამს უხმოდ დადგამს ადგილზე და შემდეგ გააცილებს მას.

წვეულების დატოვებისას საუბრის უცებ შეწყვეტა არ შეიძლება, საჭიროა საუბრის ლოგიკურ დაბოლოებამდე მიყვანა და მხოლოდ ამის შემდეგ დამშვიდობება. დამშვიდობებისას საჭიროა ოდნავ წელში მოხრა და თქმა: „ნახვამდის“. წასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა უზრდელობაა.

წვეულებიდან ადრე წასვლის შემთხვევაში, საჭიროა მომენტის შერჩევა მასპინძელთან გამოსამშვიდობებლად.

8. მიწერ-მოწერა, წერილებისა და დოკუმენტების ფორმები, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათები

საქართველოს სამხედრო ხომალდების უცხო პორტში ყოფნისას, ხომალდისა და ხომალდთა რაზმის მეთაურებს სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტისას უხდებათ ადგილობრივ სამხედრო და სამ.იქალაქო ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. ასეთი რამ ტარდება სიტუკიერად ან წერილობით. საკითხების ნუსხა, რომლებითაც ხდება მიმართვა წერილობით, საკმაოდ ფართოა. მას განეკუთვნება: მატერიალური ხარჯები (ხომალდების მომარაგება, შეკეთება, ბუქსირება და ა.შ.); მოქმედებები, რომლებზეც საჭიროა ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობა; ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობაზე წერილობითი პასუხი უნდა გაიცეს (მაგალითად: სადილი, წვეულება და ა.შ.) და სხვა.

ამგვარი წერილებით მიმართვის დროს საჭიროა სათანადო წესების დაცვა. მაგალითად, არსებობს საქმიანი წერილების, დეპეშების, მოსაწვევი ბარათებისა და სხვა საბუთების შედგენის საერთოდ მიღებული ფორმა.

საქმიანი წერილის შედგენისას, პირველი გვერდის ზემოთა მარჯვენა კუთხეში აღნიშნული უნდა იყოს წერილის გამგზავნის ადგილსამყოფელი და თარიღი, ხოლო მარცხენა კუთხეში ან ტექსტის ზემოთ — წოდება, გვარი და თანამდებობა. წერილის დასაწყისში აღნიშნება გასვლის ნომერი, შემდეგ ტექსტი. ტექსტის ქვემოთ მიუთითებენ დანართის შესახებ (თუ ის არსებობს). წერილს დებენ კონვერტში, რომელზეც აღნიშნულია მიმღების წოდება, გვარი, თანამდებობა და მისამართი, ქალაქის (პორტის) მითითებით და თუ საჭიროება მოითხოვს, ხომალდის სახელწოდება, რომელზეც იმყოფება ადრესატი.

დეპეშებს ადგენენ დაწესებული ფორმის სპეციალურ ბლანკზე.

წერილების, დეპეშების და სხვა საბუთების სახეობები მოყვანილია მე-5 დანართში.

სამსახურებრივი კორესპონდენციისათვის მიზანშეწონილია ისეთი კონვერტებისა და ქაღალდის გამოყენება, რომელზეც აღნიშნული იქნება (ზემოთა მარცხენა კუთხეში) ხომალდების კლასის საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მიერ დამტკიცებული ემბლემა.

საეიზიტო ბარათები ფართოდ გამოიყენება დიპლომატიურ და საერთაშორისო საქმიან პრაქტიკაში. მათ ცვლიან გაცნობისას. საეიზიტო ბარათთან ერთად აგზავნიან საჩუქრებს, ყვავილებს და ა.შ.

საეიზიტო ბარათებს ამზადებენ ტიპოგრაფიული წესით. მასზე აღნიშნულია სამხედრო წოდება, სახელი და გვარი, ზოლო ქვემოთ – თანამდებობა. ასეთი საეიზიტო ბარათის ნიმუში მოყვანილია მე-4 ნახაზზე.

II რანგის კაპიტანი
ვახტანგ გიორგის ძე შარაშენიძე
საესკადრო ნაღმმატარებელ
„ქარიშხალა“-ს მეთაური

ნახ. 4. საეიზიტო ბარათი, სადაც აღნიშნულია წოდება და თანამდებობა

ზოგ შემთხვევაში საეიზიტო ბარათზე თანამდებობას არ მიუთითებენ.(ნახ. 5.)

I რანგის კაპიტანი
ილია ფერაძე
საქართველოს
სამხედრო-საზღვაო ძალები

ნახ. 5. საეიზიტო ბარათის ნიმუში წოდების მითითებით

საეიზიტო ბარათების დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ სახელი აღნიშნული იყოს გვარის წინ. ასეთი წესი მიღებულია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანებში და ამ წესიდან გადახვევამ

შეიძლება გაუგებრობამდე მიგვიყვანოს, რადგანაც უცხოეთში გვარი შეიძლება მიიღონ როგორც სახელი და პირიქით.

სავიზიტო ბარათებს თანამდებობის პირთათვის ბეჭდავენ უმაღლესი ხარისხის სქელ ქაღალდზე, ქართულ ენაზე ან ქართულ და რომელიმე უცხოურ ენაზე. მაგალითად, თუ ვიზიტი დაგეგმილია ამერიკის რომელიმე ქვეყანაში, მეორე წარწერა სავიზიტო ბარათზე იქნება ინგლისურ ან ესპანურ ენაზე, თუ აფრიკაში – ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. ასეთი სავიზიტო ბარათის ნიმუში მოყვანილია მე-ნ ნახაზზე.

სავიზიტო ბარათის ზომები ლიმიტირებული არ არის და დამოკიდებულია უკვე მიღებულ პრაქტიკაზე, მაგრამ ზომები არ უნდა აღემატებოდეს 50X100 მმ. რამდენადმე დიდი ფორმატისაა (70X130 მმ.) მხოლოდ კაიუტკომპანიის სავიზიტო ბარათები, რომლებიც იგზავნება მხოლოდ კაიუტკომპანიის სახელით. ასეთი სავიზიტო ბარათის ნიმუში მოყვანილია მე-7 ნახაზზე.

თამაზ გერსამია

საქართველოს საზღვაო
ძალების სარდალი

TAMAZ GERSAMIA

**Comander Georgian
Navi**

ა)


ბ)

ნახ. 6. ორ ენაზე შესრულებული სავიზიტო ბარათის ნიმუში

ა) – წინა მხარე, ბ) – უკანა მხარე.

როგორც წესი, სავიზიტო ბარათებს ცვლიან და ამ დროს უნდა იყოს დაცული ურთიერთობის პრინციპი. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სავიზიტო ბარათს აგზავნიან ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, რომელიც უფრო მისაღებია და უპირატესობასაც ანიჭებენ, რადგანაც გადაცემის გარანტია რეალურია. არსებობს წესები, რომლის მიხედ-

ვითაც პიროვნება, რომელიც ეწვია სხვას, აუცილებლად ტოვებს თავის სავიზიტო ბარათს. ეს გამოორიცხავს რაიმე შეცდომას და იძლევა სტუმრის სწორად ამოცნობის საშუალებას.



ნახ. 7. კაიუტკომპანიის სავიზიტო ბარათის ნიმუში

ზოგიერთ შემთხვევაში, ვიზიტის ნაცვლად შეიძლება სავიზიტო ბარათის დატოვება. თუ ამას აკეთებენ პირადად, სავიზიტო ბარათის მარჯვენა მხარე მთელ სიგანეზე უნდა მოიკეცოს. თუ ტოვებენ კონვერტით, მაშინ გადაკეცვა არ არის საჭირო. არ შეიძლება ნაპირის გადაკეცვა, როდესაც სავიზიტო ბარათს აგზავნიან ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, რადგანაც ეს ითვლება ეტიკეტის უხეშ დარღვევად. ასეთ ვიზიტებზე პასუხობენ ანალოგიურად არაუგვიანეს 24 საათისა, სავიზიტო ბარათის მიღების მომენტიდან.

სავიზიტო ბარათების გაგზავნის ან დატოვების შემთხვევაში, რაც ცვლის პირად ვიზიტს, მარცხენა ქვედა კუთხეში, აკეთებენ შემდეგ შემოკლებულ წარწერებს:

- **P.R. (Pour Remersier)** – მაღლობის გამოხატვისას;
- **P.F. (Pour feliciter)** – დღესასწაულის მილოცვისას;
- **P.F.C. (Pour faire connaissance)** – გაცნობის შემდეგ კმაყოფილებისას;
- **P.F.C.N.a (Pour feliciter Nouvel an)** – ახალი წლის მილოცვისას;

– **P.P.C. (Pour prendre conge)** – დამშვიდობებისას, როდესაც პირადად ვერ დაემშვიდობა;

– **P.C. (Pour condolance)** – მწუხარების გამოხატვისას;

– **P.P. (Pour presenter)** – სხვა პიროვნების წარდგენისას.

დაუსწრებლად გაცნობის დროს წარმდგენი პიროვნების სავიზიტო ბარათი იგზავნება რეკომენდებული პიროვნების სავიზიტო ბარათთან ერთად, რომელზეც ამ შემთხვევაში აკეთებენ შემდეგ წარწერას **P.P.** საპასუხო სავიზიტო ბარათს აგზავნიან წარწერის გარეშე.

მოსალცი სავიზიტო ბარათების მიღებისას, პასუხს უბრუნებენ წარწერით **P.R.** ბარათებს ასეთივე წარწერებით აგზავნიან სამახსოვრო საჩუქრებისათვის მადლობის გამოხატვისას.

სავიზიტო ბარათებზე შეიძლება სხვა წარწერების გაკეთება, მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ წარწერები კეთდება მესამე პირში, მაგალითად: „ვილოცავენ თავისუფლების დღეს 26 მაისს“, „მადლობას გამოხატავს მილოცვისათვის“ და ა.შ.

კონცერტის ბილეთების გაგზავნისას, თანდართულ სავიზიტო ბარათებზე არავითარ წარწერებს არ აკეთებენ და არც საპასუხო ბარათებს აგზავნიან. ამ წესებით სარგებლობენ სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც.

საქართველოს სამხედრო ხომალდების მეთაურების მიერ მოსაწვევი ბარათების გამოყენება ხდება უცხო პორტებში შესვლისას წვეულებების მოწყობის დროს. მოსაწვევ ბარათებს აგზავნიან წინასწარ, ხელსაყრელ დროს, რათა მოწვეულ სტუმარს ჰქონდეს საკმარის დრო პასუხის გასაცემად.

მოსაწვევ ბარათებს ბეჭდავენ სტამბური წესით თხელ და მკვრივ ქაღალდზე (მუყაოზე) ზომით 110X170. ასეთი ბარათის ნიმუში მოყვანილია მე-8 ნახაზზე.

მოსაწვევი ბარათის ზემო ნაწილზე იწერება თანამდებობა, სამხედრო წოდება, გვარი და ინიციალები იმ თანამდებობის პირისა, ვისი სახელითაც ტარდება წვეულება. მოსაწვევ ბარათებზე, რომლებსაც აგზავნის სამხედრო ხომალდების შენაერთის მეთაური, ზემო ნაწილის მარცხენა კუთხეში, როგორც წესი, აღნიშნულია მისი თანამდებობრივი დროშა. მოსაწვევ ბარათებზე, რომლებსაც აგზავნიან ხომალდების მეთაურების

სამხედრო ზომალლების
შენაერთის მეთაური
ვიცეადმირალი
დავით ზოიძე

გთხოვთ _____
 მობრძანდეთ _____
 რომელიც შედგება _____ საათზე _____ 200- წ.
 კატარლა გემზე მისაყვანად დაგელოდებით — მისადგომზე
 ტანსაცმლის ფორმა _____

გთხოვთ გვიპასუხოთ


ნახ.გ. სამხედრო ზომალლების შენაერთის მეთაურის
მოსაწვევი ბარათი

საესკადრო ნაღმპატარებელ
„მამაცი“-ს მეთაური
II რანგის კაპიტანი
ლევან გიორგაძე

გთხოვთ _____
 მობრძანდეთ _____
 რომელიც შედგება _____
 _____ საათზე _____ 200 - წ.
 ტანსაცმლის ფორმა _____

გთხოვთ გვიპასუხოთ

ნახ. 9. ზომალდის მეთაურის მოსაწვევი ბარათი

	<p>საესკადრო ნაღმმატარებელ „მამაცი“-ს კაიუტკომპანია</p>
<p>თხოვს ოფიცრებს _____</p> <p>მობრძანდნენ _____</p> <p>რომელიც შედგება _____</p> <p>_____ საათზე _____ 200 - წ.</p> <p>ტანსაცმლის ფორმა _____</p>	
<p>გთხოვთ გვიპასუხოთ</p>	

ნახ. 10. კაიუტკომპანიის მოსაწვევი ბარათი

<p>Thi Detachment commander Captain I st Rank D. Antadze</p>
<p>Requests thi pleasure of thi company of _____ at _____ on _____ at _____ o'clock _____ 200 _____</p>
<p>A motorboat will be waiting for you at _____ Uniform _____</p>
<p>R.S.V.P.</p>

ნახ. 11. სამხედრო ზომალდების შენაერთის მეთაურის მოსაწვევი ბარათი შესრულებული ინგლისურ ენაზე

სახელით, შეიძლება აღინიშნოს დროშა, რომელიც მინიჭებული აქვს სათანადო ზომადღს. ასეთი მოსაწვევი ბარათის ნიმუში მოყვანილია მე-9 ნახაზზე.

სავიზიტო ბარათების ზემოთა მარცხენა კუთხეში მიზანშეწონილია სამხედრო ზომადღის კლასის აღმნიშვნელი ემბლემის მოთავსება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მიერ (ნახ. 10).

მოსაწვევ ბარათებს ავსებენ ხელით, ლამაზი ასოებით ან ბეჭდავენ კომპიუტერზე, მიმართვა უნდა იყოს მესემე პირში.

იმ მოსაწვევ ბარათებზე, რომლებსაც უგზავნიან სამხედრო მოსამსახურეებს, მიუთითებენ ტანსაცმლის ფორმის შესახებ; თუ წვეულება ტარდება ზომადღზე, რომელიც იმყოფება რეიდზე ე.ი. გაჩერებულია ზღვაში პორტიდან დაშორებით, აცნობებენ კატარღის გასაჩერებელ ადგილს, რომელიც გათვალისწინებულია სტუმრების მოსაყვანად. მოსაწვევი ბარათის ქვედა მარჯვენა (ზოგჯერ მარცხენა) კუთხეში ათავსებენ წარწერას — „გთხოვთ გვიპასუხოთ“.

თუ პასუხის გაცემა აუცილებელი არ არის, ამ შემთხვევაში ამ წარწერას წაშლიან მკრთალი ხაზის გადასმით, რის შემდეგაც ზემოდან კეთდება შემდეგი წარწერა: **P.M. (Pour memoire)** დასამახსოვრებლად.

მოსაწვევ ბარათებზე ტექსტი და წარწერები კეთდება, როგორც ქართულ, ასევე რომელიმე უცხოურ ენაზე. ნახ. 11-ზე მოყვანილია მოსაწვევი ბარათის ნიმუში შესრულებული უცხოურ ენაზე.

თავი II

სამხედრო-საზღვაო ცერემონიალი

1. სამხედრო პატივმიგება და ცერემონიალი

სამხედრო ცერემონიალი წარმოადგენს წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია განსაკუთრებულ სადღესასწაულო სახის მისაცემად ისეთი მოქმედებებისათვის, როგორცაა: ეროვნული დღესასწაულები, ფიცის მიღება, სამხედრო ნაწილის დროშის საზეიმო გამოტანა სახელმწიფო მასშტაბის მოვლენების დროს, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის მიერ, სამხედრო ფორმირებების ოფიციალური დათვალიერებების, დროს აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობის წარმომადგენლების მიღებისას, რომლებიც იმყოფებიან ოფიციალური ვიზიტით და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ცერემონიალი ითვალისწინებს სამხედრო პატივმიგებას შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირთათვის, აგრეთვე დაღუპულ და გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთათვის. გარდა ამისა, პატივმიგება შეიძლება ჩატარდეს ყვავილების გვირგვინის დადებისას ეროვნულ მემორიალებთან, როგორც საკუთარი, ასევე უცხოეთის ოფიციალური თანამდებობის პირთა მიერ.

ყოველთვის, ყველა ქმედების სისწორეზე, რომელიც გათვალისწინებულია სამხედრო ცერემონიალით, პასუხს აგებენ სათანადო თანამდებობის პირები (ქვედანაყოფების მეთაურები, ნაწილების მეთაურები, შენაერთის მეთაურები და სხვა).

ყველა შემთხვევაში სამხედრო ცერემონიალი სრულდება მოქმედი წესდებების მკაცრ შესაბამისობაში, აგრეთვე ზემდგომი უფროსების მითითებების თანახმად, გარდა ამისა, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის ჩატარებულ სამხედრო საპროტოკოლოლ სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად.

სამხედრო-საზღვაო ძალებში ცერემონიალთან ერთად განსაზღვრულია სამხედრო-საზღვაო ცერემონიალიც. ის მოიცავს საკითხების ფართო

წრეს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ საბრძოლო ერთეულებიდან, მხოლოდ სამხედრო ზომადლებს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლიათ ჩაებან უშუალო ურთიერთობებში უცხოეთის ხელისუფლებასა და სამხედრო ზომადლებთან.

საზღვაო ცერემონიალს, პატივმიგების სახით საფუძველი ჩაეყარა შორეულ წარსულში. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში წამყვანი საზღვაო სახელმწიფოები, რომლებსაც პრეტენზიები გააჩნდათ ზღვებისა და ოკეანეების მფლობელობაზე, უცხო ქვეყნების გემებისაგან ძალით მოითხოვდნენ გარკვეული პატივმიგების ჩატარებას მათი ზომადლებისათვის. მაგალითად, ინგლისს ჰქონდა პრეტენზია საზღვაო სივრცეზე, რომლის საზღვრებიც გადაჭიმული იყო ჩრდილოეთის ზღვიდან, ნორვეგიისა და დანიის ნაპირებამდე. ის ყველა უცხოური ზომადლისაგან მოითხოვდა, რომ მათ პირველებს მიეცათ ზალპი (სალუტი) ინგლისის გემებისათვის დროშის დაშვებით და მარსელის ოდნავ დაწვეით, აგრეთვე ზემო აფრის დაშვებით, ინგლისის დროშის პატივსაცემად. იმ ზომადლს, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს უგულვებელყოფდა, ასრულებინებდნენ იძულებით. ზემოთ აღნიშნული მეთოდებით ცერემონიალების ჩატარება რუსეთში შემოღებული იქნა პეტრე I-ის მიერ.

დროთა განმავლობაში საზღვაო ცერემონიალის წესებმა მიიღო საერთაშორისო ჩვეულებების ხასიათი, სამხედრო-საზღვაო პატივმიგებათა ჩატარების ხერხები უფრო და უფრო უმჯობესდებოდა და ამა თუ იმ ფორმით ფიქსირდებოდა, როგორც ეროვნული წესები. პატივმიგებათა ისეთი წესების ჩატარება, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთნაირი. მაგრამ ზღვაოსნობისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განვითარებასთან, სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპების მნიშვნელობის შემდგომ ზრდასთან, ურთიერთსუვერენიტეტის პატივისცემასთან, იძულებით მეთოდებზე უარის თქმისა და მისი სამხედრო-საზღვაო ცერემონიალის ეროვნულ წესებთან შეუთანხმებლობის გამო მათი გამოყენება, დროთა განმავლობაში იხვეწებოდა. ცხადია, როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოთა სურვილი ასეთი წესების იდენტურობაზე, მთელი მოცულობით ამის მიღწევა მათ



სურათზე: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პატივს მიაგებს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნას. საფრანგეთი, ლევილი, 2004 წლის მარტი.

ვერ შეძლეს და სამხედრო-საზღვაო ცერემონიალს სხვადასხვა სახელმწიფოთა ფლოტებში თავისებურებანი დღემდე შემორჩა. მიუხედავად ამისა, საუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა და მოქმედებს სამხედრო-საზღვაო ცერემონიალის საყოველთაოდ მიღებული ზოგიერთი ნორმა, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო-საზღვაო პატივმიგების ჩატარების მოცულობას და წესებს, როდესაც სამხედრო ხომალდები იმყოფებიან ღია ზღვაში, უცხოეთის წყლებში და პორტებში. კერძოდ, მათ მიეკუთვნება სალუტი გასროლით, სალუტი დროშით და აგრეთვე პატივმიგება თანამდებობის პირთათვის.

საზღვაო ცერემონიალის ძირითადი წესები დაფიქსირებულია აგრეთვე საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებაში და სხვა სახელმძღვანელო საბუთებში.

საქართველო. გამომდინარეობს რა სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან, ზუსტად იცავს და დაიცავს სამხედრო-საზღვაო ცერემონიალის წესებს, ურთიერთგაგების საფუძველზე დაყრდნობით, ე.ი. იმ პირობით, თუ ეს წესები დაცული იქნება უცხო სამხედრო ხომალდებისა და გემების მიერაც.

2. სახელმწიფო და სახომალდო დროშები

საქართველოს დროშა. საქართველოს სახელმწიფო დროშა (იხ. წინა ფორზაცი) სიმბოლოა საქართველოს სახელმწიფოსი, საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა, ქვეყნის ყველა ეროვნებისა და სახელმწიფო ერთიანობისა, ამიტომ საქართველოს ყველა მოქალაქე, ნებისმიერ პირობებში ვალდებულია დაიცვას თავისი ქვეყნის დროშის ღირსება.

საქართველოს სახელმწიფო დროშის განმარტება და მისი გამოყენების წესები მოყვანილია წესდებაში, საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვა აკრძალულია თუ ის არ შეესაბამება მის აღწერილობას, ხოლო საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ წესდების მოთხოვნათა დაცვაზე, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებში და სამხედრო ხო-

ძალდებზე, პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა. საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა (იხ. უკანა ფორზაცი), აღმართული სამხედრო-საზღვაო ძალების ზომადღებზე, ერთდროულად არის ზომადღის საბრძოლო აღამიც. საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა განსაზღვრავს თუ რომელ სახელმწიფოს მიეკუთვნება სამხედრო ზომადღი, აგრეთვე მის მზადყოფნას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ზღვებსა და ოკეანეებში. სამხედრო-საზღვაო დროშა სიმბოლოა სამხედრო ღირსებისა და ზომადღის ყველა სამხედრო მოსამსახურისათვის შესწენებისა, რომ ის ემსახურება სამშობლოს და დაიცავს მას, სიცოცხლისა და სისხლის ფასად, ყველგან და ყველაფერში იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების ღირსეული წარმომადგენელი, პატრიოტული სულისკვეთებით დაიცავს ქართველი და საქართველოში მცხოვრები ხალხების სიცოცხლესა და ღირსებას.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სახელმწიფო დროშის დაცვა სამხედრო ზომადღის ეკიპაჟის ნებისმიერი წევრის საპატიო მოვალეობაა.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომადღო წესდების შესაბამისად საბრძოლო ზომადღებსა და საქეციალური დანიშნულების ზომადღებს ეძლევათ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დროშა. იმ ზომადღებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გვარდიულის წოდება, ატარებენ საქართველოს გვარდიის სამხედრო-საზღვაო დროშას, ხოლო, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან საქართველოს ორდენებით – საქართველოს სამხედრო-საზღვაო ორდენოსან დროშას. ზომადღები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ორდენით და მინიჭებული აქვთ გვარდიულის წოდება ეძლევათ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების გვარდიის ორდენოსანი დროშა. საზღვაო და სარეიდო გემებს, რომლებიც დანიშნული არიან სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო და ყოველდღიური მოქმედების უზრუნველყოფად, ენიჭებათ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დამხმარე გემების დროშები.

საზღვაო და სარეიდო გემები, რომლებიც ემსახურებიან სამხედრო ზომალდების შენაერთებს, სასწავლო გემები, საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფი გემები, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის საგამოცდო გემები, ქიმიური დაცვის, კავშირის გემები, რომელთა ეკიპაჟებიც დაკომპლექტებულია სამხედრო მოსამსახურეებით, ატარებენ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დროშებს.

სხვა ობიექტებზე, მათ შორის სპორტულ მცურავ საშუალებებზე, სპორტულ ბაზებსა და სხვა ნაგებობებზე, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დროშის აღმართვა აკრძალულია.

თანამდებობის პირთა დროშები. საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო-საზღვაო დროშების გარდა, სამხედრო ზომალდები საჭიროების შემთხვევაში ატარებენ თანამდებობის პირთა დროშებს.

როდესაც ზომალდზე იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, თავდაცვის მინისტრი, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი, ან სხვა თანამდებობის პირი, ზომალდზე აღიმართება სათანადო თანამდებობის პირის დროშა ან საგანგებო ვიმპელი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირთა და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის დროშა აღიმართება გროტ-ანძაზე და ფოკ-ანძაზე. ბრიგადის მეთაურის, ზომალდთა შენაერთის მეთაურის დროშები აღიმართება ფოკ-ანძაზე. ზომალდთა შენაერთის მეთაურის ბრეიდ-ვიმპელი აღიმართება გროტ-ანძაზე ან ფოკ-ანძაზე.

რეიდზე მდგარი ზომალდების უფროსის ბრეიდ-ვიმპელი აღიმართება თანამდებობის პირის დროშის (ბრეიდ-ვიმპელის) ქვემოთ ან სამხედრო ზომალდის ვიმპელის ქვემოთ.

სამხედრო ზომალდებზე თანამდებობის პირთა დროშების აღმართვა და დაშვება ხდება იმ პირთა ბრძანებით, რომელთაც მიენიჭა ეს დროშა და მხოლოდ იმ ზომალდებზე, რომლებზეც მათ აქვთ ოფიციალური ადგილსამყოფელი. დროშები და ბრეიდ-ვიმპელები აღმართულ მდგომარეობაში რჩება დღე-ღამის განმავლობაში, აგრეთვე მაშინაც, როდესაც თანამდებობის პირი, რომელსაც მიენიჭა დროშა, ხანმოკლედ არ იმყოფება ზომალდზე.

მთავრობის და მაღალი თანამდებობის პირთა დროშები აღიმართება იმ სამხედრო ზომალდზე, რომელზეც ისინი მოვიდნენ, მიუხედავად მათი ოფიციალური ადგილსამყოფელისა, დროშის დაშვება ხდება ზომალდიდან მათი წასვლის შემდეგ.

საქართველოს სამხედრო ზომალდზე უცხო სახელმწიფოს დროშას აღმართავენ მაშინ, როდესაც მას ეწვევიან უცხო ქვეყნის მთავრობისა და თანამდებობის პირები. დროშა აღმართულ მდგომარეობაში რჩება მათი ზომალდზე ყოფნის განმავლობაში.

უფროსი მეთაურის დროშის (ბრეიდ-ვიმპელის) აღმართვისას, უმცროსი მეთაურის დროშა უნდა იქნას დაშვებული. თუ სამხედრო ზომალდზე აღმართულია თანამდებობის პირის დროშა ან ზომალდთა შენაერთის მეთაურის ბრეიდ-ვიმპელი (გარდა რეიდზე მყოფთა უფროსის ბრეიდ-ვიმპელისა), სამხედრო ზომალდის ბრეიდ-ვიმპელი არ აღიმართება.

ოფიციალურ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირი მიემართება კატარლით (კანჯოთი), მათთვის მინიჭებული დროშა (ბრეიდ-ვიმპელი) აღიმართება წინა ნაწილის ჭოკზე ან ანძაზე – მათი ბრძანებით.

აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი დროშის აღსამართად, აგრეთვე საანძე დროშებისა და საზეიმო აღმების აღსამართად, საქართველოს სამხედრო ზომალდები უცხო პორტში ვიზიტით შესასვლელად მომზადების პერიოდში, თუ აუცილებელია, აღიჭურვებიან სპეციალური მოწყობილობით, რომლის მეშვეობითაც ყოველ ანძაზე ერთდროულად შეიძლება აღმართოს არანაკლებ ორი დროშისა სხვადასხვა ფალზე. თითოეული ფალის ბლოკები, რომლებიც განლაგებულია ერთ ანძაზე, უნდა იყოს ერთნაირ სიმაღლეზე თარაზული ხაზიდან. გარდა ამისა, საზეიმო აღმების აღსამართად აღნიშნულ მოწყობილობაში უნდა შედიოდეს მესამე ფალი, რომელიც პირველ ორზე დაბლაა დამაგრებული.

3. დროშების აღმართვა ზომალდებზე

საქართველოს სამხედრო ზომალდებზე დაწესებულია სამხედრო და სამხედრო-საზღვაო დროშების აღმართვის ცერემონიალი და სათანადო პატივიმცემა.

საქართველოს სახელმწიფო დროშა სამხედრო ზომალდებზე აღიმართება ოფიციალურ და საზიემო შემთხვევებში, სპეციალურად განკუთვნილ ადგილებზე. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდების შესაბამისად, ხოლო უცხო წყლებში ყოფნისას, აგრეთვე ხელისუფლებასთან და უცხოეთის სამხედრო ზომალდების ხელმძღვანელობასთან ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დროშა სამხედრო ზომალდებზე აღიმართება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დღესასწაულებში:

1. 1 იანვარს – ახალი წელი
2. 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
3. 7 იანვარს – ქრისტეშობა
4. 23 ნოემბერს – გორგობა
5. 28 აგვისტოს – მარიამობა

ბ) სამხედრო ზომალდზე საქართველოს პრეზიდენტის მოსვლისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, მათი მოადგილეებისა და სხვა პირების წვევისას, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მმართველ აპარატს და მინისტრთა კაბინეტს, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის წვევისას;

გ) ზომალდებისათვის სახელმწიფო ჯილდოების მინიჭებისას;

დ) სხვა სადღესასწაულო და სამახსოვრო დღეებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

„ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება ყველა ანაზე, მხოლოდ ხომალდის დგომისას ღუზაზე ან პორტში გემსაბჰელზე დგომისას.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ოფიციალური ვიზიტის შემთხვევაში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარგზავნილის ან საქართველოს საქმეთა რწმუნებულის საქართველოს სამხედრო ზომალდზე წვევისას, რომელიც იმყოფება ღია ზღვაში და აგრეთვე უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ან შიდა წყლებში, აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის წვევისას დროშა აღიმართ-

თება გროტ-ანძაზე, ხოლო საქართველოს საქმეთა რწმუნებულის წევვისას დროშას აღმართავენ ფორ-ანძაზე.

საქართველოს გენერალური კონსულის საქართველოს სამხედრო ხომალდზე წევვისას (საქართველოს კონსულის და ვიცე-კონსულის) საქართველოს სახელმწიფო დროშას (იხ. წინა ფორზაცი) აღმართავენ ფოჯანძაზე. საქართველოს კონსულისა და ვიცე-კონსულის პატივსაცემად დროშას აღმართავენ მხოლოდ პირადი სალუტის ჩატარებისას.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ან საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის, აგრეთვე საქართველოს საქმეთა რწმუნებულის ზღვაში მსვლელობისას ოფიციალურ შემთხვევებში, კატარღის (კარჭაპის) წინა ანძაზე აღმართავენ დროშას და მხოლოდ იმ სახელმწიფოს წყლებში, რომელშიც ისინი არიან აკრედიტებული.

საქართველოს კონსულის კატარღით (კარჭაპით) მსვლელობისას, საქართველოს სახელმწიფო დროშას აღმართავენ მხოლოდ იმ რეგიონში, რომელსაც ემსახურება კონსული.

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო დროშას აღმართავენ საქართველოს სამხედრო ხომალდებზე, რომლებიც იმყოფებიან უცხო ქვეყნების ტერიტორიულ და შიდა წყლებში, ეროვნული დღესასწაულების შემთხვევაში იმ წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელების მიერ.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა აღმართება ხომალდზე, მოძრაობისას — რეაზე (სადაც რეა არ არის, ხომალდის წინა ნაწილის ფლაგშტოკზე), ღუზაზე დგომისას — უკანა ნაწილის ფლაგშტოკზე. საქართველოს ყველა სამხედრო ხომალდი, რომელიც იმყოფება ზღვაში მოძრავ მდგომარეობაში, დროშას ატარებს აღმართულ მდგომარეობაში დღისითაც და ღამითაც.

საქართველოს სამხედრო ხომალდების უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში დგომისას დროშა აღმართება (დაეშვება) აღნიშნული წესების შესაბამისად. თუ ადგილობრივ პირობებში ეს შეუძლებელია, ხომალდთა რაზმის მეთაურს (ხომალდის მეთაურს) შეუძლია დროშის ასაწვეად (დასაშვებად) დანიშნოს სხვა დრო.

თუ პორტში ან მახლობლად დგანან უცხო სახელმწიფოს ხომალდები და რომელიმე მათგანს (ხომალდთა რაზმს) ხელმძღვანელობს სამხედრო წოდებით ან თანამდებობით უფრო დიდი მეთაური, ვიდრე საქართველოს ხომალდის (ხომალდთა რაზმის) მეთაურია, საქართველოს ხომალდები დროშის აღმართვისა და დაშვების დროის განსაზღვრისას მოქმედებენ უფროსის მოქმედების შესაბამისად, თუ რა თქმა უნდა, ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდების მოთხოვნებს. გარდა ამისა, ხდება განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც მეთაურთა ბრძანებით საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა ხომალდებზე, რომლებიც იმყოფებიან უცხო ქვეყნების ტერიტორიულ და შიდა წყლებში ან პორტებში, საერთოდ არ დაიწევა.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშის აღმართვა და დაშვება, როდესაც ხომალდები გაჩერებული არიან ღუზაზე ან გემსაბმელზე, შეიძლება მოხდეს სადღესასწაულო ან ჩვეულებრივ დროს. ეს, ორივე შემთხვევაში ტარდება წესის მიხედვით, რომელიც მითითებულია საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებაში.

დროშის სადღესასწაულო აღმართვა ხდება:

1. 1 იანვარს – ახალ წელს; 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს; 7 იანვარს – ქრისტეს შობის დღეს; 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს; 28 აგვისტოს – მარიამობის დღეს.

2. სამხედრო ხომალდებისათვის (ხომალდთა შენაერთისათვის) სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისას;

3. საქართველოს შეიარაღებული ძალების დღეს – 30 აპრილს, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დღეს – 7 ივლისს, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის დროშის გადაცემისა და მისი პირველი აღმართვის (1993 წ. 12 თებერვალი) ყოველი წლის დღესასწაულის აღნიშვნისას.

4. იმ სადღესასწაულო და სამახსოვრო დღეების აღსანიშნავად, რომლებიც არ არის მითითებული აღნიშნულ პუნქტებში – სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ბრძანების საფუძველზე.

სამხედრო-საზღვაო ძალების დროშის საზეიმოდ აღმართვის დროს, ანძის წვერზე აღმართავენ საანძე და სხვადასხვა ფერის მოსართავ დრო-

შებს. საანძე დროშებად ითვლება საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო-საზღვაო დროშები. როგორც სასტენგე დროშებს, მათ აღმართავენ ყველა ანძის სტენგეზე. ამავე დროს, იქვე აღმართული თანამდებობის პირთა დროშები უნდა იყოს შედარებით დაბლა, ვიდრე სახელმწიფო-სასტენგე დროშები.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა, როგორც სასტენგე დროშა, აღმართება სამხედრო დღესასწაულების დროს, სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისას და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ბრძანებით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში სასტენგე დროშად აღმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა.

მოსართავ დროშებს აღმართავენ საეციალურად დამაგრებულ ფალებზე. ფორშტევენინდან გემის წინა ანძის კლოტიკამდე აღმართება სამკუთხა დროშები, ანძის კლოტიკებს შორის – სწორკუთხა, ხოლო ქვედა ანძის კლოტიკიდან ახტერშტევენამდე – სამკუთხა და სწორკუთხა დროშები. თუ ტექნიკური მიზეზების გამო საზეიმო აღმების ამგვარად აღმართვა შეუძლებელია, მაშინ მათ აღმართავენ გემის წინა ანძის კლოტიკიდან ფორშტევენამდე.

მოსართავ დროშებად დაუშვებელია აღმართოს შემდეგი დროშები:

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა;
2. საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშა;
3. სამხედრო-საზღვაო ძალების დამხმარე ზომალდების დროშები;
4. სასაზღვრო ძალების სანაპირო დაცვის ზომალდებსა და გემებზე – სამხედრო-საზღვაო ძალების დროშები;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ზომალდებსა და გემებზე სამხედრო-საზღვაო ძალების დროშა;
6. გუისი;
7. პასუხისმგებელ პირთა ბრეიდ-ვიმპელები და ვიმპელები;
8. უცხოეთის სახელმწიფოთა, სამხედრო სავაჭრო და უცხოეთის პასუხისმგებელ პირთა დროშები;
9. სიგნალთა საერთაშორისო კრებულის (სისკრე) აღმები, რომლებიც გარეგნულად გვანან უცხო სახელმწიფოთა დროშებს.

მოსართავი და სასტენგე დროშები აღიმართება მხოლოდ ხომალდის ღუზაზე ან გემსაბმელზე დგომისას საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დროშასთან (იხ. უკანა ფორზაცი) ერთად, დაშვებაც ხდება ერთდროულად, თუ უპინდლობის გამო ისინი არ იყვნენ დაშვებული უფრო ადრე, რეიდზე მყოფი მეთაურის ბრძანებით. უპინდლობის დროს ხომალდის ღუზაზე ან გემსაბმელზე დგომისას, სადღესასწაულო შემთხვევებში აღიმართება მხოლოდ სასტენგე დროშები.

სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებული ბრძანებით შეიძლება ჩატარდეს ხომალდის განათება (ილუმინაცია). განათების ჩართვა ხდება დაბნელებისას, რაზმის მეთაურის ან რეიდის მეთაურის ბრძანების თანახმად. განათების გამორთვა ხდება დილით ან სხვა დროს, იგივე წესით.

დღესასწაულების შემთხვევაში საზეიმო აღმების აღმართვისა და ილუმინაციის ჩართვისას შეიძლება მოწვეულ იქნან საქართველოს ხომალდები, გემები, აგრეთვე უცხო ქვეყნების ხომალდები და ახლოს მყოფი გემები.

4. სახელმწიფო ჰიმნი

სახელმწიფო ჰიმნი (დანართი 1.) არის პატრიოტული ხასიათის ლექსზე დაწერილი სადღესასწაულო სიმღერა. ჰიმნი, ისევე, როგორც სახელმწიფო გერბი და დროშა, არის სახელმწიფოს სიმბოლო. ხომალდებზე ჰიმნს, როგორც წესი, ასრულებს სასულე ორკესტრი. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მისი შესრულება ფონოგრაფით.

სახელმწიფო ჰიმნი სრულდება ოფიციალური ცერემონიების დროს. ეროვნული და სახელმწიფო ზეიმების ჩატარებისას. სადღესასწაულო ღონისძიებებისას, რომლებიც ეძღვნება მნიშვნელოვან დღეებს, სახელმწიფო დროშების აღმართვისას. რაიმე მიღწევებისა და წარმატებების შემთხვევაში, რომელთაც მიაღწიეს მოცემული სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებზე.

სახელმწიფო ჰიმნი სრულდება აგრეთვე უცხო სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა რომელიმე სახელმწიფოში ვიზიტად ყოფნის დროს გამართულ ოფიციალურ ცერემონიებზე.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი არის სიმბოლო მისი სახელმწიფოებრიობისა, სუვერენიტეტისა, ხალხთა ერთობისა, ძმობისა და მეგობრობისა. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნისადმი სიყვარული და პატივისცემა არის მისი მოქალაქეების პატრიოტული ვალი.

საქართველოს სამხედრო ზომალდებზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს ასრულებენ დროშის საზეიმოდ აღმართვისას, სადღესასწაულო სალუტების ჩატარებისას და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების საზომალდო წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს სამხედრო ზომალდების უცხო სახელმწიფოთა წყლებში და პორტებში ყოფნის დროს, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი სრულდება სალუტის შესრულებისას, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო ზომალდების მონაწილეობისას ეროვნულ და სახელმწიფო დღესასწაულებში, როდესაც სამხედრო ზომალდს ეწვევა სახელმწიფოს პრეზიდენტი ან მთავრობის მეთაური, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

საერთაშორისო ურთიერთპატივისცემათა წესების მიხედვით და ეროვნული კანონმდებლობებით გათვალისწინებულია სახელმწიფო ჰიმნის შესრულების წესი იმ შემთხვევებშიც, როდესაც დიპლომატიური პროტოკოლის თანახმად საჭიროა ორი ან მეტი სახელმწიფოს ჰიმნის შესრულება.

სახელმწიფო ჰიმნების შესრულების ამავე წესით სარგებლობენ, როდესაც სამხედრო ზომალდებზე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან უცხო ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები, საქართველოს სამხედრო ზომალდების უცხო სახელმწიფოთა ეროვნულ დღესასწაულებში მონაწილეობის დროს.

ამავე დროს საჭიროა მხედველობაში გვექონდეს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს სამთავრობო წარმომადგენლების შეხვედრა-გაცილების დროს პირველ რიგში ასრულებენ თავის ეროვნულ ჰიმნს, ხოლო შემდეგ იმ სახელმწიფოს ჰიმნს, საიდანაც იმყოფება უცხოელი სამთავრობო წარმომადგენელი.

საქართველოში და ბევრ სხვა სახელმწიფოში მოქმედ საერთაშორისო წეს-ჩვეულებების თანახმად, საკუთარი თუ უცხო სახელმწიფოს ჰიმნის შესრულებისას, რიგითი სამხედრო მოსამსახურეები იღებენ მდგომარეობა

„ყურადღება“-ს, ხოლო ხელმძღვანელ სამხედრო მოსამსახურეთა შემაღ-
გენლობა, ამასთან ერთად მარჯვენა ხელს მიიღებს ქუდთან ან პატივს
მიაგებენ სხვაგვარად, როგორც ითვალისწინებს ეროვნული სამხედრო
წესდება.

სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფი პირები ღვანან გამართულად, მამა-
კაცები ქუდის გარეშე, ქალები ქუდს არ იხდიან.

5. სალუტები

სალუტი (დანართი 2.) არის მისალმების სადღესასწაულო ფორმა ან
პატივმიგება განსაკუთრებული მიწვევით, იმ თანმიმდევრობით, რომელსაც
ითვალისწინებს სპეციალური დებულება. საერთაშორისო წესჩვეულებების
თანახმად, სამხედრო ხომალდები სალუტებს ჩაატარებენ გასროლით ან
ღროშებით.

გასროლით სალუტებს აწარმოებენ მხოლოდ ის სამხედრო ხომალდე-
ბი, რომლებსაც აქვთ აღნიშნული სალუტების ჩასატარებელი ქვეშეხები.
დანარჩენი სამხედრო ხომალდები სხვა სამხედრო ხომალდებთან ზღვაში
შეხვედრისას, ერთმანეთს ესაღმებთან ისე, როგორც გათვალისწინებულია
საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებით. იმ
შემთხვევაში, როდესაც ღუზაზე მდგომ საქართველოს სამხედრო
ხომალდს, გვერდით ჩაუვლის საქართველოს სამოქალაქო გემი ან უცხო
ქვეყნის გემი, ან შეხვდებიან მსვლელობის დროს ზღვაში – ერთმანეთს
სალუტს აძლევენ ღროშებით, მათი ოდნავი დაბლა დაწვევით. მევახტე
(გუშაგი) ოფიცრის ნიშანზე, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ღროშა
ნელი ტემპით დაემუება ფლაგშტოკის ან ფაღის ერთი მესამედის სიგრ-
ძეზე და ასევე ნელა აიწვევა ადგილამდე.

სალუტებს სროლით, იძლევიან 1-ლი და მე-2 რანგის სამხედრო ხო-
მალდები, როგორც წესი, სპეციალურად დამონტაჟებული ქვეშეხებიდან
45-100 მმ. ყალიბის, თავისუფალი ჭურვებით, რომლებიც გატენილია
მხოლოდ ბოლიანი დენთით. თუ ხომალდზე აღნიშნული ქვეშეხები ტაბე-
ლით გათვალისწინებული არ არის, ამ შემთხვევაში ისინი უნდა დამონ-
ტაჟდეს ხომალდის უცხო ქვეყანაში ვიზიტით გასვლის მომზადებისას.

ხომალდზე ერთდროულად უნდა იყოს სალუტისათვის სპეციალური და საჭირო რაოდენობის ჭურვები. წყალქვეშა ხომალდები მათი რანგის მიუხედავად სალუტებს არ აწარმოებენ (არ იძლევიან).

იმ წესების მიხედვით, რომელთაც იცავს საზღვაო ქვეყნების უმრავლესობა, სამხედრო ხომალდები, რომელთა წყალწყვა 1000 ტონას არ აღემატება, არ იძლევიან სალუტს და მათი ვიზიტი უცხოეთის წყლებში და პორტებში, როგორც წესი, არ აღინიშნება სასალუტო გასროლებით. განსაკუთრებული შემთხვევები აღინიშნება ვიზიტის პროგრამაში. გამონაკლისი, როგორც წესი, დაიშვება მე-3 და მე-4 რანგის ხომალდებისათვის.

ღია ზღვაში, უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ან შიდა წყლებში ყოფნისას, საქართველოს სამხედრო ხომალდები სალუტებს აწარმოებენ (იძლევიან) მხოლოდ ოფიციალურ შემთხვევებში იმ წესების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდების მიხედვით და უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდებისა და ხელისუფლებასთან ურთიერთობათა ხელმძღვანელების მიერ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში ზღვაში ხომალდების შეხვედრისას გასროლითი სალუტები წარმოებს, როგორც წესი, წინასწარი შეთანხმებით და მხოლოდ ოფიციალურ შემთხვევებში.

დამკვიდრებული საერთაშორისო ტრადიციების თანახმად, სალუტები ქვემეხებიდან გასროლით წარმოებს იმ სახელმწიფოთა სამხედრო ხომალდებიდან, რომელი სახელმწიფოებიც იმყოფებიან დიპლომატიურ ურთიერთობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ღია ზღვაში უცხო სახელმწიფოს შემხვედრი სამხედრო ხომალდი მოისურვებს საქართველოს სამხედრო ხომალდისათვის სალუტით მისალმებას, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არის დამყარებული, საქართველოს სამხედრო ხომალდი ვალდებულია შეახსენოს, რომ საქართველოში არსებული წესების თანახმად, იმ სამხედრო ხომალდებისათვის, რომელთა სახელმწიფოებთანაც საქართველოს არა აქვს დიპლომატიური კავშირი, სალუტების წარმოება ქვემეხებიდან გასროლით არ არის გათვალისწინებული.

უცხოეთის ტერიტორიულ და შიდა წყლებში საქართველოს სამხედრო ხომალდის ყოფნის დროს ქვემეხიდან გასროლით სალუტის წარმოების წინ, საჭიროა მეკავშირე ოფიცრის საშუალებით გაირკვეს, არსებული ადგილობრივი წესების არსებობის შესახებ და დარწმუნდეს, რომ გაცემულ სალუტზე მიღებული იქნება სათანადო პასუხი.

უცხოეთის პორტებში ვიზიტის დროს, ყველა საკითხი, რომელიც ეხება ქვემეხიდან გასროლითი სალუტების ჩატარების წესებს, შეთანხმებული უნდა იყოს სავიზიტო პროგრამით და დაზუსტებული უნდა იქნას სამხედრო ხომალდზე საქართველოს სამხედრო ან სამხედრო-საზღვაო ატაშესა და უცხოეთის მეკავშირე ოფიცრის მოსვლისას.

უცხოეთის პორტებში ვიზიტის დროს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს შეუძლიათ ჩაატარონ ქვემეხიდან შემდეგი გასროლითი სალუტები: სადღესასწაულო, ეროვნული, პირადი და სამგლოვიარო.

საჭირო შემთხვევებში სალუტებზე პასუხობენ საპასუხო სალუტებით. უცხოეთის პორტებში და რეიდზე (პორტის მიმდებარე ღია ზღვაში დგომისას) დგომისას, სალუტების ჩატარება შეუძლია, როგორც სამხედრო ხომალდს, ასევე სპეციალურად განკუთვნილ სასალუტე სანაპირო ბატარეას. სადღესასწაულო სალუტზე და საქართველოს სამხედრო ხომალდზე მყოფი თანამდებობის პირის საპატივცემლო სალუტზე, საპასუხო სალუტი არ არის გათვალისწინებული. ყველა დანარჩენ სალუტზე, სამგლოვიაროს გარდა, საჭიროა საპასუხო სალუტის გაცემა.

პორტებში (რეიდებზე) ყველა სალუტი ტარდება ქვემეხიდან გასროლით (სადღესასწაულო სალუტის გარდა), დროშის აღმართვიდან დაშვებამდე,* მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი წეს-ჩვეულებები.

ხომალდზე, რომელზეც სალუტი ტარდება ცურვის დროს, მწყობრში დგება პირადი შემადგენლობა, ვინც განთავისუფლებულია მორიგეობისაგან და არ არის დაკავებული სამსახურებრივი საქმიანობით.

* ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნულ და პირად სალუტებს აწარმოებენ მზის ამოსვლიდან დროშის დაშვებამდე. თუ ამგვარი სალუტები ტარდება, პირადი შემადგენლობის შეკრება ნიშანზე — „დიდი შეკრება“ არ ჩატარდება.

სალუტის მიცემისას ქვემეხიდან გასროლით (პირველივე გასროლაზე), პირადი შემადგენლობა იღებს მდგომარეობას „სწორდით“, ხოლო ზევადიანი სამსახურის ოფიცრები და ზემდეგები, ამის გარდა, ხელს მიიღებენ ქუდთან და ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან სალუტის დამთავრებამდე. ქვემეხებიდან გასროლით სალუტის ჩატარების საერთო ორგანიზაცია განსაზღვრულია საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების წესდებით, აგრეთვე უცხოეთის სამხედრო ზომადებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობათა ხელმძღვანელების მიერ.

სადღესასწაულო სალუტები და აგრეთვე ეროვნული სალუტები ყველა შემთხვევაში უნდა შესრულდეს კონკრეტულად დანიშნულ დროს და ზუსტად მითითებულ ადგილზე. კერძო სალუტები ყველა შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური მიზეზებით მათი შესრულება დროულად შეუძლებელია, უნდა ჩატარდეს პირველივე შესაძლებლობისას. მიზეზები, რომლის გამოც კერძო სალუტი ვერ ტარდება ან სალუტის ჩატარების სხვა დროისათვის გადატანის ან საპასუხო სალუტის გაცემის შემთხვევაში, სასწრაფოდ უნდა მოხსენდეს პირებს, რომელთათვისაც უნდა ჩატარებულიყო სალუტი.

სადღესასწაულო-საარტილერიო სალუტები ტარდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდების მიხედვით, 26 მაისს. სადღესასწაულო სალუტების მოწყობა, დრო, გასროლების (ზალპების) რაოდენობა განისაზღვრება წინასწარ. ყოველთვის, განსაკუთრებით, სადღესასწაულო სალუტების დროს, ზომადებზე აღიმართება სასტენგე და საზეიმო აღმები. აღნიშნულ დროს, ზედა გემბანზე მწყობრში დგება პირადი შემადგენლობა, ყარაული და ორკესტრი. ტანსაცმელი სადღესასწაულოა. სადღესასწაულო სალუტის პირველი გასროლისთანავე, ორკესტრი ასრულებს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს.

ამის გარდა, დადგენილ სადღესასწაულო დღეებში სამხედრო ზომადებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შეუძლიათ ჩაატარონ ფეიერვერკი.

ეროვნული სალუტის არსი ერისათვის პატივმიგების გამოხატვაა სადღესასწაულო ფორმით — როდესაც ხომალდი შედის უცხო პორტში,

იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც გამოცხადებულია სალუტის შემსრულებლის მიერ, რეიდზე, ან უცხოური ციხე-სიმაგრის გვერდით ჩაელის და სხვა შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია საეიზიტო პროგრამით. ეროვნული სალუტის შემთხვევაში ტარდება 21 გასროლა, თუ შესაძლებელია, არანაკლებ 2 ქვემეხიდან, რასაც პასუხობენ იმავე რაოდენობის გასროლით.

ეროვნული სალუტი ტარდება ყველა სალუტზე ადრე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს პირველ რიგში – პირადი სალუტები, როდესაც ზომალდები ერთმანეთს ხვდებიან ზღვაში, თუ, ეს გათვალისწინებულია საეიზიტო პროგრამით. ეროვნულ სალუტს ყოველთვის პირველი ასრულებს შემოსული სამხედრო ზომალდი.

საქართველოს სამხედრო ზომალდები, როგორც წესი, ეროვნულ სალუტს ასრულებენ ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტების დროს, უცხო პორტებში ან უცხო ქვეყნის სანაპიროზე განლაგებული ციხე-სიმაგრის ახლოს გავლის დროს, როდესაც საჭიროა სალუტის მიცემა, რათქმა უნდა, ადგილობრივ წესებთან და საეიზიტო პროგრამასთან კონკრეტულ შესაბამისობაში.

უცხო პორტებში, საქართველოს სამხედრო ზომალდების საქმიანი ვიზიტის დროს, ეროვნული სალუტი არ ტარდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივი კანონების თანახმად, ეროვნული სალუტის ჩატარება გათვალისწინებულია. ამიტომ, საქართველოს სამხედრო ზომალდებს, რომლებიც შედიან საქმიანი ვიზიტით რომელიმე უცხო ქვეყნის პორტში, სადაც კანონით გათვალისწინებულია, ეროვნული სალუტი უნდა ჩატარდეს.

ეროვნული სალუტის ჩატარებისას სამხედრო ზომალდზე, რომელზეც ტარდება სალუტი, გროტ-სტენგზე აღიმართება იმ სახელმწიფოს დროშა, რომლის პატივსაცემადაც ტარდება სალუტი; დროშა აღიმართება ნელი ტემპით გაშლილ მდგომარეობაში. სალუტი ტარდება დროშის აღმართვის დაწყებიდან დამთავრებამდე. სალუტის დამთავრების შემდეგ დროშა დაიშვება მარსამდე ნელი ტემპით, შემდეგ ჩქარი ტემპით.

სალუტის პირველი გასროლის (ან საპასუხო სალუტის) შემდეგ ორკესტრი ასრულებს იმ სახელმწიფოს ჰიმნს, რომლის პატივსაცემადაც

ჩატარდა სალუტი, შემდეგ – საქართველოს სახელმწიფო კიმნს. სალუტის დამთავრება უნდა დაემთხვეს კიმნის დამთავრებას.

ეროვნული სალუტის პასუხად, რომელსაც გასცემენ სანაპირო და სანაპიროზე არსებულ ციხესიმაგრეთა ოცულები, როგორც წესი, არ აღმართავენ სახელმწიფო დროშას და არ ასრულებენ სახელმწიფო კიმნს.

პირადი შემადგენლობის, საპატიო ყარაულისა და ორკესტრის, რომელიც ეწყობა ნიშანზე (სიგნალზე) – „დიდი შეკრება“, ტანსაცმლის ფორმა, სააღლუმოა.

პირადი სალუტები ტარდება საქართველოს და უცხოეთის სამთავრობო და პასუხისმგებელ პირთა პატივსაცემად. საქართველოს სამხედრო ზომალდზე, ოფიციალურად ყოფნის დროს, რომელიც იმყოფება საქართველოს ან უცხოეთის პორტში და დგას სადგომთან ან (რეიდზე) ზღვაში ღუზაზე. გარდა ამისა პირადი სალუტები შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე სამხედრო ზომალდების შეხვედრისას სხვა სახელმწიფოს დროშით მოცურავე სამხედრო ზომალდთან, უცხოეთის რეიდზე ან პორტში, თუ რომელიმე მათგანზე აღმართულია უცხოეთის სამთავრობო ან პასუხისმგებელი პირის დროშა.

საქართველოს სამხედრო ზომალდზე, რომელიც უცხოეთის პორტში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით, უცხოეთის სამთავრობო და პასუხისმგებელი პირები, რომელთა პატივსაცემადაც საჭიროა სალუტის (გასროლის) ჩატარება, როგორც წესი, ტარდება მათ მიერ ზომალდის დატოვების მომენტში. თუ ზემოთ აღნიშნული პირები ათვალეიერებენ შენაერთის რამოდენიმე ზომალდს, სალუტს ჩაატარებს მხოლოდ წინამძღოლი (ფლაგმანი) ზომალდი. პირად სალუტებზე, რომლებიც ტარდება ზომალდების მთავრობისა და პასუხისმგებელ პირთა მიერ დათვალეიერებისას, საპასუხო სალუტი არ ტარდება.

განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში, ან როდესაც სამთავრობო ან პასუხისმგებელი პირების ზომალდიდან წასვლა განსაზღვრულია დროშის დაბლა დაწვევის შემდეგ, სალუტი შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული პიროვნების ზომალდთან მიახლოებისას, რის შესახებაც წინასწარ მოახსენებენ მას.

მთავრობის ან თანამდებობის პირის სამხედრო ხომალდიდან ჩასვლის დროს, მის პატივისცემად სალუტის მიცემა ხდება შემდეგნაირად:

– ხომალდის დგომისას რეიდზე, მთავრობის ან თანამდებობის პირის ტრაპიდან კატარღაზე ან კანჯოზე გადასვლის მომენტში, დროშა ხომალდზე ძირს ეშვება. როცა კატარღა ან კანჯო აღნიშნული პირით ხომალდს დაშორდება ერთი კაბელტოვით და დადგება დრეიფზე, დროშა კვლავ აღიმართება. დროშის აღმართვისთანავე უნდა მოხდეს სალუტის პირველი გასროლა;

– ხომალდის ნაპირთან დგომის შემთხვევაში სალუტის პირველი გასროლა ხდება იმ მომენტში, როცა აღნიშნული პირი ტოვებს ხომალდს და დგამს ფეხს გემის საბიჯელადას (ტრაპიდან) ნაპირზე (პირსზე). აღნიშნული პირის დროშა სალუტის დამთავრებამდე არ დაეშვება.

პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ მინისტრის, მათი შიდადგენების პირადი სალუტის მიცემის დროს აღიმართება საქართველოს დროშა. შეიარაღებული ძალების პასუხისმგებელ პირთა პატივისცემის ნიშნად სალუტის მიცემისას კი ხდება მათთვის მინიჭებული დროშის აღმართვა ან თუ ასეთი არა აქვს, მაშინ სახელმწიფო, სამხედრო-საზღვაო დროშის ან გუისის აღმართვა.

საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობის ან თანამდებობის პირთა პატივისცემის ნიშნად სალუტის მიცემის დროს აღიმართება იმ სახელმწიფოს დროშა, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან.

ზემოთხსენებული სახელმწიფო დროშები და თანამდებობის პირთა დროშები, რომელთა პატივისცემის ნიშნადაც სალუტი მიცემა გასროლით, აღიმართება ანძის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც აღმართულია ხომალდზე მყოფი ოფიციალური თანამდებობის პირის დროშა. ამ უკანასკნელის დროშა ძირს არ ეშვება. მთავრობის ან თანამდებობრივი პირის წასვლის შემდეგ, სალუტის დამთავრებისთანავე, დროშა ძირს ეშვება. უმცროსი ხელმძღვანელის (თანამდებობის პირის) შეხვედრისას, უფროსი ხელმძღვანელის (თანამდებობის პირის) იქ ყოფნის დროს, სალუტი გასროლით არ ეძლევა.

ყველა პირს, რომელსაც ეკუთვნის სალუტი გასროლებით, მასზე უარის თქმის უფლება აქვს.

ზღვაზე ან რეიდში სამხედრო ხომალდთა შეხვედრისას პირად სალუტს პირველად ახდენს ფლაგმანი (ცალკეულ ცურვაში ხომალდის მეთაური), თანამდებობრივად ან წოდებით უმცროსი აძლევს საპასუხო სალუტს იმავე რაოდენობის გასროლით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში რეიდზე ან ზღვაში შეხვედრის დროს მიღებულია პირად სალუტზე უპასუხონ არა იმავე რაოდენობის გასროლით, არამედ იმ თანამდებობის პირის რანგის შესატყვისი რიცხვით, რომლის მისამართითაც ხდება საპასუხო სალუტი. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ასეთი სახის პირადი სალუტის დროს გასროლათა რიცხვი წინასწარ უნდა შეთანხმდეს.

6. მონაწილეობა უცხო სახელმწიფოთა ეროვნულ დღესასწაულებში

ადგილობრივ ხელისუფლებას, პორტში მდგარი ხომალდები შეუძლია მიიწვიოს ეროვნულ ან სამხედრო დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთ მონაწილეობაზე ნებართვას იძლევა ზემდგომი ხელმძღვანელობა და დიპლომატიური წარმომადგენლობა.

ასეთი ნებართვის მიღებისას სამხედრო ხომალდები მობრუნდება დროშებით, გროტ-სტენგზე აღიმართება მოდღესასწაულე ქვეყნის სახელმწიფო დროშა, ხოლო სხვა ანძების სტენგებზე – საკუთარი სასტენგე დროშები (ეროვნული დღესასწაულების დროს – სახელმწიფო დროშა). სამხედრო დღესასწაულების დროს კი – სამხედრო-საზღვაო დროშა). სამხედრო ხომალდებზე დროშების აღმართვა ხდება სამხედრო-საზღვაო ძალების სახომალდო წესდებაში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, მაგრამ სახელმწიფო ჰიმნის შემდეგ ორკესტრი ასრულებს მოწვეული სახელმწიფოს ჰიმნს. იმ სახელმწიფოთა ჰიმნები, ვისი ხომალდებიც მონაწილეობენ აღნიშნულ დღესასწაულზე, სრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გათვალისწინებულია დღესასწაულის პროგრამით. სალუტის დრო და ორგანიზაცია, გასროლათა ტემპი და რიცხვი, ასევე სასალუტე იარა-

ღის კალიბრი წინასწარ უთანხმდება ადგილობრივ სამხედრო-საზღვაო ან სამხედრო ხელისუფლებას, მოწვეული სახელმწიფოს ზომალდებიდან სადღესასწაულო სალუტს აძლევენ იმავე რაოდენობის გასროლით.

7. ეროვნული ძეგლებისა და თანამემამულეთა საფლავეების გვირგვინებით შემკობა

უცხოეთის პორტებში სამხედრო ზომალდების ვიზიტის მომზადებისას, პროგრამით გათვალისწინებულია იმ სახელმწიფოს ეროვნული ძეგლების გვირგვინებით შემკობა, რომლის პორტშიც არის ვიზიტი დაგეგმილი, ასევე გამოჩენილ თანამემამულეთა ძეგლებისა და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა საფლავეების შემკობა. ეროვნულ ძეგლთა ჩამონათვალს, რომელთა გვირგვინებით შემკობაც ხდება, განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფოს სათანადო ხელმძღვანელობა.

ზომალდთა ვიზიტისას გვირგვინებით, როგორც წესი, ამკობენ მხოლოდ იმ მემორიალებს, რომლებიც მოთავსებულია საპორტო ქალაქის საზღვრებში, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ამიტომ ვიზიტის პროგრამის დამუშავების დროს გვირგვინების შესამკობი ძეგლების ჩამონათვალი თანხმდება დიპლომატიური არხებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი ზუსტდება ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ზომალდის პორტში შემოსვლისთანავე.

გვირგვინებით შემკობა ხდება სამხედრო პატივის მიგებით, რომლის წესი დადგენილია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამსახურის წესდებით.

პატივის მიგების ცერემონიალში მონაწილეობისათვის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ინიშნებიან მედროშენი, 30 კაციანი შეიარაღებული საპატიო ყარაული და ორკესტრი.

გვირგვინით ამკობს სამხედრო ზომალდთა რაზმის მეთაური, რომელსაც თან ახლავს 5 – 15 ოფიცერი. საპატიო ყარაულისა და ორკესტრის ტანსაცმლის ფორმა სააღლუმოა, დანარჩენი მონაწილეებისათვის – სააღლუმო-გამოსასვლელი.

მოქმედი დებულების და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად ცერემონიის დაწყების წინ საპატიო ყარაულის შემადგენლობიდან პოსტისათვის გამოიყოფა გუშაგების ერთი-ორი წყვილი. საპატიო ყარაული დგება ძეგლის წინ ორ მწკრივად, ფრონტიით, ან მარჯვენა ფლანგით მისკენ, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე. საპატიო ყარაულის მარჯვენა ფლანგზე მაგრდება სამხედრო-საზღვაო ძალების დროშა, უფრო მარჯვნივ განლაგდება ორკესტრი. ცერემონიის დანარჩენი მონაწილენი განლაგდებიან დადგენილ ადგილზე – ძეგლის შორიახლო და დათქმულ მომენტში იწყებენ მისკენ მოძრაობას საპატიო ყარაულის რიგის გაყოლებით. პროცესიას წინ მიუძღვის სპეციალურად დანიშნული ოფიცერი, რომელიც განსაზღვრავს სვლის ტემპს. მის უკან, ორი-სამი ნაბიჯის მანძილზე, მოდიან ოფიცრები, რომლებსაც მოაქვთ გვირგვინი, იმავე მანძილის დაშორებით – რაზმის მეთაური, შემდეგ დანარჩენი მონაწილენი, ოთხ-ხუთ კაციანი კოლონით.

მოძრაობის დაწყებისთანავე ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო-სადღესასწაულო მელოდიას. სამხედრო-საზღვაო დროშა დახრილია წინ. სვლის 40 – 50 ნაბიჯზე მიახლოებისას საპატიო ყარაული დებულობს „სწორდი“ – მდგომარეობას და იღებს იარაღს – „საყარაულოდ“.

გასცდებიან რა საპატიო ყარაულის რიგს, ძეგლამდე რამდენიმე ნაბიჯით ადრე, სვლა ჩერდება. პროცესიის წინ მიმავალი ოფიცრები, ოფიცრები, რომლებსაც მიაქვთ გვირგვინი და რაზმის მეთაური უახლოვდებიან გვირგვინით შექობის ადგილს და დგამენ მას სპეციალურ სადგარზე, ან დებენ ძეგლისა თუ საფლავის ფერხთან. რაზმის მეთაური ასწორებს სამგლოვიარო ლენტს. ორკესტრი ჩერდება. ცერემონიის ყველა მონაწილე წუთიერი დუმილით პატივს სცემს დაღუპულის (გარდაცვლილის) ხსოვნას. დათქმული დროის გასვლის შემდეგ, თუ გვირგვინით იმკობა ჩვენი თანამემამულის საფლავი ან ძეგლი, სრულდება საქართველოს ჰიმნი, შემდეგ კი მასპინძელი ქვეყნისა. თუ გვირგვინით იმკობა მასპინძელი ქვეყნის ეროვნული მემორიალი, პირველად სრულდება იმ სახელმწიფოს ჰიმნი, შემდეგ კი საქართველოსი. ამის შემდეგ, ცერემონიის მონაწილენი ძეგლს შორდებიან და ეწყობიან იმ მხარეს, სადაც ქვეით მწკრივად

მოწყობილი საპატიო ყარაული, ძეგლის გასწვრივ სადღესასწაულო მარშით ჩაივლის.

ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ყარაული და ორკესტრი ბრუნდება ხომალდზე. ადგილობრივ ხელისუფალთა ნებართვით მათ შეუძლიათ წასვლა ქვეითი მწყობრით. მსვლელობის დროს აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ არსებობს შეხვედრები, როცა მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლება თვითონ გამოყოფს საპატიო ყარაულსა და ორკესტრს, ან საპატიო ყარაული და გუშაგები ძეგლთან დადგომისათვის გამოიყოფა ორივე მხრიდან. ზოგჯერ ეს თავისებურებანი ასახვას პოულობს უცხოეთის ქვეყნების შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს გვირგვინებით შემკობის საგანგებო წესები და ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებითა და სიფრთხილით ეპყრობა მის დაცვას. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია რიტუალის მკაცრად დაცვა იმ მომენტების გამოკლებით, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენი მოქალაქის პოლიტიკურ და ათვისტურ მრწამსს.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გვირგვინებით შემკობის ცერემონიალის ყველა დეტალი, ყოველთვის წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივ ხელისუფლებას.

თავი III

მიღებათა მოწყობა, მომსახურება. მაგიდასთან მოქცევის წესები

1. მაგიდასთან დასხდომა (განთავსება)

საზღვარგარეთის პორტებში სამხედრო ხომალდების ვიზიტის დროს გათვალისწინებულია ურთიერთსაპასუხო ვიზიტები მაგიდასთან მიწვევით ან უამისოდ.

საქართველოს მიერ მოწყობილ მიღებაზე (მაგიდასთან მიწვევით) იწვევენ მხოლოდ მამაკაცებს. გამონაკლისის წესით უშვებენ ქალებს, რომლებსაც უკავიათ მაღალი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. თუ მიღება მოწყობილია სავიზიტო ქვეყნის ხელისუფალთა მიერ, ზოგჯერ იწვევენ ქალებსაც.

ჩამოთვლილ მიღებებზე არსებით მნიშვნელობას იძენს მაგიდასთან მოწვეულ სტუმართა შორის ადგილების განაწილება. მაგიდასთან სტუმრების განთავსების გეგმას ადგენენ მას შემდეგ, რაც იღებენ პასუხს მოწვევაზე. ეს იძლევა მიღების მონაწილეთა შემადგენლობის დადგენისა და მაგიდასთან მათი განთავსების გეგმის შედგენის საშუალებას. ამ გეგმის შედგენისას ყვრდნობიან დადგენილ წესებს, რომელთა საფუძველია ადგილების განაწილება პატივის ხარისხის მიხედვით. დიპლომატიურ მიღებებზე ადგილი მაგიდასთან ნაწილდება მოწვეულთა უფროსობის, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

მაგიდასთან განთავსების ვარიანტები დამოკიდებულია მაგიდის ფორმაზე და იმაზე, თუ სად ჯდება მიღების მასპინძელი. თუ მიღება მოწყობილია ქართული მხრიდან, მაშინ მასპინძლის როლს ასრულებს რაზმის მეთაური ან ზომალდის მეთაური, რომლის ხელმძღვანელობით ხორციელდება ვიზიტი უცხოეთის პორტში.

საერთოდ, ყველაზე საპატიოდ ითვლება ადგილი დიასახლისის მარჯვნივ, შემდეგ – მასპინძლის მარჯვნივ. თუ დიასახლისი არ არის


მიღებაზე, მაშინ ყველაზე საპატიოა ადგილი მასპინძლის მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. თუ მიღებას ესწრება მთავარი სტუმარი (მთავარ სტუმრად ითვლება – სამსახურებრივი მდგომარეობით, თანამდებობით ან წოდებით ყველაზე უფროსი), მას მიუჩნენ ადგილს მასპინძლის პირდაპირ. იმის მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული მასპინძლისაგან ადგილი, მისი ხარისხი მცირდება. მაგიდის გვერდებზე ბოლო ადგილები ჩვეულებრივ განკუთვნილია მიღების მომწყობი მხარის წარმომადგენელთათვის. თუ მოწვეულთა რიცხვი მცირეა, მაგიდის ტორსული მხარეები რჩება თავისუფალი.

ადგილების განაწილებისას ითვალისწინებენ არა მარტო საპატიოობის ხარისხს, არამედ სხვა პირობებსაც. მაგალითად, გვერდი-გვერდ არ სვამენ ერთი მხარის წარმომადგენლებს. ადგილებს ისე ანაწილებენ, რომ ერთმანეთის გვერდით არ აღმოჩნდნენ ცოლი და ქმარი, ორი ქალი და ორი მამაკაცი. მაგიდასთან ჯდომის ყველაზე უფრო გავრცელებული ვარიანტები ხომალდის პირობებში, მოტანილია მე-12 ნახაზზე.


და მაინც, რომ არ შევცდეთ ადგილების განაწილებისას და მაგიდასთან განთავსების გეგმის შედგენისას, კარგი იქნება, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მივიღებთ კონსულტაციას საელჩოს წარმომადგენელთან ან სავიზიტო ქვეყნის საკონსულოსგან.

სტუმართა ორიენტაციისათვის ხაზავენ მაგიდის გეგმას, სადაც მითითებულია ყოველი მოწვეულის ადგილი. გეგმას გამოკიდებენ თვალსაჩინო ადგილას მისაღებში ან შენობაში, რომელიც მღებარეობს მიღების ადგილის მეზობლად; ხომალდზე მას ანთავსებენ სალონში, კაიუტკომპანიიში ან სხვა მოსახერხებელ ადგილას. ამასთან ერთად, მაგიდის ყოველ მოწყობილობასთან დებენ ბარათს ან სტუმრის გვარით დგამენ სპეციალურად მომზადებულ ბარათს, მასზე წერენ გვარს ერთ ან ორივე გვერდზე. თუ წარწერა გაკეთებულია მხოლოდ ერთ გვერდზე, მაშინ წას მიაბრუნებენ მაგიდის კიდისკენ.


ზოგჯერ ხომალდზე არ არის ყველა მოწვეულისათვის საერთო მაგიდის გაწყობის საშუალება. მაშინ, აწყობენ რამდენიმე პატარა მაგიდას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეგუებიან კონკრეტულ გარემოს, არ უკუაგლებენ დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულ, მაგიდასთან განთავსების პრინციპს.



პირობითი აღნიშვნები:

 - მასპინძლის ადგილი

 - საპატიო სტუმრის ადგილი

 - უცხოელი სტუმრების ადგილი

ა) - მიღება, რომელზეც მაგიდის თავში ადგილს იკავებს მასპინძელი;

ბ) - მიღება, რომელსაც ესწრება მთავარი სტუმარი.

ნახ. 12. მაგიდასთან განთავსების სქემა

სახომალდო პირობებში, არცთუ იშვიათად, საპატიო სტუმრებისათვის აწყობენ ცალკე მაგიდას, რომელთანაც ადგილებს – კვლავ ზემოხსენებული პრინციპით ანაწილებენ.

2. მაგიდის მენიუ და სერვირება

მენიუ. აწყობენ რა მიღებას ხომალდზე, მასპინძლები, როგორც წესი, ახდენენ საკუთარი ქვეყნის სამზარეულოს დემონსტრირებას, მაგრამ არ იფიწყებენ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა ეროვნულ გემოვნებას, რომელშიც იმყოფებიან. ცნობილია, რომ ერთი ეროვნების ადამიანებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გემოვნებით და სხვადასხვაგვარი საჭმელები მოსწონთ. და მაინც, უფრო ხშირად, ცალკეული ეროვნების წარმომადგენლებს ერთნაირი ან მსგავსი გემოვნება აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა მრავალფეროვან კერძთაგან უპირატესობას ანიჭებს რომელიღაც განსაზღვრულ კერძებს. ეს აიხსნება ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტორებით, რომლებიც განპირობებულია ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიური თავისებურებებით, განვითარების ხასიათით, საგარეო ვაჭრობის მოცულობით, უკვე ჩამოყალიბებული ჩვეულებებით, ჩვევებით და აღმსარებლობითაც კი.

მენიუს შედგენისას ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინონ მოწვეულთა ეროვნული გემოვნება. ამაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სხვადასხვა ერების სამზარეულოს თავისებურებათა ცოდნას. ეს ცოდნა ხელს უწყობს სამამულო სამზარეულოს კერძების სწორ არჩევასაც. ამ საკითხში ორიენტრებისათვის მენ დანართში მოტანილია ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული სამზარეულოს თავისებურებანი.

მაგიდის სერვირება. სერვირებისა და მოწყობილობებით სარგებლობის წესების ცოდნა სასარგებლოა არა მარტო მათთვის, ვინც უშუალოდ ამზადებს მიღებას ან აწყობს მაგიდას სტუმრებისათვის, არამედ მიღების ყველა მონაწილესათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ მაგიდა კარგად და სწორად არის განწყობილი და მასთან ჯდომა მოსახერხებელია, მაშინ გემრიელი საჭმელი სტუმრებს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს. ამას უნდა დაემა-

ტოს ისიც, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოფიციალტების ფაქიზი გარეგნობა. თუ მიღება მოწყობილია ზომალდზე, ოფიციალტებად ინიშნებიან განსაკუთრებულად მარჯვე მეზღვაურები, რომელთაც წინასწარ ასწავლიან ქცევის წესებს, მაგიდის სერვირებასა და სტუმართა მომსახურებას.

მაგიდის სერვირების დროს თითოეული ადგილისათვის გამოყოფენ 100 – 120 სმ. სიგანის, 60 – 80 სმ. სიგრძის მაგიდას. ამ ფარგლებში განალაგებენ აუცილებელ ჭურჭელს და სამაგიდო მოწყობილობას. სკამებს ან სავარძლებს განალაგებენ მაგიდასთან იმგვარად, რომ თითოეული მჯდომი თავს გრძნობდეს მოხერხებულად და არ უშლიდეს მაგიდის ფეხი ან მეზობლის იდაყვი. სკამებსა ან სავარძლებზე კარგი იქნება თეთრი შალითების გადაკვრა. მომსახურების მოხერხებულობისათვის სასურველია, რომ სკამის ან სავარძლის საზურგე იატაკიდან 90 – 100 სმ-ზე მაღლა არ იყოს.

მაგიდას აფარებენ რბილ და მკვრივ ქსოვილს. თუ სუფრა გამჭვირვალეა, მაშინ მის ფერს ქსოვილის ფერს უხამებენ, რომ სუფრამ არასასიამოვნო ელფერი არ მიიღოს. ქსოვილზე აფარებენ თეთრ, ოდნავ გახამებულ სუფრას ისე, რომ კიდეებზე ჩამოშვებული იყოს 25–30 სმ-ით, ზოლო ტორსზე 30–40 სმ-ით. მაგიდის ყველაზე კარგი სამკაული ცოცხალი ყვავილებია, თუმცა მათ არ უნდა ეკავოთ ისეთი დიდი ფართობი, რომ სტუმრებს ხელს უშლიდეს. კარგად გამოიყურება მაგიდაზე დაბალი ლარნაკები რამდენიმე ყვავილით. ჩვეულებრივ ლარნაკში კენტი რიცხვის ყვავილებს დებენ. ზოგჯერ მაგიდას ამშვენებენ მოცვის ტოტებით ან ყვავილებით, რომლებიც უწყლოდ სწრაფად არ ჭკნებიან. მაგიდის მორთვის სპეციალური წესები არ არსებობს. აქ გემოვნების გამოჩენა მართებთ მიღების მომწყობთ.

ჭურჭელსა და მაგიდის მოწყობილობას ამზადებენ მიღების მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად. აუცილებელია იყოს შესაცვლელი ჭურჭლის მარაგიც. მაგიდის გაწყობის წინ სერვირების ყველა საგანს წმენდენ სუფთა ტილოთი, რომ მასზე არ დარჩეს ნათითურები, მინისა და ბროლის ჭურჭელს ამოწმებენ სინათლეზე.

სერვირებას იწყებენ სუფრის დასადგამი თეფშებით. მათ იღებენ მარცხენა ხელში დასტად (5-6 თეფში), მარჯვენა ხელით კი ალაგებენ მაგიდაზე. თეფშს პირველად დგამენ მაგიდის ცენტრისა და სტუმრის დასაჯდომი ადგილის გადაკვეთაზე მაგიდის კიდიდან 2 სმ-ის დაშორებით. შემდეგ ორივე მხრიდან 80 სმ-ის დაშორებით ალაგებენ თეფშების საჭირო რაოდენობას, ე.ი. იმდენს, რამდენიც სტუმარია. მაგიდის ცენტრში, სადაც სხდებიან მასპინძელი და საპატიო სტუმრები, თეფშებს შორის ინტერვალი შეიძლება გაიზარდოს. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს თეფშებს განალაგებენ სიმეტრიულად. განლაგების ორიენტირებისათვის შეიძლება გამოგვადგეს თანაბარი ინტერვალებით დადგმული სკამები ან სავარძლები.


დასადგამ თეფშებზე დგამენ საუზმის თეფშებს, ხოლო მარცხნივ, 10-15 სმ-ზე, 7-10 სმ-ის დაშორებით მაგიდის კიდიდან - საღვებულე თეფშებს.

შემდეგ, გამოყენების რიგის მიხედვით, განალაგებენ სხვა საგნებს; მარჯვნივ აწყობენ მჭრელ დანას, მარცხნივ ჩანგალს კბილებით ზემოთ (თეფშებთან ალაგებენ ჯერ დანასა და ჩანგალს ხორციანი კერძებისათვის, გვერდით - თევზიანი კერძისათვის და ბოლოს - სასაუზმეს). თუ მენიუში ჩართულია პირველი კერძი, მაშინ მარჯვენა მხარეს სასაუზმე და სათევზე დანებს შორის დებენ საბულიონე კოვზს ჩაღრმავებული ადგილით ზემოთ. სასაუზმე დანის მარჯვნივ დებენ სახიზილალე ნიჩბის მაგვარ დანას, ხოლო საღვებულე თეფშის მარცხენა კიდეზე - ინდივიდუალურ დანას კარაქისათვის. ყველა ამ საგნის ტარი უნდა იყოს განლაგებული ერთ ხაზზე, 5 სმ-ის დაშორებით მაგიდის კიდიდან. საღვებულე დანასა და ჩანგალს დებენ დასადგამი თეფშის უკან ერთმანეთის პარალელურად, მაგიდის გასწვრივ.

საღვებულე თეფშის უკან ერთი მოწყობილობის გამოტოვებით დგამენ სამარილესა და მისგან მარცხნივ საპილილეს. ამის შემდეგ მაგიდის გასწვრივ ცენტრის გადაკვეთაზე დგამენ დაბალ ლარნაკებს ან ჭიქებს ქალადის ხელსახოცებით, ხოლო ქსოვილის ხელსახოცებს, დახვეულს კონუსისებურად, სამკუთხედებად ან სწორკუთხედებად, ჩვეულებრივ, დებენ სასაუზმე თეფშებზე.

ერთი ადგილის სერვირების მაგალითი მოტანილია მე-13 ნახაზზე.

თანამედროვე ეტიკეტის მიხედვით მაგიდასთან თამბაქოს ეწვეიან დესერტის შემდეგ, ამ დროს უკავშირებენ საფერფლეების მოწოდებას. თუმცა არის შემთხვევები, რომ მათ დგამენ წინასწარ, მაგიდის გაწყობის დროს. საფერფლეს დებენ ჩანგლების გვერდით. მასთან დგამენ სპეციალურ სასიგარეტეში ჩალაგებულ სიგარეტებს, ან სიგარეტის გახსნილ კოლოფებს, მათ გვერდით კი ასანთს.



1 - საპილპილე; 2 - სამარილე; 3 - სადესერტო ჩანგალი; 4 - სადესერტო დანა; 5 - ფუჟერი წვენისათვის; 6 - საღვეზელე თეფში; 7 - დანა კარაქისათვის; 8 - სასაუზმე ჩანგალი; 9 - სათევზე ჩანგალი; 10 - სასადილო ჩანგალი; 11 - დასადგამი თეფში; 12 - ტილოს ხელსახოცი; 13 - მცირე თეფში (სასაუზმე); 14 - სასადილო დანა; 15 - სათევზე დანა; 16 - სასადილო კოვზი; 17 - სასაუზმე დანა.

ნახ. 13. მიღების ერთი მონაწილისათვის მაგიდის სრული სერვირების მაგალითი

თუ ცივ საუზმეს, რომლითაც ჩვეულებრივ იწყება საუზმე, სადილი ან სამზარეულო, მაგიდაზე დგამენ წინასწარ; მათ უფრო ხშირად აწყობენ საერთო ლანგარზე, რომელზეც არის კოვზი, ჩანგალი ან სხვა საჭირო საგანი. მათი საშუალებით სტუმარს შეუძლია გადაიღოს ლანგრიდან საჭმელი თავის თეფშზე. თუ ასეთ საკვებს ლანგრებით დაატარებენ ოფიციანტები, ჩანგალს და კოვზს მათზეც დებენ.

საუზმეულის განლაგების შემდეგ, ყველა ადგილზე, ჩანგლის კბილების მარცხნივ, დებენ ფურცელზე დაბეჭდილ მენიუს. მენიუს ბეჭდავენ სავიზიტო ქვეყანაში ყველაზე გავრცელებულ ენაზე. თუ შესაძლებელია, ამ ფურცლებს ბეჭდავენ ქართულ ენაზე, უცხოელ სტუმრებს კი აძლევენ საჭირო განმარტებას მომზადებული კერძის შესახებ.

ბოლოს, მაგიდაზე დგამენ პურს და გამომცხვარ ნაწარმს – ღვეზელს, ხაჭაპურს, ლობიანს და სხვა.

სასადილო შენობაში სტუმრების მოსვლის წინ – საუზმის, სადილის ან სამზარეულოს წესრიგში მოჰყავთ დამხმარე მაგიდები სათადარიგო ჭურჭლით, და მაგიდის სხვა ნივთებით. ათობენ ცხელი საჭმელების მიწოდებას განკუთვნილ საბუღალტრო ჯიშებს და თეფშებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო ზომალდები ხშირად შედიან უცხოეთის პორტებში და გათვალისწინებულ შემთხვევებში იქ ხშირად იმართება მიღებები, მიზანშეწონილია ყოველ ზომალდზე იყოს მაგიდის სერვირებისათვის ჭურჭლისა და სხვა სამაგიდო მოწყობილობების კომპლექტი. მისი რაოდენობა და ასორტიმენტი განისაზღვრება სამხედრო ზომალდის, უცხოეთის ამა თუ იმ პორტში ვიზიტის ხასიათით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 1-ლი და მე-2 რანგის ზომალდებზე სადილის ტიპის მიღებაზე, საკმარისია ჭურჭლის კომპლექტი 30 კაცზე, ხოლო მასობრივი მიღებისათვის (ფურშეტის ტიპი, კოქტეილი და ა.შ.) – 100 კაცზე.

3. მომსახურება მიღებაზე

მაგიდასთან მოწვევით მიღებებს ოფიციანტები ემსახურებიან. თანამედროვე პრაქტიკაში განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ მომსახურებას.

სრული მომსახურება ეწყობა საუზმის, სადილის ან ვახშმის ტიპის ოფიციალურ მიღებებზე. მომსახურების ამ ფორმის დროს, ყველა სასმელს, კერძს და საუზმეს მაგიდასთან მსხდომთ მიაწვდიან ოფიციალ-ტები. მათი ზუსტი და სწორი მუშაობის უზრუნველსაყოფად ნიშნავენ ამ საკითხებში გამოცდილ განმკარგულებელს. ის წინასწარ ანაწილებს მთელ სამუშაოს ოფიციალტებს შორის: ადგენს, რომელი მათგანი მიაწო-დებს სტუმრებს საუზმეს, ცხელ კერძებს, გარნირებს, სოუსს; ვინ ჩამო-ასხამს სასმელებს, ვინ აალაგებს თევშებს, ვინ შესთავაზებს ყავას და ა.შ. ის თვალყურს ადევრებს მომსახურების სიზუსტესა და დროულობას.

ოფიციალტები მუშაობენ წყვილებად. თითოეული წყვილი ემსახურება 8-10 სტუმარს და მიმაგრებულია მაგიდის განსაზღვრულ მონაკვეთზე. ოფიციალტებმა უნდა იცოდნენ სტუმრების მომსახურების რიგითობა, ასე-ვე კერძებისა და სასმელების მიწოდების თანმიმდევრობა.

სადილის წინ, მაგიდასთან განთავსებამდე, მოწვეულებს, როგორც წე-სი, მიართმევენ წვეწებსა და სხვა სასმელებს. ჩვეულებრივ, ეს ხდება იმ ოთახის მეზობელ ოთახში, სადაც მაგიდაა გაშლილი. მაგიდაზე დასაწ-ყისში მოაქვთ თევზულის ცივი საუზმე, ხიზილალა, კარაქი, ახალი ბოსტნეული. ამის შემდეგ ნახმარ თევშებსა და დანა-ჩანგალს ცვლიან სუფთა ჭურჭლით, ზორცეულის ცივი საუზმისათვის. ცივი საუზმის შემ-დეგ მოაქვთ ცხელი საუზმე, შემდეგ პირველი კერძები, მეორე ცხელი კერძები, დესერტი, ხილი და ცხელი სასმელები.

სრული მომსახურების მოწყობის დროს, ჩვეულებრივ ეყრდნობიან შემდეგ სქემას: ოფიციალტები, რომლებმაც მიიღეს ჩამოსარიგებლად კერ-ძები, განმკარგულებლის ნიშანზე მიდიან თავის სექტორთან და ღებთან პირით მაგიდისკენ, სტუმრების უკან 2-3 ნაბიჯზე. შემდეგ, ასევე განმ-კარგულებლის მითითებით, იწყებენ კერძების ჩამორიგებას, იცავენ რა დადგენილ თანამიმდევრობას. თითოეულ კერძს, დაწყებულს საუზმით, თავდაპირველად მიართმევენ საპატიო სტუმარს (სტუმრებს), შემდეგ კი დანარჩენ მოწვეულებს. ისინი მოძრაობენ ნელ-ნელა, მარჯვნივ და მარცხნივ მაგიდის ბოლოებისაკენ. მიღების მასპინძელს ყოველ კერძს მი-ართმევენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ კერძს ჩამოურიგებენ ყველა იქ მყოფს.

საუზმიდან 15–20 წუთის შემდეგ მიაწოდებენ პირველ კერძს (წვინანს), 7–10 წუთის შემდეგ – მეორე თევზულ კერძს, კიდევ 15–17 წუთის შემდეგ – მეორე ხორციულ კერძს. 15–20 წუთის შემდეგ მიაქვთ დესერტი და ხილი. დესერტის დროს ჩვეულებრივ ენაცვლებიან ერთმანეთს გამოსვლებით, რის შემდეგაც სტუმრებს იწვევენ მაგიდასთან, სადაც მოაქვთ ყავა ან ჩაი (სურვილის მიხედვით). კერძებისა და სასმელების მიწოდების რიგითობას, დროულობასა და სინქრონულობას თვალს ადევნებს განმკარგულებელი.

ყველა კერძსა და დესერტს აწვდიან მარცხენა მხრიდან. სასმელებს ასხამენ სტუმრისგან მარჯვენა მხარეს მდგარ პოზიციაში. კერძის მოწოდება მარჯვენა მხრიდანაც შეიძლება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კერძი მოთავსებულია ინდივიდუალურად სახმარ ჭურჭელში. კერძის მიწოდებისას ოფიციალტი აფრთხილებს სტუმარს სიტყვებით: „ნება მიბოძეთ, დავდგა“. თუ მოაქვთ ისეთი კერძი, რომლის ჭამის დროს არ არის საჭირო დანა-ჩანგალი (მაგალითად „ტაბაკა“), მაშინ მაგიდაზე თითების ამოსაბანად დგამენ პატარა წყლიან ჯამს ლიმონის ნაჭრით.

მას შემდეგ, რაც საპატიო სტუმარი (სტუმრები) დაამთავრებს მორიგი კერძის ჭამას, ჭურჭელს აიღებენ. ამას აკეთებენ განმკარგულებლის ნიშანზე – ერთდროულად ყველა სექტორში. სტუმრიდან მარჯვნივ ჭურჭელს იღებენ მარჯვენა ხელით, მარცხნივ – მარცხენა ხელით. ჭურჭლის გამოცვლისას სტუმართან მიდიან მარჯვენა მხრიდან, მარცხენა ხელით იღებენ ნახმარ თეფშს, მარჯვენათი კი დგამენ სუფთას.

დესერტის შემდეგ ყავის მოტანა სასურველია სხვა ოთახში. თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, მაშინ სუფრიდან იღებენ ყველაფერს, გარდა ხილიანი ლარნაკებისა და ფუჟერებისა – მინერალური წყლით, ხოლო სუფრას აწყობენ ხელახლა. მასზე ალაგებენ ხილიან ლარნაკებს (თუ არ დაუწყვიათ მანამ), სადესერტო თეფშების დასტას და ხილისათვის საჭირო მოწყობილობას. იმავედროულად შეიძლება კანფეტების, ორცნობილისა და ნამცხვრების მოტანაც. ამის შემდეგ მაგიდაზე დგამენ ყავის ფინჯნებს, ფინჯანს დგამენ სახელურით მარცხნივ, ლამბაქზე კი დებენ ყავის კოვზს ტარით მარჯვნივ.

ზემოთ მოტანილი მომსახურების მოწყობის სქემა არ არის ერთადერთი. დასაშვებია სხვა ვარიანტებიც. იმისათვის, რომ მიღება კარგად ჩატარდეს, აუცილებელია მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები წინასწარ განისაზღვროს და ამისათვის გამოყენებული იყოს სამხედრო-საზღვაო ძალებში დაგროვილი გამოცდილება.

ნაწილობრივი მომსახურება ეწყობა მიღებებზე, რომლებიც არ ატარებენ პროტოკოლურ, ოფიციალურ ხასიათს. სრული მომსახურებისაგან განსხვავებით აქ ყველა ცივ საუზმეს და სასმელს მაგიდაზე დებენ წინასწარ, ხოლო ცხელ კერძებს ჩამოატარებენ ოფიციანტები. თითოეული მათგანი ემსახურება 10—14 კაცს.

ასეთი მიღებისათვის ადგენენ შესატყვის მენიუს. მასში შედის ცივ საუზმეთა მრავალნაირი ასორტიმენტი. ამის გარდა მენიუში რთავენ 1—2 ცხელ საუზმეს, ცხელ კერძს, დესერტსა და ხილს. ხშირად, ბოლოს მოაქვთ ყავა.

მაგიდის გაწყობა ხდება ისევე, როგორც მთლიანი, სრული მომსახურების დროს. თუმცა თუ ცხელი კერძი რიგდება ცალკეულ პორციებად, მაშინ მაგიდაზე დგამენ მხოლოდ საღვეზელე და სასაუზმე თეფშებსა და შესაბამის მოწყობილობებს. სადესერტო მოწყობილობა მოაქვთ ტკბილეულთან ერთად.

თევზეული, ბოსტნეული და ხორცეული საუზმეები მონაცვლეობით იდგმება მაგიდის სიგანიდან გამომდინარე, ერთ ან ორ რიგად ისე, რომ ოფიციანტის დახმარების გარეშე, სარგებლობა შეეძლოს ახლოს მსხდომ 4—6 კაცს. ცივ საუზმეს დგამენ მაგიდაზე სტუმართა განთავსებამდე 20—30 წუთით ადრე. თითოეულ კერძზე დებენ მოწყობილობას განაწილებისათვის. სუფრა რომ არ დაისვაროს, სასალათების, სახიზილალებებისა და სხვა ჭურჭლის მაგიდაზე დადგამდნენ მათი ძირი ტილოთი უნდა გაიწმინდოს.

საუზმის შემდეგ მაგიდაზე დგამენ სასმელებს. ბოთლებს წმენდენ ტილოთი, ამოწმებენ ეტიკეტების სისუფთავეს, ათვალეიერებენ, რომ სასმელში არ იყოს ნალექი. ბოთლების ჩადგმისას მათ განათავსებენ მთელ მაგიდაზე ეტიკეტებით სტუმრებისაკენ. ლითონის თავსახურებით თავდახურულ ბოთლებს ხსნიან უშუალოდ მაგიდასთან სტუმრების მოწვევამდე.

ყოველი ბოთლის ყელსაც ტილოთი წმენდენ. თუ მაგიდის ფართობი დიდი არ არის, ბოთლების ნაწილს ტოვებენ დამხმარე მაგიდებზე და მაგიდაზე მიაწვდიან საჭიროების შემთხვევაში. ბოლოს საღვეზელე თეფშებზე დებენ პურს.

ნაწილობრივი მომსახურების დროს ცხელი და სხვა კერძების მოწოდებამდე ისეთ საუზმეს, როგორცაა ახალი და დამწნილებული ბოსტნეული, ყველი და კარაქი — მაგიდიდან არ იღებენ. თუ აუცილებელია სხვა სახის საუზმის დატოვება, მათ გადაადგილებენ ისე, რომ თეფში არ გამოიყურებოდეს სანახევროდ ცარიელად. ცხელი კერძი, როგორც წესი, მოაქვთ საერთო სინზე, წინასწარ კი თითოეული სტუმრის წინ დგამენ სუფრის პატარა თეფშს, შეძლებისდაგვარად შემთბარს. მის ახლოს დებენ შესაბამის მოწყობილობას.

დესერტისა და ცხელი სასმელების მოტანის წინ მაგიდას საგულდაგულოდ ააღაგებენ ისევე, როგორც სრული მომსახურების დროს.

ფურშეტის ტიპის მომსახურება ეწყობა მაშინ, როცა სტუმრები არ სხდებიან მაგიდასთან. საუზმეს, კერძებსა და სასმელებს მოწვეულები ირჩევენ გემოვნების მიხედვით.

გადაადგილება რომ მოსახერხებელი იყოს, საფურშეტე მაგიდებს არ დგამენ ერთმანეთთან და კედელთან ძალიან ახლოს. სუფრას მაგიდაზე აფარებენ ისე, რომ კალთები ყოველი მხრიდან თანაბრად იყოს დაშვებული (იატაკიდან 5—10 სმ-ზე). თუ ასეთი სუფრები არ არის, მაშინ ხმარობენ ჩვეულებრივს. შეძლებისდაგვარად, ერთ-ერთი მაგიდა გათვალისწინებული უნდა იყოს საპატიო სტუმრებისათვის. მას დგამენ ისე, რომ სხვა სტუმრები ზურგით არ იდგნენ მისკენ.

ძირითადი მაგიდების გარდა შენობაში სასურველია მცირე და დამხმარე მაგიდების დადგმა სივარტებისათვის, ასანთებისათვის, საფერფლებისათვის და სარეზერვო ჭურჭლისათვის.

მაგიდების სერვირება არსებობს ერთმხრივი და ორმხრივი, ხოლო ჭურჭლისა და მოწყობილობების განლაგების მიხედვით — მრავალგვარი. მაგალითად, ორმხრივი სერვირების დროს მაგიდის ბოლოში 10, 15, 21 ფუჟერისაგან ქმნიან სამკუთხედებს, რომლებიც დაშორებულია მაგიდის კიდიდან არანაკლებ 15—20 სმ-ით. მინის ჭურჭელი შეიძლება დაიდგას

სხვანაირადაც, მაგალითად, „ნაძვისებურად“, „ელვისებურად“ და ა.შ. წყენები, წყლები და სხვა სასმელები იღვამება ფუჟერებთან ახლოს. თეფშები, მოწყობილობები, კერძები და საუზმეები კი — ფუჟერების წინ.

საპატიო სტუმრებისათვის, ჩვეულებრივ, მაგიდას აწყობენ ერთმხრივად.

საფურშეტე მაგიდების გასაწყობად იყენებენ სასაუზმე და საღვეზულე (ან სადესერტე) თეფშებს. მაგიდის ორივე მხარეს ბლომად დებენ სასაუზმე, შემდეგ კი საღვეზულე თეფშებს. თეფშების დასტებს შორის მანძილი 1,5–2 მ-ია. თითოეულ დასტაზე დებენ 3–5 ტილოს ხელსახოცებს შეკრულს მუთაქისებურად. სასაუზმე თეფშების მარჯვნივ დებენ რამდენიმე სასაუზმე დანას (მჭრელი პირი თეფშისაკენ), მარცხნივ — სასაუზმე ჩანგლებს (თეფშების რაოდენობის მიხედვით). მათ დებენ ჩაზნექილი მხრიდან თეფშის კიდეზე. სადესერტო თეფშების მარჯვნივ განლაგებენ სახილე დანებს, მარცხნივ — სადესერტო ჩანგლებს. ფუჟერებს შორის დგამენ ხილიან და ყვავილიან ლარნაკებს. მიღების მომწყობთა გემოვნებისა და შესაძლებლობის მიხედვით ფურშეტის მაგიდების გაწყობის სხვა ვარიანტებიც არსებობს.

ჭურჭლეულისა და სხვა მოწყობილობების განთავსების შემდეგ მაგიდაზე დებენ საუზმეს: პირველად — იმას, რაც განლაგებულია დიდ ლანგრებზე, ბოლოს — საუზმეს, შეკაზმულს მაიონეზით ან არაჟნით; ასევე ხიზილალასა და ლაბასხმულ კერძებს. საუზმის ლარნაკებსა და სასალათეებს დგამენ მაგიდის კიდიდან უფრო შორს, ვიდრე დაბალ ჭურჭელს. საუზმეთა განლაგების დროს იცავენ თანმიმდევრობას. მაგალითად, ანაცვლებენ თევზეულს, ხორცეულსა და ბოსტნეულს. თითოეული კერძისათვის დებენ საჭირო ჭურჭელსა და მოწყობილობას. იმის გათვალისწინებით, რომ სტუმრები ფურშეტის დროს ჭამენ ფეხზე მდგომნი, ყველა ცივი საუზმე უნდა იყოს დაჭრილი წვრილ ნაჭრებად. პური მოაქვთ პატარა ნაჭრებად. მას დებენ სასაუზმე თეფშებზე, ან საორცხობილეში.

მაგიდის კიდეზე არაფერს დებენ, რადგან სტუმრებს უნდა ჰქონდეთ თავისი თეფშების დადების შესაძლებლობა.

წვენის, მინერალური წყლისა და სხვა სასმელების ბოთლებს ხსნიან სტუმართა მაგიდასთან მოწყვევამდე 5-10 წუთით ადრე. ამასთან, უნდა

ალინიშნოს, რომ ხსნიან ბოთლების მხოლოდ ნაწილს, დანარჩენს — მომსახურების პროცესში.

ფურშეტის ტიპის მიღებას ემსახურებიან ოფიცინანტები. ჩვეულებრივ, თითო ოფიცინანტი ემსახურება 15–20 სტუმარს. ოფიცინანტის ამოცანაა — დაეხმაროს სტუმარს საუზმის არჩევაში, ჩამოასხას შემაგრებელი სასმელი, დადოს თეფშზე საუზმე და ა.შ. ამასთან მიღებულია, რომ საუზმე მოიტანოს ერთმა ოფიცინანტმა, სასმელი — სხვამ.

სასმელი მოაქვთ სხვადასხვა წესით. მაგალითად, ხელსახოცით გადაფარებულ ლანგარზე დგამენ რამდენიმე ფუჟერს სხვადასხვა სასმელით და მიართმევენ სტუმრებს, თან ეუბნებიან სასმელის დასახელებას. ლანგარი უჭირავთ მარცხენა ხელში. ზოგჯერ ლანგარზე დგამენ რამდენიმე ცარიელ ფუჟერს და სასმელიან ბოთლებს, მობრუნებულს ეტიკეტით სტუმრებისაკენ. ამ შემთხვევაში ოფიცინანტი ჩამოასხამს სასმელს სტუმრის სურვილის მიხედვით ან ამის საშუალებას თვით სტუმარს აძლევს.

საუზმის მოწოდების დროს ოფიცინანტი ლანგარს იღებს მარცხენა ხელით და თან ყოველი სტუმრის თეფშზე დებს საუზმეს.

განმკარგულებლის ნიშანზე ჯერ შემოაქვთ ცივი საუზმე, შემდეგ — ცხელი. ფურშეტის მომსახურებისათვის მათ ამზადებენ განსაზღვრული ასორტიმენტის შესაბამის ჭურჭელში. მაგალითად, გარეული ან შინაური ფრინველის ყულიენი, ქამა სოკო არაჟანში, კიბორჩხალა წვენი — მოაქვთ ჯამებით; სოსისი, ქუფთა, მოხარშული ან შემწვარი ზუთხი, ლულა ქაბაბი — მელქიორის სინებსა და მეტალის ჯამებში.

საუზმიან ჯამებს დგამენ ლანგარზე, რომელზედაც გადაფარებულია ხელსახოცი. გვერდით კიდეზე დებენ სპეციალურ ჩანგლებს ან კოვზებს. თუ ჯამის სახელური ძალიან ცხელია, მას წამოაცმევენ ქაღალდის სახვევს. პატარა-პატარა ნაჭრებად მომზადებულ ზოგიერთ კერძს, მაგალითად, ლულა-ქაბაბს, სოსისს და სხვა — ჩანგლების ნაცვლად თან ახლავს ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის დაშნები. ნახმარ დაშნებს კრეფენ ოფიცინანტები და მიაქვთ გადასაყრელად.

ცხელი საუზმის შემდეგ მოაქვთ ნაყინი, ათქეფილი ნაღები, კენკრა და ხილი. ისინი მოაქვთ შესაბამისი ჭურჭლით (სანაყინე, ჯამები), ხელსახოცგადაფარებულ ლანგარზე.

დესერტად, როგორც წესი, მოაქვთ ყავა. ფინჯნებს დგამენ ხელსახოცგადაფარებული ლანგრის ცენტრში, ლამბაქებს — დასტად, ლანგრის კიდეზე. თუ სტუმრებს სთავაზობენ სიგარეტებს, მაშინ მათ დებენ უხელსახოცო ლანგარზე და გვერდით უდებენ ანთებულ სანთელს.

საფურშეტე მაგიდების გასაწყობი ჭურჭლისა და მოწყობილობების რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინონ, რომ თითოეულ სტუმარზე მოდიოდეს 1,5–2 სასაუზმე თეფში, 0,2–0,3 საღებველ თეფში, 0,25–0,5 სასაუზმე დანა, 1,5–2 ჩანგალი, 0,25–0,5 სახილე დანა, 0,1–0,5 ფუჟერი, 0,25–0,5 ჭიქა წვენებისათვის.

მომსახურება კოქტიელის ტიპის მიღებაზე. კოქტიელის ტიპის მიღებებზე არ შლიან ისეთ დიდ მაგიდებს, როგორსაც ფურშეტებზე. ასევე, აქ არ არის გათვალისწინებული სტუმართა დასხდომა. მიღების ადგილას დგამენ მომცრო ზომის მაგიდებს სიგარეტებით, ასანთებით, საფერფლეებით, ქალაღის ხელსახოცებით. ზოგჯერ აქვე დგამენ ლარნაკს შაქრიანი ან მარილიანი ნუშით.

მიღების დასაწყისში ოფიციანტები, განმკარგულებლის ნიშანზე სტუმრებს სთავაზობენ სასმელებს, შემდეგ ცივ საუზმეს და ბოლოს — ცხელს. საუზმე მოაქვთ უფრო ხშირად მრგვალი ფაიფურის ლანგრებით, ფუჟერები — ხელსახოცგადაფარებულ სინზე.

როგორც წესი, ყველა კულინარულ ნაწარმს ამზადებენ ისეთი ზომისას, რომ შეიძლებოდეს მისი ერთიანად ჩადება პირში. ჩვეულებრივ, ეს არის მცირე ზომის რომბებად, ოთხკუთხედად და სამკუთხედად დაჭრილი ბუტერბროდები. ცხელი საუზმედ მოაქვთ — მცირე ზომის კატლეტები, სოსისები და ა.შ. დესერტზე — ნამცხვრები, ვაშლი, ფორთოხალი და სხვა ხილი. მიღების ბოლოს სტუმრებს მართმევენ შავ ყავას.

ზოგიერთ ქვეყანაში თვლიან, რომ კოქტიელის ტიპის მიღების მომსახურებისას თევშებისა და სხვა სამაგიდო მოწყობილობის გამოყენება საჭირო არ არის და ჩანგლების მაგივრად მოაქვთ ხის ან პლასტმასის დანებს.

გამოყენებულ ჭურჭელს მაგიდიდან ან უშუალოდ სტუმრებისაგან კრეფენ სპეციალურად დანიშნული ოფიციანტები და მიაქვთ დამხმარე შენობაში.

ხომალდის პირობებში ფურშეტის ან კოქტიელის ტიპის მიღების მოწყობა აღნიშნული სქემით ყოველთვის არ ხერხდება. ამიტომ მასობრივი მიღების დროს გემზე დასაშვებია, როგორც ფურშეტის, ისე კოქტიელის ტიპის მომსახურების ელემენტების შერწყმა. ბოლო დროს ასეთი რამ ხშირია და დასაშვებია, ეს არ იწვევს არავითარ უხერხულობას. კოქტიელის ტიპის მიღებაზე შლიან მაგიდებს და აწყობენ ისე, როგორც ფურშეტის ტიპის მიღებისას.

ხომალდის პირობებში ასეთ მიღებაზე საუბრეს დებენ მაგიდაზე და თვალს ადევნებენ, რომ მაგიდებზე იყოს წესრიგი – დროულად გაიტანონ და გამოცვალონ გამოყენებული ჭურჭელი, მოწყობილობები და ავსებული საფერფლები.

4. მაგიდასთან ქცევის წესები

თითოეული მოწვეული ეცნობა განთავსების გეგმას, მოძებნის თავის ადგილს მაგიდასთან და ჯდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასხდებიან მიღების მასპინძელი და საპატიო სტუმარი.

მაგიდასთან დასხდომისას სკამს ორივე ხელით გასწევენ უხმაუროდ. თუ მოწვეულთა შორის ქალებიც არიან, სკამის გამოწვევაში მათ ეხმარებიან გვერდით მსხდომი მამაკაცები. მაგიდასთან სხედან გამართულად, ოღნავ წინ გადახრილნი. ფეხები უნდა იყოს სკამთან ახლოს, იდაყვების დადება მაგიდაზე მიუღებელია. თუ ჭამის დროს დაკავებულია მხოლოდ ერთი ხელი, მეორე ხელის მტკვანი დევს მაგიდაზე.

ჭამის დროს საუბარი შეიძლება მხოლოდ ახლო მჯდომ მეზობელთან. კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მეზობლისაკენ აბრუნებენ მხოლოდ თავს და არა მთელ კორპუსს, რომ არ აღმოჩნდნენ მეორე მეზობელთან ზურგით. საუბრის დროს არ ეხებიან რთულ თემებს, არ აკრიტიკებენ იმას, რაც მაგიდაზეა და მომსახურე პერსონალს, არ ამახვილებენ თანამოსაუბრის ყურადღებას იმაზე, ვინ რამდენს ჭამს და ა.შ.

საუბრის მოტანის წინ იღებენ მაგიდიდან ქსოვილის ხელსახოცს და იდებენ მუხლებზე. ამ ხელსახოცით ჭურჭლისა და მაგიდის მოწყობილობების გამშრალება არ შეიძლება. არ იწმენდენ ამით ტურჩებსაც. ამისათვის არსებობს ქაღალდის ხელსახოცები. ქაღალდის ხელსახოცს, გამოყე-

ნების შემდეგ დებენ თეფშზე. სასმელის დალევის წინ შეიძლება ტილოს ხელსახოცის მიღება ტურებზე – ფუფერზე არ დააჩნდება ცხიმინი ლაქა. აუცილებლობის შემთხვევაში ტურების გაწმენდაც შეიძლება, მხოლოდ ჭამის შემდეგ. ცხვირსახოცით ამის გაკეთება უხერხულია, მიუღებელია. მაგიდიდან ადგომამდე ტილოს ხელსახოცს დაუკეცავად დებენ თეფშის მარცხნივ.

ჭამენ და სვამენ მშვიდად, უხმაუროდ, ზედმეტი მიმიკის გარეშე. კარგად აღზრდილი, კულტურული ადამიანი ჭამს ზომიერად, აუჩქარებლად, მაგრამ ისე, რომ ძალიან არ ჩამორჩეს სხვებს. სიჩქარისას შეიძლება საჭმელი გადაგცდეს. თუ ეს მოხდა, პირს იფარებენ ხელსახოცით. გართულების შემთხვევაში გადიან გარეთ.

შემწვარსა და სხვა კერძებს, თუ ისინი მოაქვთ საერთო ლანგრით იღებენ დამოუკიდებლად, მაგრამ არა ყველაზე დიდ და მიმზიდველ ნაჭერს, არამედ იმას, რომელიც უფრო ახლოს არის და რომლის აღებაც უფრო მოსახერხებელია. ამისათვის სარგებლობენ ჩანგლითა და კოვზით, რომლებიც დევს ლანგარზე და ცდილობენ ისინი არ შეაზონ საკუთარ თეფშს, თანაც არ უნდა დაავიწყდეთ მათი უკან დაბრუნება კერძზე. კერძის გადაღებისას უნდა ახსოვდეთ, რომ თეფშზე საჭმლის დიდი რაოდენობა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, გამოიყურება არაეთიკურად.

ჭამის დროს კარტოფილსა და ბოსტნეულს ჩანგლით არ აქუცმაცებენ და არ ასველებენ წვენიში. ჩანგლით, მხოლოდ გამოყოფენ მცირე ნაჭრებს დიდისაგან. ძელის, კურკის ან რაიმე მკვრივი საგნის პირში მოხვედრისას მას დებენ ჩანგალზე და შემდეგ გადააქვთ საკუთარი თეფშის კიდეზე. თუ კერძში შენიშნავთ რაიმე ისეთს, რაც არ იჭმევა, მასზე მეზობლის ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის. ამ „რაღაცას“ დებენ შეუმჩნეველად თეფშის კიდეზე და განაგრძობენ ჩვეულებრივ ჭამას, ან წყვეტენ მას ისე, რომ ამან არ მიიქციოს დამსწრეთა ყურადღება. კარგი ტონის წესების მიხედვით ჭამის შემდეგ თეფში უნდა იყოს სუფთა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალით უნდა ჭამო იმაზე მეტი, ვიდრე გასურს.

ჭამის დროს კოვზი უჭირავთ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის, მისი ტარი ოღნავ უნდა ეყრდნობოდეს შუა თითს. პირთან კოვზი მიაქვთ

არა გვერდულად, არამედ ცერად. ბევრ წევრს კოვზით არ იღებენ, რომ არ გადმოიქცეს.

ჩანგალი უჭირავთ მარცხენა ხელში, დანა — მარჯვენაში. დანით ჭრიან ხორცს, მაგრამ ზედმეტი ძალდატანების გარეშე და მისი დახმარებით ჩანგალზე ღებენ გარნირს. უკანასკნელ ხანებში დანას ხმარობენ უფრო ხშირად — დანით ჭრიან ბლინებს, შნიცელს, ოლადებს, კატლეტებს და ა.შ. ჭამის დროს დანა და ჩანგალი სულ ხელში უჭირავთ, მაშინაც, როცა მხოლოდ ჩანგალს ხმარობენ. თუ მოცემულ მომენტში დანა და ჩანგალი თავისუფალია, მათ იჭერენ არა მაღლა, არამედ უჭირავთ ძირს დაშვებული ისე, რომ მათი ბოლოები თეფშის შუაგულიდან 2-3 სმ-ზე მაღლა არ იყოს. ჭამის დროს პაუზისას დანასა და ჩანგალს (ჩაზნექილი მხრით თეფშისაკენ) ღებენ თეფშზე ჯვარედინად, დაძთავრების შემდეგ კი პარალელურად. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ჭამა დაამთავრეთ. ოფიციალტი, შეამჩნევს რა დანა-ჩანგლის ასეთ მდგომარეობას, წაიღებს გამოყენებულ ჭურჭელს ან თუ აუცილებელია, გაამზადებს ადგილს მომდევნო კერძისათვის.

ზოგიერთ სიტუაციაში მაგიდასთან მჯდომს შეიძლება გაუჩნდეს ოფიციალტის გამოძახების აუცილებლობა. ამის მკაცრი წესები არ არსებობს. ჩვეულებრივ, ოფიციალტის გამოხედვის დაჭერისთანავე მაგიდის წვერი ოდნავ წევს ხელს ან თითს და გამოიძახებს ოფიციალტს ისე, რომ ირგვლივ მყოფთათვის ეს ძალზე შესამჩნევი არ იყოს. თუ ოფიციალტი თქვენს მხარეს არ იყურება, შეიძლება ხმადაბლა დაუძახოთ: „თუ შეიძლება!“.

მოტანილ წესებს შეიძლება დაემატოს სხვაც. მაგალითად, ჭამის დაძთავრებისას თეფშს არ გასწევენ. ის უნდა დარჩეს თავის ადგილზე მანამ, სანამ არ წაიღებენ.

თუ სუფრაზე დაგივარდათ საჭმლის ნამცეცი, დანის წვერით აკურატულად უნდა აიღოთ და დადოთ თეფშის კიდეზე. არ არის რეკომენდებული მაგიდაზე გადახრა კერძის ან რაიმე სანელებლის ასაღებად. თუ ის თქვენგან შორს არის, შეგიძლიათ თავაზიანად სთხოვოთ მისი მოწოდება მეზობელს. ისეც ხდება, რომ ზოგიერთს დაეჭვება სასმელი სუფრაზე, შეიძლება თვითონაც გადაესხას, ან მეზობელსაც კი. ასეთ შემთხვე-

ვაში ლამაზი არ არის ყურადღების გამახვილება მომხდარზე. თუ დაზარალდა მეზობელი, აუცილებელია ბოდიშის მოხდა, მაგრამ არ არის საჭირო ზედმეტი ახსნა-განმარტებები.

ოფიციალტი ვალდებულია ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ გაწმინდოს დაღვრილი და დაფაროს ლაქა სუფთა ხელსახოცით. თუ საჭმელი ან სითხე მოხდა სტუმრის კოსტუმზე, ოფიციალტი სწრაფად აწვდის მას ცხელ წყალში დასველებულ ტილოს და ეხმარება ტანსაცმლის წესრიგში მოყვანაში. თუ ვინმეს დაუვარდა ხელსახოცი, ჩანგალი ან დანა, ოფიციალტი საჩქაროდ მოიტანს სუფთას, ხოლო შემდეგ იღებს დავარდნილ საგანს.

ჭამის დროს იცავენ შემდეგ წესებს: თუ წვნიანი კერძი ძალიან ცხელია, აგრილებენ კოვზის ოდნავი მორევით ან უცდიან როდის შეგრილდება — სულის შებერვა მიღებული არ არის. ჭამის დროს თეფშს არ გადმოხრიან, არა უშავს, თუ მასში ცოტა წვენი დარჩა. მაგრამ თუ მაინც გადაწყვიტეთ, ჯობს თქვენგან სუფრის შუაგულისაკენ გადახაროთ. შესვენების დროს კოვზს თეფშიდან არ იღებენ, ჭამის დამთავრების შემდეგ კი მას ტოვებენ თეფშში.

ჭიქით მორთმეულ წვნიანს საერთოდ სვამენ, როგორც ჩაისა და ყავას, კოვზის გარეშე. კოვზს იყენებენ მხოლოდ მაშინ, როცა წვნიანიდან სურთ ხორცის ნაჭრის, კვერცხის ან რაიმე ამგვარის ამოღება. მაგრამ თუ წვნიანი მოტანილია ორსახელურიანი ფინჯნით, მას მიირთმევენ სადესერტო კოვზით. ხორცის ან ქათმის ნაჭერს ბულიონიდან ჭამენ ჩანგლის ან დანის დახმარებით მას შემდეგ, რაც დაამთავრებენ ბულიონს. თუ ბულიონთან ერთად მოტანილია ღვეზელები, იგი უჭირავთ თითებით, თუ ღვეზელი ძალიან ცხიმიანია, მათი ჭამა შეიძლება დანისა და ჩანგლის დახმარებით.

ზოგჯერ, სადილობისას წვნიანს დგამენ მაგიდაზე დიდი საწვენეთი, რომლიდანაც თითოეული თავისთვის ისხამს დამოუკიდებლად. სწორად მომზადებული წვნიანი ხორცი ან სხვა პროდუქტები არ უნდა იყოს დაჭრილი ისეთ ნაჭრებად, რომ მისი პირში ერთ ლუკმად ჩადება არ შეიძლებოდეს. თუ სუპის ხორცი მოტანილია ცალკე, მაშინ ჯერ იღებენ მას, ჭრიან წვრილ ნაჭრებად და შემდეგ ასხამენ ბულიონს.

ცხელ კერძს, როგორც წესი, ჭამენ დანისა და ჩანგლის დახმარებით. მთლიანი ნაჭრიდან აჭრიან პატარ-პატარას და ჭამენ თანმიმდევრობით. წინასწარ არ ჭრიან იმიტომ, რომ შემდეგ ჭამონ ჩანგლით, რომელიც მარჯვენა ხელში უჭირავთ — ეს მიღებული არ არის. ხორცს ჭამენ გარნირთან ერთად. გარნირსა და საწებელს ადებენ ჩანგალზე წამოცმულ ხორცის ნაჭერს. თუ მოტანილია ძვლიანი ხორცი (მაგალითად, ცხვრის ან ღორის), ხორცს ძვლისაგან აცალკეებენ დანით და ამ შემთხვევაში მთელი ნაჭერი უჭირავთ ჩანგლით. გამოცალკეებულ ძვალს ადებენ თევზის კიდეზე.

ასეთივე წესით მიირთმევენ ფრინველის ხორცსაც. თუ კერძი მომზადებულია ძალიან პატარა ფრინველისაგან (წიწილა, მწყერი და ა.შ.), მაშინ დასაშვებია ძვლის ხელით აღება.

რბილ და დაჭრილ ხორციან კერძებს (კატლეტები, ბიფსტროგანოვი და სხვ.) ჭამენ მხოლოდ ჩანგლით — დანის გარეშე, თუმცა ხშირად იყენებენ დანასაც. ამიტომ, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავეარდეთ, კარგია, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, როგორ ჭამენ ირგვლივ მყოფნი და მასპინძელი.

თევზეულისათვის არის სპეციალური დანა და ჩანგალი. თუ ასეთი არ არის, ხმარობენ ორ ჩვეულებრივ ჩანგალს: ერთს იჭერენ მარცხენა ხელში — საჭმელად, მეორეს — მარჯვენაში, თევზის დასანაწილებლად. თუ თევზის საჭმელად მოტანილია მხოლოდ ერთი ჩანგალი, იგი უჭირავთ მარჯვენა ხელში, ხოლო ძვლისაგან ხორცის გამოსაცალკეებლად იშველიებენ პურის ნაჭერს, რომელიც მარცხენა ხელში უჭირავთ. თუ მოტანილია შებოლილი თევზი, მას ჯერ აცლიან კანს, შემდეგ კი ხორცს განაცალკეებენ ძვლებისაგან. მას შემდეგ, რაც თევზის ნაწილი შეიჭმევა, მას აბრუნებენ და ჭამენ იმგვარადვე. ფხები პირიდან უნდა გამოვიდნოთ ჩანგალზე შეუმჩნეველად და დავალაგოთ თევზის კიდეზე.

კარტოფილს და ბოსტნეულს, ისევე როგორც სხვა რბილ საკვებს, როგორც წესი, არ ჭრიან — მას ანაწილებენ პატარ-პატარა ნაჭრებად ჩანგლით, რომელიც მარცხენა ხელში უჭირავთ; დანით მხოლოდ კარტოფილს აჩერებენ და ადებენ მას ჩანგალზე ან აჭრიან მას დაბრაწულ ქერქს.

კარტოფილს და ბოსტნეულს — საწებელს არ ასხამენ, ის განკუთვნილია ხორცისათვის. საწებლის დასხმით ისინი მადის დამკარგველად გამოიყურებიან. საწებელს ჭამენ სხვა საჭმელთან ერთად ისე, რომ თუფში არ ტოვებენ. უნდა ახსოვდეს ყველას, რომ საწებლის ნარჩენების პურის ლუკმებით მოწმენდა არ არის ლამაზი.

ცალკე თუფშით მოტანილი სალათი, დიდ თუფში არ გადააქვთ. სალათის წვეწვს არ სვამენ კოვზით ან სხვა ხერხით. მას ტოვებენ თუფში. მწვანე სალათს სუფრასთან არ ჭრიან, იგი მოაქვთ უკვე დაჭრილი.

პურს ყოველთვის იღებენ ხელით და არა ჩანგლით, მას დებენ საღვეზე თუფში. თუ პური დევს საერთო ლანგარზე, მაშინ მისი ალები-სას ცდილობენ არ შეეხონ სხვა ნაჭრებს. მთლიანი ნაჭერი არ მიაქვთ პირთან, მას მარცხენა ხელით ტეხენ პატარ-პატარა ლუკმებს.

ბუტერბროდებს, თუ ისინი მოზრდილია, ფენოვანია ან შემთბარი — ჭამენ დანა-ჩანგლით, პატარა ზრომისას კი იღებენ სპეციალური პლასტმასის დაშნებით. ზოგჯერ ბუტერბროდს ამზადებენ თვითონვე, დამოუკიდებლად. ამისათვის კარაქს დებენ საღვეზე თუფის მარჯვენა მხარეს და შემდეგ უსვამენ პურის ნაჭერს, რომელიც ასევე დევს თუფში და უჭირავთ მარცხენა ხელის ორი თითით. პურს ხელისგულზე არ იღებენ, ეს არაპიგიურია.

კარაქს დიდი ნაჭრიდან იღებენ სპეციალური დანით, მაგრამ თუ კარაქი მოტანილია პორციის სახით, იღებენ იმ დანით, რომლითაც სადილზე სარგებლობენ.

ძეხვი, ლორი, ხორცი და სხვა მსგავსი პროდუქტები — მაგიდაზე მოაქვთ წინასწარ კანგაცლილი და თხელ ნაჭრებად დაჭრილი. მას იღებენ საკუთარ თუფში და შემდეგ გადააქვთ პურზე ან ჭამენ პატარა ნაჭრებად. თუ ლორი კანგაცლილი არ არის, მას აცლიან ჩანგლისა და დანის დახმარებით. ცხელ ძეხვს კანს აცლიან ნელ-ნელა, ჭამის პროცესში.

პაშტეტს, როგორც წესი, პურზე არ უსვამენ, მას ჭამენ ჩანგლით. ყველს იღებენ სპეციალური მოხრილი ჩანგლით, რომელიც დევს საერთო სინზე, გადააქვთ საკუთარ თუფში და ჭამენ ჩანგლით ნაწილ-ნაწილ. მღნარ ყველს დანით უსვამენ პურზე.

შავ და წითელ ხიზილალას იღებენ საკუთარ თეფშზე სპეციალური ნიჩბით და შემდეგ უსვამენ პურს. ხიზილალის გემო უმჯობესდება, თუ მას ლიმნის წვენით ასველებენ. თუ ხიზილალას დებენ შემწვარ პურზე, მაშინ ბუტერბროდი გადააქვთ თეფშზე და ჭამენ დანა-ჩანგლით.

თოხლო კვერცხი მოაქვთ სპეციალური სირჩით. ნაჭუჭს ტეხენ ჩაის კოვზით და ნატეხები გადააქვთ თეფშზე, რომელზედაც სირჩა დგას. შემდეგ, ფრთხილად იღებენ კვერცხის თავს ისე, რომ არ გადმოიქცეს ცილა. მაგრად მოხარშულ კვერცხს ფუცქენიან მთლიანად, ჭრიან შუაზე და ჭამენ ჩანგლით ან დანით.

ლორიან ერბოკვერცხს ჭამენ ჩანგლით, რომელიც მარჯვენა ხელში უჭირავთ, მაგრამ თუ ლორის ნაჭრები დიდია, მაშინ — დანის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარებიან პურის ნაჭრით, მაგრამ ტაფის ან თეფშის მოწმენდა პურით მიუღებელია. ჩახლილ ერბოკვერცხს ჭამენ კოვზით.

მოხარშულ ბრინჯს ჭამენ ჩანგლით, ბრინჯის ფაფას — კოვზით.

მაკარონს ჭამენ ჩანგლისა და დანის დახმარებით. მას, როგორც წესი, აქუცმაცებენ მაგიდასთან მიტანამდე, უფრო სწორად — მომზადებამდე. თუ მაკარონი მაინც გრძელი აღმოჩნდა, მას აქუცმაცებენ ჩანგლით, იღებენ დანის დახმარებით.

პელმენს ჭამენ მხოლოდ ჩანგლით. წვენი რომ არ დაიქცეს, მას იღებენ პირში მთლიანად. მარილს, თუ არ არის სპეციალური კოვზი, იღებენ სუფთა დანის წვერით. მდოგვს იღებენ სპეციალური კოვზით და დებენ თეფშის კიდეზე მარჯვნივ.

ტორტი და დიდი ღვეზელი მოაქვთ დაჭრილი; საერთო ლანგრიდან ის თეფშზე გადააქვთ სპეციალური ნიჩბით, ან დიდი ჩანგლით, რომლებიც დევს დიდ თეფშზე. ტორტს ჭამენ ჩაის ან დესერტის კოვზით, ღვეზელს — დანითა და ჩანგლით; ტკბილღვეზელას, ნამცხვარს — სპეციალური ჩანგლით ან ჩაის კოვზით. ფხვიერი ნამცხვარი ხელში უჭირავთ და ისე ჭამენ. თუ ნამცხვარი მოაქვთ ქაღალდის როზეტებით, მას იღებენ საკუთარ თეფშზე და ჭამენ როზეტიდანვე. ფუნთუშები უჭირავთ ხელში და ისე კბეჩენ. ძალიან ცხმიან ნამცხვარს ჭამენ ტკბილღვეზელასათვის განკუთვნილი ჩანგლით.

ნატენ შაქარს იღებენ სპეციალური მაშებით ან თითებით ისე, რომ არ შეეხონ სხვა ნატეხებს.

ხილს მაგიდაზე დებენ ლარნაკებით ან სპეციალური ჭურჭლით, მასთან ერთად მოაქვთ შესაბამისი მოწყობილობები და ქალაღდის ხელსახოცები. თუ ასეთი მოწყობილობები არ არის, ხმარობენ სადესერტო დანასა და ჩანგალს.

ლიმონი მოაქვთ, როგორც სანელებელი, საჭმელებისა და სასმელებისათვის. ლიმონის ნაჭერს საერთო ჭურჭლიდან იღებენ სპეციალური ორთითა ჩანგლით და დებენ საკუთარი თეფშის კიდეზე. თუ ლიმონი მოტანილია თევზის ან შნიცელისათვის, წვენს გამოწურავენ ჩანგლის ჩაზნექილი ნაწილით. თუ ლიმონი მოტანილია ჩაისთან, მის ნაჭერს იღებენ საერთო თეფშიდან ორი თითით (ცერითა და საჩვენებელი თითებით) და ჭიქის თავზე ორად გაკეცილს ჩაწურავენ. ნარჩენს დებენ ლანგარზე, როცა ლიმონს ჭამენ შაქართან ერთად, იღებენ იმავე წესით და საკუთარ თეფშზე აყრიან შაქარს. ქერქს დებენ თეფშის მარცხენა კიდეზე.

ვამლსა და მსხალს ჭრიან თეფშზე ოთხ ან რვა ნაწილად. თითოეულს ფცქენიან, აჭრიან გულს და დარჩენილ ნაჭერს ჭამენ.

დიდ ქლიავს ყოფენ შუაზე თითებით და კურკას აცლიან. პატარა ქლიავს ისე უჭერენ თითებს, რომ გასკდეს და კურკას დანით აცლიან.

დიდ ატამს იღებენ მარცხენა ხელით და თლიან, შემდეგ, თუ სახლეჩია, შუაზე ყოფენ და დანით აცლიან კურკას, თუ არა, ჭრიან ნაჭრებად. გარგარს ჭამენ ისევე, როგორც სახლეჩ ატამს.

ფორთოხალს იღებენ მარცხენა ხელით, კანს ჭრიან ჯვარედინად ექვს-რვა ადგილას და ნაყოფისაგან აცალკევებენ ისე, რომ იგი იღებს ვარსკვლავის ფორმას. შემდეგ, ნაყოფს ყოფენ ლეზნებად. მანდარინს კანს აცლიან თითებით, დანის გამოუყენებლად და დებენ საკუთარ თეფშზე.

ბანანს იღებენ ყუნწით, მარცხენა ხელით და ყუნწის საპირისპირო მხრიდან კანს ისე დასერავენ დანით, რომ ადვილი იყოს მისი გაფცქვნა. მთლიანად კანგაცლილი ბანანი შეიძლება ადვილად გადატყდეს. ამიტომ მას მთლიანად არ ფცქენიან, არამედ ნაწილ-ნაწილ, კანს დებენ საკუთარ თეფშზე.

ყურძნის მარცვლებს მტევენებიდან წყვეტენ თითებით და სათითაოდ იღებენ პირში. მაგარ კანსა და კურკებს პირიდან იღებენ ჩაის კოვზით და ღებენ თეფშზე.

ალუბალსა და სხვა კურკოვან ხილს ჭამენ ისე, როგორც ყურძენს.

საზამთრო და ნესვი მოაქვთ დაჭრილი და კანიანი. საერთო ჭურჭლიდან მას იღებენ ორი თითით და ღებენ თეფშზე კანით ძირს; ჭამენ სახილვე დანისა და ჩანგლის გამოყენებით, ღიდ ნაჭერს დანით აჭრიან პატარ-პატარა ლუკმებს. ნესვი მოაქვთ კურკებგაცლილი. თუ მოაქვთ შაქრის ფქვილი, მას აყრიან თითოეულ ნაჭერს კოვზით.

კენკრა, ჩვეულებრივ, მოაქვთ თეფშებზე პორციებად. მას ჩაის ჭამენ კოვზით, შაქართან ერთად. ზოგჯერ, კენკრა მოაქვთ ათქეფილ ნაღებთან ან არაყანთან ერთად. მოცვით, ჩვეულებრივ არ უმასპინძლდებიან სტუმრებს, რადგანაც ის ფერს უცვლის პირსა და ტუჩებს. თუ მანაც მოიტანენ – მოაქვთ მხოლოდ დანაწევრებული.

საზღვარგარეთ ყოფნისას უნდა გვახსოვდეს, რომ კერძებს არა მხოლოდ განსხვავებულად ამზადებენ, არამედ განსხვავებულადაც აწყობენ. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მაგიდაზე ჩვენთვის უცნობი კერძი მოიტანონ და არ ვიცოდეთ მისი ჭამის წესი. მაშინ უნდა მიმოვიხედოთ ირგვლივ, დავუკვირდეთ, განსაკუთრებით, მასპინძლებს და მოვიქცეთ ისე, როგორც ისინი იქცევიან.

თავი IV

უცხოეთის პორტებში ქცევის წესები. მასობრივი ღონისძიებები

1. უცხოეთის პორტებში სამხედრო მოსამსახურეთა ქცევის წესები

სამხედრო ხომალდთა ეკიპაჟის ყველა წევრი, რაზმის მეთაურისა და ხომალდის მეთაურის გარდა, ასევე სხვა სამხედრო მოსამსახურეები, შეიძლება იმყოფებოდნენ ნაპირზე სამსახურებრივი, ან არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

რაზმების ან ხომალდთა მეთაურები უცხოეთის პორტებში ასრულებენ წარმომადგენლობით ფუნქციებს. ეს პირები აღჭურვილნი არიან განსაკუთრებული უფლებებითა და უფლებამოსილებით, ისინი პასუხს აგებენ ხომალდთა მდგომარეობასა და პირადი შემადგენლობის ქცევაზე. ფაქტობრივად, ისინი მუდმივად სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ, ამიტომ ყველა შემთხვევაში სარგებლობენ იმუნიტეტით და მათზე არ ვრცელდება უცხოეთის სახელმწიფოს იურისდიქცია. ხელმძღვანელობს რა, მოცემული ქვეყნის პორტში ყოფნის წესებით, წესდებით, დებულებითა და სხვა დოკუმენტებით, ვიზიტის პროგრამით, ხომალდის (რაზმის) მეთაურს მუდმივი კონტაქტი აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მასთან მოლაპარაკებით ხომალდის (რაზმის) მეთაური ადგენს შეტყობინების, პირადი შემადგენლობის გაშვების, კატარღებითა და კანჯოებით სარგებლობით წესებს; აცნობს პირად შემადგენლობას ნაპირზე მოქცევის თავისებურებებს, აწვდის ინფორმაციას პორტის სანიტარულ მდგომარეობაზე, ქალაქისა და პორტის ცალკეული რაიონების დათვალიერების შეზღუდვაზე და ა.შ.

ზემდეგები და მეზღვაურები ნაპირზე გადადიან დადგენილი ფორმით და იარაღის გარეშე. გამონაკლისი კეთდება, მხოლოდ შეიარაღებული რაზმებისათვის, რომელთა შეყვანა შეთანხმებულია ადგილობრივ ხელი-

სუფლებასთან. ასეთი რაზმები ნაპირზე ყოველთვის მწყობრშია, ოფიცირის მეთაურობით.

ნაპირზე, ოფიცრებიც დადგენილი ფორმითა და იარაღის გარეშე გადადიან, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, დაშვებულია ცივი იარაღის ტარება, თუ ამას შესაბამისი ფორმის ტანსაცმელი ითვალისწინებს. ცალკეულ შემთხვევებში, მეთაურის ნებართვით ოფიცრებს შეუძლიათ ნაპირზე გადასვლა სამოქალაქო ტანსაცმლით.

ნაპირზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეები უცხოელ და თანამემამულე სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრისას იცავენ მისალმების არსებულ წესებს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ პატივისცემის ასეთი გამოხატვა ლაპარაკობს მათ კულტურაზე და კარგი მანერების დემონსტრირებაა. იმის გამო, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში სამხედრო მოსამსახურეებს განსხვავებული ფორმა და წოდების აღმნიშვნელი განსხვავებული ნიშნები აქვთ, კარგი იქნება, თუ ნაპირზე გადმოსვლამდე, ამის შესასწავლად ჩატარდება სპეციალური მეცადინეობები.

უცხოეთის პორტში ან უცხოეთის ზომალდზე სტუმრად ყოფნისას საქართველოს მეზღვაურები იცავენ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქის ზნეობრივ ნორმებს და არ არღვევენ მასპინძელი ქვეყნის კანონებს; ისინი პატივს სცემენ ადგილობრივ ეროვნულ, ისტორიულ, კულტურულ, საყოფაცხოვრებო და რელიგიურ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს, და მის ფლოტში არსებულ წესებსა და ეთიკეტს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ წესრიგის დარღვევის ნებისმიერი გამოვლინება შელახავს საქართველოს ავტორიტეტს და შეიძლება არასასურველი შედეგები გამოიწვიოს.

ნაპირზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ყოველთვის იცავენ სამხედრო ღირსებას, იჩენენ სიფხიზლეს, მკაცრად ინახავენ სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებას; თავმდაბლობის, მოთმინების, დისციპლინირებულობის, სამშობლოსადმი ერთგულების გამოჩენით, ისინი ღირსეულად წარმოაჩენენ თავის ქვეყანას საზღვარგარეთ. უცხოეთის მოქალაქეებთან ურთიერთობისას მათ ეძლევათ საშუალება მიაწოდონ ინფორმაცია რესპუბლიკის პრობლემებზე, მის მიღწევებზე, მოსახლეობის ცხოვრებაზე, საშინაო პოლიტიკაზე. სამხედრო მეზღვაურები ადგილობრივ მცხოვ-

რებლებთან ურთიერთობისას, მათი სოციალური მდგომარეობის, რასისა და ეროვნების, სქესისა და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, იქცევიან კორექტულად და ღირსეულად, ისე, რომ არ შეურაცხყონ მათი ეროვნული და რელიგიური გრძნობები. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან მოზუცებს, ქალებსა და ბავშვებს.

ხომალდის ეკიპაჟის ყველა წევრს უნდა ახსოვდეს, რომ მეთაურის ნებართვის გარეშე არ შეიძლება უცხოეთის გემებსა და ხომალდებზე, კერძო ბინებში, კლუბებში, დაწესებულებებში ყოფნა, სხვადასხვა სახის გაცვლითი გარიგებების წარმოება, აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, საფოსტო კორესპონდენციების, გზავნილების, პაკეტებისა და სხვა საგნების გადაცემა უცხოელი მოქალაქეებისა ან ორგანიზაციებისათვის.

სართაშორისო უფლებების ნორმების შესაბამისი კანონმდებლობით, ოფიცრები და მეზღვაურები, რომლებიც იმყოფებიან ნაპირზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სარგებლობენ იმუნიტეტით ადგილობრივი ადმინისტრაციული და სამართლებრივი იურისდიქციისაგან. მასპინძელი ქვეყნის კანონების დარღვევის შემთხვევაში, ისინი პასუხისგებაში მიეცემიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებადაც ისინი ითვლებიან. მეზღვაურებზე, ზემდეგებსა და ოფიცრებზე, რომლებიც არ ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას, ეს იმუნიტეტი არ ვრცელდება. თუ ასეთი პირები ჩაიღენენ ნაპირზე ყოფნისას უხეშ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას, ისინი შეიძლება მიეცენ პასუხისგებაში მასპინძელი ქვეყნის კანონებით. ამასთან ადგილობრივმა სასამართლო ხელისუფლებამ უნდა წარუდგინოს ხომალდის მეთაურობასა და მათი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენელს — ბრალდების აქტის ასლი.

სამხედრო ხომალდების ოფიცრები, სავიზიტო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულისათვის ჩვეულებრივ აგებენ პასუხს, თავისი ქვეყნის კანონების მიხედვით. მათი ადგილობრივი კანონებით პასუხისგება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ან თუ ისინი ნაპირზე ყოფნისას არ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. მასპინძელი ქვეყანა, ოფიცრის პასუხისგებაში მიცემის საკითხს წყვეტს ხომალდის (რაზმის) მეთაურისა და დიპლომატიური არხების ჩარევით. მოლაპარაკების შემთხვევაში საქმე შეიძლება გადაეცეს ჩამოსუ-

ლი ზომალდის ქვეყანას, მაგრამ მასპინძელი ქვეყანა იტოვებს გამოტანილი განაჩენის ასლის, მოთხოვნის უფლებას.

ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც ჩაიღინა ისეთი სახის დარღვევა უცხოეთის პორტში, რომელსაც არ მოჰყვა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, გადაეცემა ზომალდის მეთაურებს, დისციპლინარული წესებით შემოქმედებისათვის.

ყოველი ოფიცერი, ზემდეგი ან მეზღვაური ვალდებულია, ყველა მისთვის ცნობილი, ნაპირზე მომხდარი ინციდენტის შესახებ, მოახსენოს რაზმის (ზომალდის) მეთაურს. თუ პირადი შემადგენლობის ნაპირზე ყოფნისას მოხდა რაღაც გაუგებრობა, რასაც მოჰყვა ეკიპაჟის წევრის დაკავება და პოლიციაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში მისი მიყვანა, დაკავებულმა არ უნდა მოაწეროს ხელი არანაირ ოქმსა თუ ქაღალდს. მან უნდა მოითხოვოს თავისი ზომალდისა და საელჩოს (საკონსულოს) წარმომადგენლის სასწრაფოდ მოყვანა.

უცხოეთის პორტში ეკიპაჟის რომელიმე წევრის დაკავების ცნობის მიღებისთანავე, რაზმის (ზომალდის) მეთაური სამხედრო-საზღვაო ატაშეს ან კონსულის (თუ ისინი არ არიან, ადგილობრივი ხელისუფლების) ჩარევით იღებს ზომებს დაკავებულის ზომალდზე დასაბრუნებლად, მაგრამ ისე, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს არ მიიჩნიოს, როგორც არამეგობრული აქტი.

ოფიცრის დაკავებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას აწარმოებს ზომალდის მეთაური, თუ ამას თავის თავზე არ აიღებს დიპლომატიური ან საკონსულოს წარმომადგენელი. მეზღვაურის ან ზემდეგის დაკავებასთან დაკავშირებული მოლაპარაკება შეიძლება დაევალოს ოფიცრებსაც. თუ მიღებულ ღონისძიებათა შემდეგაც დაკავებულს არ დააბრუნებენ ზომალდზე, მაშინ შემდგომი მოლაპარაკებები მიმდინარეობს დიპლომატიური არხებით.

სამხედრო ზომალდის ყველა მეზღვაურს, ზემდეგსა და ოფიცერს უნდა ახსოვდეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ან უცხოეთის სამხედრო ზომალდების ეკიპაჟთან ნაპირზე ინციდენტის მოხდენისთანავე, სასწრაფოდ უნდა დაბრუნდნენ თავის ზომალდზე და მომხდარის შესახებ მოახსენონ თავის ხელმძღვანელობას.

2. ნაპირზე გაშვება, ექსკურსიები, კონცერტები, სპორტული ღონისძიებები

უცხოეთის პორტში სამხედრო ხომალდის ვიზიტის პროგრამაში ყოველთვის არის გათვალისწინებული ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, თეატრებსა და კინოთეატრებში შესვლა და ა.შ. ამასთან ერთად, პირად შემადგენლობას ეძლევა ნაპირზე გასვლის უფლება ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების გასაცნობად, ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

იმისათვის, რომ ღონისძიებანი წარმატებით ჩატარდეს და სასარგებლო იყოს, მისი ყველა მონაწილე (ოფიცერი, ზემდეგი, მეზღვაური) წინასწარ უნდა გაეცნოს (თუნდაც ზოგადად) სავიზიტო ქვეყნის ისტორიას, მის პოლიტიკურ წყობას, ტრადიციებს, კანონებსა და წეს-ჩვეულებებს; შეისწავლოს პორტისა და ქალაქის ტურისტული გეგმა და ზუსტად იცოდეს საზღვარგარეთელი მოქალაქეებისთვის დახურული რაიონები, ასევე ფოტო და ვიდეოგადაღებებისათვის აკრძალული ადგილები. ამის გარდა, თითოეული სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია თან ჰქონდეს ხომალდის, საელჩოს ან საკონსულოს ტელეფონი. ცხადია, მან ზუსტად უნდა იცოდეს ნაპირიდან დაბრუნების განრიგი და ვადა, ასევე ხომალდზე სასწრაფოდ დაბრუნების დადგენილი ნიშანი.

ნაპირზე გაშვების წესებსა და განრიგზე მითითებებს იძლევა ხომალდის მეთაური. მისი განკარგულება სავალდებულოა აღნიშნული ხომალდის ყველა სამხედრო მოსამსახურისათვის, სამსახურებრივად მისი დაქვემდებარების მიუხედავად.

პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, საკონცერტო ბრიგადების, ორკესტრების გამოსვლები ეწყობა ხომალდის ხელმძღვანელობის მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რომლებიც ამისათვის გამოყოფენ სატრანსპორტო საშუალებებს და ექსკურსიამძღოლებს. ხომალდის ხელმძღვანელობა, აგრეთვე განსაზღვრავს თითოეული ღონისძიების მონაწილეთა შემადგენლობასა და რაოდენობას, ასევე ნიშნავს ოფიცერთაგან პასუხისმგებელს მის შესრულებაზე.

ნებისმიერ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირები წინასწარ გულდასმით უნდა მოემზადონ და მოამზადონ ყველაფერი, დაკისრებული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

მაგალითად, ექსკურსიის ჩატარებისას აუცილებელია ორგანიზებულობა და ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ არაეინ ჩამორჩეს და უცხო ქალაქში არ შეექმნას სირთულეები ზომალდზე დაბრუნებისას. ექსკურსიაზე პასუხისმგებელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი დამთავრებისას მადლობა გადაუხადოს გიდს, ღონისძიების ხელშემწყობ ადგილობრივ ხელისუფლებას და შეძლებისდაგვარად მიართვას მათ სამახსოვრო სუვენირები. ამიტომ, ღონისძიებების მონაწილეთა შემადგენლობაში ისეთ პირს ჩართავენ, რომელსაც შეუძლია ადგილობრივი ხელისუფლების მისალმებაზე სამადლობელი სიტყვით გამოხვლა.

სამხედრო ზომალდების ყოფნისას უცხოეთის პორტებში, ხშირად გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მაგალითად: ამხანაგური შეხვედრები უცხოეთის გუნდებთან ფეხბურთში, ფრენბურთში და სხვა სპორტულ სახეობებში. მათ ჩასატარებლად, ჩვეულებრივ, ადგენენ მსაჯთა შერეულ კომისიებს, რომლებსაც ევალებათ ასეთი შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა.

სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საკონცერტო ბრიგადების, მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივებისა და ორკესტრის გამოხვლები. ასეთ ღონისძიებებზე, როგორც წესი, მაყურებელთა დიდი რაოდენობა იყრის თავს. ამიტომ, საკონცერტო რეპერტუარში გარდა საკუთარი ქვეყნის ხალხური ცეკვებისა და სიმღერებისა, შეტანილი უნდა იყოს მასპინძელი ქვეყნის პოპულარული ნომრები, განსაკუთრებით მათი ხალხური სიმღერები.

3. მასპინძელი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა და მოქალაქეთა მოხვლა ზომალდზე

უცხოეთის პორტებში სამხედრო ზომალდთა გაჩერების დროს აწყობენ მეზღვაურთა შეხვედრებს უცხოელ სამხედრო მოსამსახურეებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან, ახალგაზრდობასთან და მასპინძელი

ქვეყნის სხვა მოქალაქეებთან, რითაც ყველა მსურველს აძლევენ საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიღწევების გაცნობის ფართო შესაძლებლობას. ამისათვის იყენებენ ფოტოდოკუმენტების ჩვენებას, ლიტერატურულ გამოფენებს, კინოფილმების დემონსტრირებას, პირად ურთიერთობებს და ა.შ.

ასეთი გაცნობის ერთ-ერთ საუკეთესო ხერხად ითვლება სამხედრო ხომალდის დათვალიერება ადგილობრივ მოქალაქეთა მიერ. ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია ხოლმე ერთი-ორი ასეთი ღონისძიება. თუ პროგრამაში ეს არ არის ჩართული, მას ატარებენ მხოლოდ ზემდგომი ხელმძღვანელობის ნებართვით და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ან ქვეყნის საელჩოსთან შეთანხმებით.

სამხედრო ხომალდების დათვალიერებას აწყობენ, როგორც წესი, სადღესასწაულო და არასამუშაო დღეებში, ზუსტად განსაზღვრულ დროს. ამისათვის ხომალდის მეთაური წინასწარ ადგენს დათვალიერების მარშრუტს და ნიშნავს ღონისძიებების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირს.

დათვალიერების მარშრუტზე წინასწარ აკეთებენ სტენდებსა და ფოტო ვიტრინებს, რომლებიც მნახველს მოუთხრობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაზე, მათ წარმატებებზე მეცნიერებაში, ტექნიკაში, ეკონომიკაში სპორტსა და კულტურაში. მაგიდეზე ათავსებენ ლიტერატურას, ბუკლეტებს, ბროშურებს საქართველოზე. სასურველია, რომ ჩამოთვლილი მასალების ტექსტი დაბეჭდილი იყოს მასპინძელი ქვეყნის ან იქ ყველაზე გავრცელებულ ენაზე. ასეთი ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხო ქვეყნის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ქართული კულტურის მიმართ. ზოგიერთმა შეიძლება გამოთქვას ქართულ ენაზე არსებული რაიმე ლიტერატურის მიღების სურვილი. ამიტომ უცხოეთის პორტში ვიზიტის წინ სასურველი და სასარგებლოა სავიზიტო ქვეყნის მოსახლეობისათვის საინტერესო გამოცემათა განსაზღვრული რაოდენობის წინასწარ შეკვეთა და მიღება, რათა სრულად დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნები.

მოსულ სტუმართა ორიენტირებისათვის, ხომალდის დათვალიერების მარშრუტებზე აყენებენ წინასწარ ინსტრუქტირებულ მეზღვაურებს, ხოლო საჩვენებლად განკუთვნილ სათავსოში — განსაკუთრებით მომზადე-

ბულ წევრებს: მეზღვაურებს, ზემდეგებს, მიჩმანებსა და ოფიცერებს, რომლებიც ფლობენ უცხოურ ენას. ისინი ზომალდის დათვალიერების პროცესში აუცილებელ განმარტებებს და დამთვალიერებელთა შეკითხვებზე პასუხებს იძლევიან.

მასობრივი დათვალიერების შემთხვევაში მიზანშეწორილია მოსულთა დაკომპლექტება მცირე ჯგუფებად, მათ გამოვლენად და გამოფენის ექსპონატების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებლად – ეკიპაჟის შემადგენლობიდან საგანგებოდ მომზადებული პირების დანიშვნა.

მარშრუტის ბოლოში, გამოსაჩენ ადგილზე დებენ შთაბეჭდილებათა წიგნს, რომელშიც უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი შთაბეჭდილებების, სურვილებისა და წინადადებების ჩაწერა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამხედრო ზომალდთა დგომის რაიონში, როგორც წესი, იკრიბება უცხოელ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა. მათ შორის ბევრს სურს, რაც შეიძლება ბევრი რამ გაიგოს საქართველოზე, მის ხალხზე. შეკრებილებთან ურთიერთობისათვის გამოყოფენ მეზღვაურთა, ზემდეგთა და ოფიცერთა ჯგუფებს. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მათთვის, ვინც იმყოფება სამხედრო ზომალდთან ახლოს, აწყობენ მხატვრული თვითმოქმედების გამოსვლებს ზომალდზე, აჩვენებენ კინოფილმებს, გადასცემენ პოპულარულ სიმღერებსა და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს. მაგრამ საზომალდო-სატრანსლიაციო ქსელის გამოყენებისას ერიდებიან ადგილობრივი მოსახლეობისათვის რაიმე ცნობის ან განცხადების გადაცემას, რადგან ამაზე მასპინძელი პორტის ხელისუფალთა სპეციალური ნებართვაა საჭირო. არ შეიძლება სატრანსლიაციო ქსელით ბრძანებებისა და განკარგულებების გადაცემა ისე, რომ ისინი ზომალდის ფარგლებს გარეთ ესმოდეთ.

ვიზიტის პროგრამაში, როგორც წესი, ჩართავენ უცხოელ სამხედრო მოსამსახურეთა მოსვლას ზომალდებზე. ყველაზე უფრო ხშირად ასეთ ღონისძიებას ატარებენ ცალ-ცალკე – ოფიცერთა, ზემდეგთა და რიგითთა შემადგენლობის გაცვლითი ვიზიტებით. ეს უზრუნველყოფს სამხედრო ზომალდებზე მასპინძელი ქვეყნის ყველა კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეთა ორგანიზებულ მისვლას.

მასპინძელი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტებს ზომალდებზე იღებენ სხვა უცხოელ სამხედრო მოსამსახურეთაგან განცალკევებით. ამისათვის ზომალდებზე მუშავდება შესაბამისი გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია კურსანტებთან შეხვედრა სპეციალურად შემუშავებული გეგმითა და მარშრუტით — ზომალდის დათვალიერება, მოწყობილობის შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა, ზომალდის შეიარაღება და დანიშნულება, სამახსოვრო ფოტოგადაღება, ერთობლივი მეგობრული სადილი, სუვენირების გაცემა და გაცილება.

სასარგებლო იქნება, თუ უცხოელ კურსანტებს სამხედრო ზომალდების დათვალიერების დროს, შესაძლებლობის ფარგლებში, მოვეუყვებით ზომალდებზე სამსახურის ორგანიზების, მათი დანიშნულებისა და შეიარაღების შესახებ; გავაცნობთ სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, კურსდამთავრებულთა სამსახურის პერსპექტივას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც დაინტერესებენ უცხოეთის ფლოტის მომავალ ოფიცრებს. ამისათვის საჭიროა შესაბამისი წესით დათვალიერების მარშრუტის შედგენა, საჩვენებელი სახომალდო სათავსების, შეიარაღებისა და ტექნიკის განსაზღვრა, უცხოური ენის მცოდნე, მომზადებული კურსანტებისა და ოფიცრების დანიშვნა სტუმართა თანხლებისათვის.

სამხედრო ზომალდებზე მოსახლეობის, სამხედრო მოსამსახურეების, თანამდებობის პირთა სტუმრობისას, ასევე მიღებისას და უცხოელთა სტუმრობასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დროს ზომალდის მთელი შემადგენლობისათვის დადგენილია ტანსაცმლის სააღლუმო-გამოსასვლელი ფორმა.

4. ბავშვების მიღება

სამხედრო ზომალდები, საომარი ტექნიკა და შეიარაღებული ძალების სხვა ატრიბუტები ბავშვების განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იწვევს. მათ ყოველთვის აინტერესებთ ნამდვილ სამხედრო ზომალდზე, მით უმეტეს, უცხოეთის ზომალდზე ყოფნა. ეს წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე და დიდხანს რჩებათ მეხსიერებაში. მცირეწლოვანთა ცნობისმოყვარობის დასაკმაყოფილებლად ვიზიტის პროგრამით გათვა-

ლისწინებულა ხოლმე სამხედრო ზომალდებზე მათი მისვლაც. თანამედროვე სამხედრო ზომალდის სხვადასხვა ტექნიკით აღჭურვილობა და ბავშვებისათვის დამახასიათებელი სიცელქე – განსაკუთრებულ თავისებურებას ანიჭებს ამ ღონისძიებას, ამიტომ ბავშვების მისაღებად განსაკუთრებული გულდასმით ემზადებიან. ასეთი მომზადების ერთ-ერთი საგანგებო ელემენტია მიღების გეგმის შედგენა, რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

- დახვედრა ზომალდის გეგმანზე ან ნაპირზე ტრაპთან;
- ზომალდის მეთაური ან სხვა ორგანიზატორის გამოსვლა მისასალმებელი სიტყვით;
- ოფიცრის ან სხვა პირის მოკლე მონათხრობი ზომალდის ისტორიის, მეზღვაურთა ცხოვრების, სამხედრო-საზღვაო ძალების დანიშნულებათა შესახებ;
- საბავშვო კინოფილმებისა და მულტფილმების ჩვენება;
- მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტი;
- გამასპინძლება წვენებით, ხილით, საკონდიტრო ნაწარმით და ა.შ.;
- სამახსოვრო საჩუქრებისა და სუვენირების გადაცემა;
- სამახსოვრო ფოტოგრაფირება.

მიღების შემდეგ ბავშვების გაცილება (როგორც წესი, ამისათვის ინიშნებიან მეზღვაურები, რომლებიც ბავშვებს გაყვებიან ნაპირამდე).

თითოეულ დაგეგმილ ღონისძიებაზე ინიშნება პასუხისმგებელი პირი.

ცხადია, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მას ცვლიან ან ავსებენ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

მომზადების კიდევ ერთ, მთავარ ელემენტად ითვლება ბავშვების მობრარობის მარშრუტის არჩევა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კერძოდ, ზედა გეგმანზე მარშრუტის ახლოს მდებარე ყველა ლუკსა და ხახას ზურავენ, სადაც ამის შესაძლებლობა არ არის – მახლობლად აყენებენ მეზღვაურებს, რომლებიც უნდა გაუფრთხილდნენ ბავშვებს. ამის გარდა, მეზღვაურებს ანაწილებენ მთელ მარშრუტზე ისე, რომ ბავშვები იყვნენ მათი თვალთახედვის არეში. ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა ზომებიც.

ზომალდის დათვალიერების მარშრუტზე აწყობენ სპეციალურ სტენდებსა და ფოტოვიტრინებს, რომლებზეც ბავშვებისათვის გასაგები ფორმით მოთხრობილია საქართველოზე, განთავსებულია საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა. იმისათვის, რომ გაეცეთ პასუხები წამოჭრილ კითხვებზე და საინტერესო საკითხებზე, ჩვენებისათვის განკუთვნილ თითოეულ შენობაში ინიშნება ეკიპაჟის წევრთაგან ერთ-ერთი, რომელმაც იცის უცხოური ენა.

ბავშვების მიღებისათვის მზადებისას ითვალისწინებენ, რომ შეიძლება მოვიდეს ბავშვების მოსალოდნელზე მეტი რაოდენობა. ამიტომ ზრუნავენ, რომ იყოს სამყოფი სარჩო, სამახსოვრო საჩუქრები და სუვენირები.

სუვენირს არჩევენ შეძლებისდაგვარად ერთნაირს ან შინაარსობრივად ერთგვაროვანს, თუმცა ეს არ ეხება წიგნებსა და სურათებს. მათ არჩევენ ისე, რომ ბავშვები გაეცნონ საკითხების, რაც შეიძლება ფართო წრეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები შეიძლება მოხვდნენ ზომალდზე არა მარტო უშუალოდ მათთვის ორგანიზებულ მიღებაზე, არამედ მშობლებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის მიღებისას. ასეთ შემთხვევაში ზედმეტი არ იქნება პატარა სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა ზომის მიღება.

5. სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა

სამხედრო ზომალდების უცხოეთის პორტში ყოფნისას, საპროტოკოლო ვიზიტების დროს, რომელშიც მონაწილეობენ თანამდებობის პირები, მიღებულია სამახსოვრო სუვენირების გაცვლა. ამას გარდა, მიღებულია სუვენირების გადაცემა ზომალდზე სტუმრად მყოფი, ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ბავშვებისათვის. სუვენირების გაცვლა ტრადიციას.

სამახსოვრო სუვენირები უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს. უმთავრესი არის ის, რომ მისართმევი საგანი არ უნდა შეურაცხყოფდეს ადამიანის ეროვნულ ან რელიგიურ გრძნობას, უნდა იყოს ლამაზი და გემოვნებით გაფორმებული. თანამდებობის პირთათვის გადასაცემ სუვენირებად შეიძლება გამოდგეს ფაიფურზე შესრულებული სამხედრო-საზღ-

ვაო ძალების ემბლემა, ზომალდის მოდელი და ა.შ. მას ან გადასცემენ პირადად, ან აგზავნიან კურიერის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, სუვენირს თან ახლავს სავიზიტო ბარათი.

მოსახლეობისა და ბავშვებისთვის სამახსოვრო სუვენირებად კარგია ხალხური რეწვის ნიმუშები, სამკერდე ნიშნები და სხვა ამგვარი საგნები.

თუ ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია სპორტული შეჯიბრებები საზღვარგარეთის გუნდებთან, მის მონაწილეებს გადასცემენ სამახსოვრო სუვენირებს, ხოლო გუნდებს – პრიზებს. ასეთ პრიზებად უმეტესად იყენებენ სპორტული საზოგადოების ვიმპელებს ან თასს – სამახსოვრო წარწერით.

უცხოეთის ზომალდებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის სახელმძღვანელო დოკუმენტების თანახმად, სამახსოვრო საჩუქრებს ამზადებენ და იძენენ, ვიზიტისათვის ზომალდის მზადების პერიოდში. ასეთი სუვენირების რაოდენობას განსაზღვრავენ ვიზიტის პროგრამის მიხედვით, თან ითვალისწინებენ რეზერვს და გაუთვალისწინებელ შემთხვევებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი ვიზიტების დროს, უცხოელი თანამდებობის პირებიც გადასცემენ სამახსოვრო საჩუქრებს ჩვენი ზომალდების ხელმძღვანელობას. ზშირად, ეს არის ყურადღების ნიშანი საერთოდ სამხედრო-საზღვაო ძალების და არა მისი კონკრეტული წარმომადგენლის მიმართ. ასეთ სუვენირებს გამოფენენ ყველას საჩვენებლად ზომალდის კაიუტკომპანიიში, სამხედრო-საზღვაო ძალების მუზეუმში, ოფიცერთა სახლში ან მეზღვაურთა კლუბში.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი 1.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

„თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
 სახატე მთელი ქვეყანა,
 განათებული მთა-ბარი,
 წილნაყარია ღმერთთანა.
 თავისუფლება დღეს ჩვენი
 მომავალს უმღერს დიდებას,
 ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
 და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
 დიდება თავისუფლებას,
 თავისუფლებას დიდება.

საქართველოს სახელმწიფო ქიზნი

"თაეისუფლება"

მუხიტა ზაქარია ფალიაშვილის
ქიზნი და მუხიტა იოსებ ანდუჯიანის
ლექსი დავით შაღრიანი

Moderato

f

S
A
T
B

f ჩე - ში ხა ტი ა სან -

f ჩე - ში ხა ტი ა სან -

შობ ღო. სა - ხა - ტე შიე - ღო ქაე უა ნა.

შობ ღო. სა - ხა - ტე შიე - ღო ქაე უა ნა.

9

გა ნა თუ ჰუ ლი მთა- ბა რი, წილ - ნა - ყა - რი - ა ღმერთი-

თა - ნა, თა ვი სუფ - ლე - ბა დღეს ჩვე ნი

13

მო მკვალს უმღერს და აგე ბას, ცისკრის ვარსკვლავი ა

მო მკვალს უმღერს და აგე ბას, ცისკრის ვარსკვლავი ა

17

მო - დის ა - მო დის და ორ ზღვის შუ - ა ბრწყინ- აგე ბა. და

მო - დის ა - მო დის და ორ ზღვის შუ - ა ბრწყინ- აგე ბა. და

21
 ღო ღო - ბა თა - ვი - სუფა ღო - ბას, თა - ვი - სუფა ღო - ბას ღო ღო -
 ღო ღო - ბა თა - ვი - სუფა ღო - ბას, თა - ვი - სუფა ღო - ბას ღო ღო -

Musical score for the first system, featuring vocal lines with lyrics and piano accompaniment. The score is in G major and 4/4 time. It consists of six staves: two vocal staves (Soprano and Alto) and four piano accompaniment staves (Right Hand Treble, Left Hand Bass, and two additional staves for texture). The lyrics are in Georgian.

22
 ღო ღო - ბა თა - ვი - სუფა ღო - ბას, თა - ვი - სუფა ღო - ბას ღო ღო -

Musical score for the second system, continuing the vocal lines and piano accompaniment. It consists of six staves: two vocal staves (Soprano and Alto) and four piano accompaniment staves. The lyrics are in Georgian.

დანართი 2.

სალუტების საერთო დებულება

სალუტები არის სადღესასწაულო მისაღმების ფორმა, საზღვაო პატივიმიგება სროლებით ან ზომალდზე დროშის აღმართვით.

ცერემონიალის მიხედვით დღეისათვის განასხვავებენ ეროვნულ სალუტს, პირად სალუტს და სამელოვიარო სალუტს.

ეროვნული სალუტი – საერთაშორისო საზღვაო მისაღმება, რომელსაც იძლევიან სამხედრო ზომალდები უცხო პორტებში ან რეიდზე შესვლისას. ეროვნული სალუტის რაოდენობა განისაზღვრება 21 გასროლით და საპასუხო გასროლაც უნდა შეესაბამებოდეს 21-ს.

სადღესასწაულო სალუტი – ტარდება ეროვნული დღესასწაულების და განსაკუთრებით აღსანიშნავი შემთხვევების დროს. სროლის რაოდენობა განისაზღვრება, როგორც წესი, წინასწარ და ხშირ შემთხვევაში ტარდება 20-ჯერ, მაგრამ შეიძლება 21-ჯერაც, 25-ჯერაც და 30-ჯერაც (გამარჯვების დღის ან რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის აღსანიშნავად).

საერთაშორისო საზღვაო სამართლის მოთხოვნებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, სამთავრობო და საპასუხისმგებლო პირთა პატივსაცემად ტარდება სროლების შემდეგი რიცხვი:

– სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთათვის – 19;

– თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო მინისტრთათვის, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ფლოტის მთავარსარდლისათვის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისათვის – 17;

– ფლოტის სარდლისათვის, იმ პირთათვის, ვისაც ფლოტის ადმირალის წოდება გააჩნია, მარშლებისა და ადმირლებისათვის, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანისთვის – 15;

– ფლოტილიის სარდლისათვის, ზომალდთა შენაერთის სარდლისათვის (წოდებით ვიცე-ადმირალი), სახელმწიფო საქმეებში ნდობით აღჭურვილ პირთათვის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელისათვის – 5;

– ზომალდთა შენაერთის მეთაურს (კონტრადმირალის წოდებით), ქალაქის მერს – 11;

დანართი 3.

ზოგიერთი სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაულები

სახელმწიფო (სრული დასახელება)	თარიღი	ეროვნული დღესასწაულის სახელწოდება და დადგენის წელი
1	2	3
ავსტრალია (ავსტრალიის კავშირი)	26 იანვარი	ავსტრალიის დღე (1788 წ.)
ავსტრია (ავსტრიის რესპუბლიკა)	26 ოქტომბერი	ნეიტრალიტეტის შესახებ კანონის მიღების დღე (1955 წ.)
ავღანეთი (ავღანეთის რესპუბლიკა)	8 აგვისტო	დამოუკიდებლობის დღე (1992 წ.)
აზერბეიჯანი (აზერბეიჯანის რესპუბლიკა)	28 მაისი 18 ოქტომბერი	რესპუბლიკის დღე (1990 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.) რესპუბლიკის დღე (1944 წ.)
ალბანეთი (ალბანეთის რესპუბლიკა)	11 იანვარი	
ალჟირი (ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა)	5 ივლისი 1 ნოემბერი	დამოუკიდებლობის დღე (1962 წ.) რევოლუციის დღე (1954 წ.)
აშშ (ამერიკის შერთებული შტატები)	4 ივლისი	დამოუკიდებლობის დღე (1776 წ.)
ანგოლა (რესპუბლიკა ანგოლა)	11 ნოემბერი	დამოუკიდებლობის დღე (1975 წ.)
ანტიგუა და ბარბუდა არაბეთის გაერთიანებული საემიროები	1 ნოემბერი 2 დეკემბერი	დამოუკიდებლობის დღე (1981 წ.) სახელმწიფოს განათლების დღე (1971 წ.)
არგენტინა (არგენტინის რესპუბლიკა)	9 ივლისი	დამოუკიდებლობის დღე (1816 წ.)
ახალი ზელანდია	6 თებერვალი	ახალი ზელანდიის დღე (1840 წ.)
ბანგლადეში	6 აგვისტო	დამოუკიდებლობის დღე (1971 წ.)
ბარბადოსი	30 ნოემბერი	დამოუკიდებლობის დღე (1971 წ.)

1	2	3
<p>ბაჰამის კუნძულები (ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა) ბაჰარინი ბელგია (ბელგიის სამეფო) ბელარუსი (ბელარუსის რესპუბლიკა) ბელიზი ბენინი (ბენინის რესპუბლიკა) ბოლივია (ბოლივიის რესპუბლიკა) ბოცვანა ((რესპუბლიკა ბოცვანა) ბრაზილია (ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა) ბრუნეი (ბრუნეი დარუსალამის სახელმწიფო) ბულგარეთი (ბულგარეთის რესპუბლიკა) ბურკინა-ფასო გაბონი (გაბონის რესპუბლიკა) გაიანა (გაიანას კოოპერატიული რესპუბლიკა) გამბია (გამბიის რესპუბლიკა) განა (რესპუბლიკა განა) გერმანია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გვატემალა (გვატემალას რესპუბლიკა)</p>	<p>10 ივლისი 16 დეკემბერი 21 ივლისი 3 ივნისი 21 სექტემბერი 30 ნოემბერი 6 აგვისტო 30 სექტემბერი 7 სექტემბერი 23 თებერვალი 22 სექტემბერი 3 იანვარი 17 აგვისტო 23 თებერვალი 18 თებერვალი 6 მარტი 3 სექტემბერი 15 სექტემბერი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1973 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1971 წ.) ეროვნული დღე (1831 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1992 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1921 წ.) ეროვნული დღე (1975 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1825 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1966 წ.) თავისუფლების დღე (1822 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1984 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1908 წ.) რევოლუციის დღე (1961 წ.) თავისუფლების დღე (1960 წ.) რესპუბლიკის დღე (1970 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1965 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1975 წ.) გერმანიის გაერთიანების დღე (1990 წ.) თავისუფლების დღე (1821 წ.)</p>

1	2	3
<p>გვინეა (გვინეის რესპუბლიკა) გვინეა-ბისაუ (გვინეა-ბისაუს რესპუბლიკა) გონდურასი (გონდურასის რესპუბლიკა) დანია (დანის სამეფო)</p> <p>დასავლეთი სამოა</p>	<p>2 ოქტომბერი 24 სექტემბერი 15 სექტემბერი 16 აპრილი 14 მაისი</p>	<p>რესპუბლიკის დღე (1958 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1973 წ.) თავისუფლების დღე (1821 წ.) დედოფლის დაბადების დღე (1940 წ.) თავისუფლების დღე (1962 წ.)</p>
<p>დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო) დომინიკა (დომინიკას რესპუბლიკა) დომინიკა (დომინიკას თანამეგობრობა)</p>	<p>იენისი (ცხად- დება ყოველწ- ლიურად) 3 ნოემბერი 27 თებერვალი</p>	<p>დედოფლის დაბადების დღე (1926 წ.) თავისუფლების დღე (1978 წ.) თავისუფლების დღე (1844 წ.)</p>
<p>ეკვატორული გვინეა (ეკვატორის არაბთა რესპუბლიკა) ეკვატორი (ეკვატორის რესპუბლიკა)</p>	<p>23 ივლისი 10 აგვისტო</p>	<p>რევოლუციის დღე (1952 წ.) დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1809 წ.)</p>
<p>ეკვატორული გვინეა (ეკვა- ტორული გვინეის რესპუბ- ლიკა)</p>	<p>12 ოქტომბერი (ღმრთაწაული შეიძლება გაგრ- ძელდეს 2-3 დღეს)</p>	<p>დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1968 წ.)</p>
<p>ეთიოპია (ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატი- ული რესპუბლიკა)</p>	<p>28 მაისი</p>	<p>სამხედრო რეჟიმის დამხობის დღე (1991 წ.)</p>

1	2	3
<p>ესპანეთი (ესპანეთის სამეფო) ესტონეთი (ესტონეთის რესპუბლიკა) ერითრეია (სახელმწიფო ერითრეია) ვანუატუ (ვანუატუს რესპუბლიკა) ვენესუელა (რესპუბლიკა ვენესუელა) ვიეტნამი (ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა) თურქეთი (თურქეთის რესპუბლიკა) თურქმენეთი (თურქმენეთის რესპუბლიკა)</p>	<p>12 ოქტომბერი 24 თებერვალი 24 მაისი 30 ივლისი 5 ივლისი 30 აპრილი 29 ოქტომბერი 18 მაისი 27-28</p>	<p>ეროვნული დღესასწაული (1492 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1918 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1993 წ.) თავისუფლების დღე (1980 წ.) თავისუფლების დღე (1811 წ.) გამარჯვების დღე (1975 წ.) რესპუბლიკად გამოცხადების დღე (1923 წ.) კონსტიტუციის დღე (1992 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.)</p>
<p>იამაიკა</p>	<p>ოქტომბერი აგვისტოს პირველი ორშაბათი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1962 წ.)</p>
<p>ისრაელი (სახელმწიფო ისრაელი)</p>	<p>17 აპრილი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1948 წ.)</p>
<p>ინდოეთი (ინდოეთის რესპუბლიკა)</p>	<p>26 იანვარი 15 აგვისტო</p>	<p>რესპუბლიკის დღე (1950 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1947 წ.)</p>
<p>ინდონეზია (ინდონეზიის რესპუბლიკა)</p>	<p>17 აგვისტო</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1945 წ.)</p>
<p>იემენი (იემენის რესპუბლიკა)</p>	<p>22 მაისი</p>	<p>ეროვნული დღე (1990 წ.)</p>
<p>იორდანია (იორდანიის ხაშიმიტური სამეფო)</p>	<p>25 მაისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1946 წ.)</p>

1	2	3
<p>კოსტა-რიკა (კოსტა-რიკას რესპუბლიკა) კოტ-დ'ივუარ (კოტ-დ'ივუ- არის რესპუბლიკა) კუბა (რესპუბლიკა კუბა)</p>	<p>15 სექტემბერი 7 დეკემბერი 1 იანვარი 26 ივლისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1821 წ.) თავისუფლების დღე (1960 წ.) თავისუფლების დღე (1959 წ.) ეროვნული დღე (1953 წ.)</p>
<p>კუვეიტი (კუვეიტის სახელმწიფო) კორეა (ჩრდილოეთ კორეა)</p>	<p>25 თებერვალი 16 თებერვალი</p>	<p>ეროვნული დღე (1961 წ.) პრეზიდენტის დაბადების დღე (1995 წ.) „შზის დღე“ (კიმ ირ სენის დაბადების დღე)</p>
<p>ლაოსი (ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა)</p>	<p>15 აპრილი 11 მაისი</p>	<p>კონსტიტუციის დღე (1947 წ.)</p>
<p>ლიხტენშტეინი (ლიხტენშტეინის სათავადო)</p>	<p>15 აგვისტო</p>	<p>პრინც ფრანც-იოსებ II-ის დღე</p>
<p>ლიბანი (ლიბანის რესპუბლიკა)</p>	<p>22 ნოემბერი</p>	<p>თავისუფლების დღე (1943 წ.)</p>
<p>ლიბერია (ლიბერიის რესპუბლიკა)</p>	<p>26 ივლისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1847 წ.)</p>
<p>ლიბია (ლიბიის სოციალისტური სახალხო არაბეთის ჯამახირია)</p>	<p>1 სექტემბერი</p>	<p>რევოლუციის დღე (1969 წ.)</p>
<p>ლიტვა (ლიტვის რესპუბლიკა)</p>	<p>16 თებერვალი 12 მარტი</p>	<p>სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე თავისუფლების დღე (1968 წ.)</p>
<p>მავრიტანია (მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა) მადაგასკარი (მადაგასკა- რის დემოკრატიული რეს- პუბლიკა)</p>	<p>28 ნოემბერი 26 ივნისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1960 წ.) თავისუფლების დღე (1960 წ.)</p>

1	2	3
მაღაზნია	31 აგვისტო	ეროვნული დღე (1957 წ.)
(მაღაზნიის სახელმწიფო)		
მაღდივეთი	26 ივლისი	თავისუფლების დღე (1965 წ.)
(მაღდივეთის რესპუბლიკა)		
მაღტა	31 მარტი	ეროვნული დღე (1979 წ.)
(მაღტის რესპუბლიკა)	3 მარტი	ტახტის დღე (1961 წ.)
მაროკო (მაროკოს სამეფო)	16 სექტემბერი	თავისუფლების დღე (1810 წ.)
მექსიკა (მექსიკის	25 ივნისი	თავისუფლების დღე (1975 წ.)
შვერთებული შტატები)	19 ნოემბერი	ეროვნული დღე
მოზამბიკი (მოზამბიკის	11 ივლისი	რევოლუციის დღე (1921 წ.)
რესპუბლიკა)		
მონაკო (მონაკოს სათავადო)	31 იანვარი	დამოუკიდებლობის დღე (1968 წ.)
მონღოლეთი	1 ოქტომბერი	თავისუფლების დღე (1960 წ.)
(მონღოლეთის რესპუბლიკა)	30 აპრილი	დელოფლის დაბადების დღე
ნაურუ	19 ივლისი	(1909 წ.)
(ნაურუს რესპუბლიკა)	15 სექტემბერი	რევოლუციის გამარჯვების
ნიგერია (ნიგერიის ფედ-	17 მაისი	დღე (1979 წ.)
ერაციული რესპუბლიკა)	3 აგვისტო	დამოუკიდებლობის დღე (1821 წ.)
ნიდერლანდები	11 მაისი	კონსტიტუციის დღე (1814 წ.)
(ნიდერლანდების სამეფო)	18 ნოემბერი	დამოუკიდებლობის დღე
ნიკარაგუა		
(ნიკარაგუას რესპუბლიკა)		
ნორვეგია		
(ნორვეგიის სამეფო)		
ნიგერი		
(ნიგერის რესპუბლიკა)		
ლაოსი (ლაოსის		
სახალხო-დემოკრატიული		
რესპუბლიკა)		
ომანი		
(ომანის სასულთნო)		

1	2	3
<p>ირანი (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ირლანდია (ირლანდიის რესპუბლიკა) იაპონია</p>	<p>11 თებერვალი 17 მარტი 11 თებერვალი 3 მაისი</p>	<p>ისლამური რევოლუციის დღე (1979 წ.) წმინდა პატრიკის დღე იმპერიის დაარსების დღე (660 წ.) კონსტიტუციის დღე (1947 წ.)</p>
<p>ისლანდია (ისლანდიის რესპუბლიკა) იტალია (იტალიის რესპუბლიკა)</p>	<p>17 ივნისი ივნისის პირველი კვირა დღე</p>	<p>რესპუბლიკის დღე (1944 წ.) რესპუბლიკად გამოცხადების დღე (2 ივნისი 1946 წ.)</p>
<p>კაბო-ვერდე (კაბო-ვერდეს რესპუბლიკა) კანადა კატარი</p>	<p>5 ივლისი 1 ივლისი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1975 წ.) კანადის დღე (1867 წ.)</p>
<p>(სახელმწიფო კატარი) კენია (რესპუბლიკა კენია) კვიპროსი (კვიპროსის რესპუბლიკა)</p>	<p>3 სექტემბერი 1 ივლისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1971 წ.) თავისუფლების დღე (1963 წ.)</p>
<p>კირიბატის რესპუბლიკა) კოლუმბია (კოლუმბიის რესპუბლიკა)</p>	<p>1 ოქტომბერი 12 ივლისი 20 ივლისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1960 წ.) თავისუფლების დღე (1979 წ.) თავისუფლების დღე (1810 წ.)</p>
<p>კომორის კუნძულები (კომორების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა) კონგო</p>	<p>6 ივლისი</p>	<p>თავისუფლების დღე (1975 წ.)</p>
<p>(კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა)</p>	<p>31 ივლისი</p>	<p>რევოლუციის დღე (1963 წ.)</p>

1	2	3
<p>პაკისტანი (პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა) პანამა (პანამას რესპუბლიკა) პარაგვაი პაპუა-ახალი გვინეა პერუ (პერუს რესპუბლიკა) პოლონეთი (პოლონეთის რესპუბლიკა)</p> <p>პორტუგალია (პორტუგალიის რესპუბ- ლიკა) რუსეთი (რუსეთის ფედერაცია) საბერძნეთი (საბერძნეთის რესპუბლიკა) სალვადორი (ელ-სალვა- დორის რესპუბლიკა) სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა სან-ტომი და პრინსიპი (სან- ტომის და პრინსიპის დემოკ- რატიული რესპუბლიკა)</p> <p>საუდის არაბეთი (საუდის არაბეთის სამეფო)</p> <p>საფრანგეთი (საფრანგეთის რესპუბლიკა)</p>	<p>23 მარტი</p> <p>3 ნოემბერი 14 მაისი 16 სექტემბერი</p> <p>28 ივლისი</p> <p>3 მაისი 11 ნოემბერი</p> <p>10 ივნისი</p> <p>12 ივნისი</p> <p>25 მარტი</p> <p>15 სექტემბერი</p> <p>31 მაისი</p> <p>12 ივლისი</p> <p>23 სექტემბერი</p> <p>14 ივლისი</p>	<p>პაკისტანის დღე (1956 წ.)</p> <p>დამოუკიდებლობის დღე (1903 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1811 წ.) ეროვნული დღე (1975 წ.)</p> <p>დამოუკიდებლობის დღე (1821 წ.)</p> <p>კონსტიტუციის დღე (1791 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1919 წ.)</p> <p>პორტუგალიის დღე (1580 წ.)</p> <p>რუსეთის დღე (1994 წ.)</p> <p>თავისუფლების დღე (1821 წ.)</p> <p>დამოუკიდებლობის დღე (1821 წ.)</p> <p>რესპუბლიკად გამოცხადების დღე (1961 წ.)</p> <p>დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1975 წ.)</p> <p>სამეფოდ გამოცხადების დღე (1932 წ.)</p> <p>ბასტილიის აღების დღე (1789 წ.)</p>

1	2	3
<p>საქართველო (საქართველოს რესპუბლიკა) სეიშელის კუნძულები (სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა) სენეგალი (სენეგალის რესპუბლიკა) სენტ-ვინსენტი და გრენადინები სან-მარინო (სან-მარინოს რესპუბლიკა)</p>	<p>26 მაისი 5 ივნისი 20 აგვისტო 27 ოქტომბერი 3 სექტემბერი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1990 წ.) განთავისუფლების დღე (1977 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1977 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1979 წ.) რესპუბლიკის დაარსების დღე (301 წ.)</p>
<p>სენტ-ლუსია სინგაპური (სინგაპურის რესპუბლიკა) სირია (სირიის არაბთა რესპუბლიკა)</p>	<p>13 დეკემბერი 9 აგვისტო 8 მარტი 17 აპრილი</p>	<p>ეროვნული დღე (1965 წ.) რესპუბლიკის ეროვნული დღე (1965 წ.) რევოლუციის დღე (1963 წ.) უცხო ქვეყნის ჯარების ევაკუაციის დღე (1946 წ.)</p>
<p>სლოვენია (სლოვენიის რესპუბლიკა) სოლომონის კუნძულები სომალი (სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა) სომხეთი (სომხეთის რესპუბლიკა)</p>	<p>8 თებერვალი 7 ივლისი 21 ოქტომბერი 21 სექტემბერი 28 მაისი</p>	<p>პრემერის დღე (1849 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1978 წ.) რევოლუციის დღე (1969 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.) პირველი რესპუბლიკის დღე (1918 წ.)</p>
<p>სუდანი (სუდანის რესპუბლიკა)</p>	<p>1 იანვარი</p>	<p>დამოუკიდებლობის დღე (1956 წ.)</p>

1	2	3
სურინამი (სურინამის რესპუბლიკა)	25 თებერვალი	განთავისუფლების და განახლების დღე (1980 წ.)
სიერა-ლეონე (სიერა-ლეონეს რესპუბლი- კა)	25 ნოემბერი	დამოუკიდებლობის დღე (1977 წ.)
ტაილანდი (ტაილანდის სამეფო)	19 აპრილი	რესპუბლიკის დღე (1971 წ.)
ტანზანია (ტანზანიის გაერ- თიანებული რესპუბლიკა)	ნაპრილი 10 დეკემბერი	სამეფო ღინასტიის დაარსების დღე კონსტიტუციის დღე (1973 წ.)
ტოგო (ტოგოს რესპუბლიკა)	26 აპრილი 9 დეკემბერი	გაერთიანების დღე (1964 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1961 წ.)
ტონგა (ტონგას სამეფო)	27 აპრილი	დამოუკიდებლობის დღე (1960 წ.)
ტრინიდადი და ტობაგო (ტრინიდადის და ტობაგოს რესპუბლიკა)	4 ივნისი	დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1970 წ.)
ტუვალუ ტუნისი (ტუნისის რესპუბლიკა)	31 აგვისტო 1 ოქტომბერი	დამოუკიდებლობის დღე (1962 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1978 წ.)
ტუნისი უზბეკეთი (უზბეკეთის რესპუბლიკა)	1 ივნისი	გამარჯვების დღე (1955 წ.)
უკრაინა (უკრაინის რესპუბლიკა)	30 ივნისი	სუვერენიტეტის დღე (1991 წ.)
ურუგვაი (აღმოსავლეთ ურუგვაის რესპუბლიკა)	24 აგვისტო	დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.)
ფილიპინები (ფილიპინე- ბის რესპუბლიკა)	25 აგვისტო	დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1825 წ.)
	12 ივნისი	დამოუკიდებლობის დღე (1989 წ.)

1	2	3
ფინეთი (ფინეთის რესპუბლიკა)	6 დეკემბერი	დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1917 წ.)
ფიჯი (ფიჯის რესპუბლიკა)	24 ივლისი	კონსტიტუციის დღე (1970 წ.)
ყაზახეთი (ყაზახეთის რესპუბლიკა)	25 ოქტომბერი 16 დეკემბერი	რესპუბლიკის დღე (1990 წ.) დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.)
ყირგიზეთი (ყირგიზეთის რესპუბლიკა)	31 აგვისტო 5 მაისი	დამოუკიდებლობის დღე (1991 წ.) კონსტიტუციის დღე (1995 წ.)
შვეცია (შვეციის სამეფო)	30 აპრილი	მეფის დაბადების დღე (1946 წ.)
შრილანკა (შრილანკას დე- მოკრატიული რესპუბლიკა)	4 თებერვალი	დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1809 წ.)
ჩინეთი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა)	1 ოქტომბერი	სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1949 წ.)
ჯიბუტი (რესპუბლიკა ჯიბუტი)	27 ივნისი	თავისუფლების დღე (1977 წ.)
ჰაიტი (ჰაიტის რესპუბლიკა)	1 იანვარი	თავისუფლების დღე (1804 წ.)

დანართი 4.

ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ალიანსის
 NATO-ს (North Atlantic Treaty Organization)
 წევრი ქვეყნები (26 ქვეყანა)

კონტინენტი	სახელმწიფო	სახელმწიფოს სრული დასახელება
ევროპა	ბელგია	ბელგიის სამეფო
	ბულგარეთი	ბულგარეთის რესპუბლიკა
	გერმანია	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
	დიდი ბრიტანეთი	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდი- ლოეთ ირლანდიის შეერთე- ბული სამეფო
	დანია	დანის სამეფო
	ესპანეთი	ესპანეთის სამეფო
	ესტონეთი	ესტონეთის რესპუბლიკა
	ისლანდია	ისლანდიის რესპუბლიკა
	იტალია	იტალიის რესპუბლიკა
ლატვია	ლატვიის რესპუბლიკა	

დანართი 4.
(გაგრძელება)

კონტინენტი	კონტინენტი	სახელმწიფოს სრული დასახელება
	<p>ლიტვა</p> <p>ლუქსემბურგი</p> <p>ნიდერლანდები</p> <p>ნორვეგია</p> <p>პოლონეთი</p> <p>პორტუგალია</p> <p>რუმინეთი</p> <p>საბერძნეთი</p> <p>სლოვაკეთი</p> <p>სლოვენია</p> <p>უნგრეთი</p> <p>ჩეხეთი</p>	<p>ლიტვის რესპუბლიკა</p> <p>ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო</p> <p>ნიდერლანდების სამეფო</p> <p>ნორვეგიის სამეფო</p> <p>პოლონეთის რესპუბლიკა</p> <p>პორტუგალიის რესპუბლიკა</p> <p>რუმინეთი</p> <p>საბერძნეთის რესპუბლიკა</p> <p>სლოვაკეთის რესპუბლიკა</p> <p>სლოვენიის რესპუბლიკა</p> <p>უნგრეთის რესპუბლიკა</p> <p>ჩეხეთის რესპუბლიკა</p>

დანართი 4.
(დასასრული)

კონტინენტი	კონტინენტი	სახელმწიფოს სრული დასახელება
<p>აზია</p> <p>ჩრდილოეთ ამერიკა</p>	<p>თურქეთი</p> <p>აშშ</p> <p>კანადა</p>	<p>თურქეთის რესპუბლიკა</p> <p>ამერიკის შეერთებული შტატები</p> <p>კანადა</p>

დანართი 5.

მოსაწვევების, წერილებისა და ლოკუმენტების ფორმები

უცხო პორტში შესასვლელად გაგზავნილი რადიოგრამის ნიმუშები
 უცხო პორტში შესასვლელად და ლოცმანის გამოსაგზავნად რადიოგ-
 რამის ტექსტის მაგალითი:

ადენი, პორტის კომენდანტს

საქართველოს სამხედრო ზომალდი „კოლხეთი“

მიახლოებით დრო 11.30 სთ. 20 მაისი გრინვიჩის საშუალო დრო-
 ით. გთხოვთ გამომიგზავნოთ ლოცმანი და ერთი (ორი) ბუქსირი, მოსად-
 გომად.

მეთაური

**HARBOUR MASTER
 SOVIET DESTROYER GNEVNIY
 ETA 16.00 25 12 GMT PLEASE ORDER PILOT AND ONE
 (TWO) TUG (S) FDR MORNING**

COMMANDING OFFICER

შენიშვნა: 1. რადიოგრამის ტექსტში ასოები **ETA** ნიშნავს შემოსე-
 ლის მიახლოებით დროს, ხოლო ასოები **GMT** – გრინვიჩის საშუალო
 დროს.

2. სამხედრო ზომალდის მეთაური რადიოგრამას აწერს შემდეგ
 სიტყვებს – **COMMANDING OFFICER**, დამხმარე გემის მეთაური –
 სიტყვას – **MASTER**.

იძულებით შესვლაზე რადიოგრამის ტექსტის ნიმუში:

სტამბული, პორტის მეთაურს (კომენდანტს)

იძულებული ვარ შემოვიდე თქვენს პორტში ამინდის პირობების გამო
 (ძლიერი ქარიშხალი, მანქანის მწყობრიდან გამოსვლა, საწვავის უქონ-
 ლობა, ვისიმე ავადმყოფობა).

სამხედრო ზომალდი „კოლხეთი“.

**ISTANBUL, CAPTAIN OF PORT
FORCED TO TAKE REFUGE IN YOUR PORT BECAUSE
OF WEATHER CONDITIONS (HEAVY SEA, DAMAGE OF
ENCINES, SHORTAGE OF FUEL, A CASE OF ILLNESS ON
BOARD)**

GEORGIEN DISTROYER GNEVNIY

ნიშენა: რადიოგრამის ტექსტში აღინიშნება მხოლოდ ის მიზეზი, რომლის გამოც ფაქტიურად მოხდა იძულებით შესვლა პორტში.

სამადლობელი წერილების ნიმუშები:

უფროს საზღვაო მეთაურს მადლობა მიღებისათვის, რომელიც გაუწია საქართველოს სამხედრო ზომალდის პირად შემადგენლობას.

(პორტის, ქალაქის დასახელება)

(რიცხვი, თვე, წელი)

ბატონო ადმირალო!

მადლობელი ვარ თანადგომისა და გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ საქართველოს სამხედრო ზომალდის (ზომალდების) პირად შემადგენლობას ქ. _____ -ის პორტში ყოფნისას

(მეკავშირე ოფიცრის წოდება და გვარი)

რომელიც თქვენ დანიშნეთ კავშირის ოფიცრად, გააკეთა ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა უზრუნველყო ზომალდების ყოფნა პორტში.

პორტის ხელისუფალთა და სხვა ოფიციალურ პირთა მხრიდანაც არ მოგვეკლებია ყურადღება.

ესარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ მერწმუნოთ თქვენდამი დიდ პატივისცემაში.

(თანაზღვაობა, წოდება, გვარი)

ვიცეადმირალს _____

(გვარი)

უფროს საზღვაო მეთაურს _____

ზომალდი _____

(სახელწოდება)

პორტი _____

(სახელწოდება)

მადლობა უფროს საზღვაო მეთაურს საქართველოს სახელმწიფოებრივ დღესასწაულში უცხო ქვეყნების სამხედრო ზომალდების მონაწილეობისათვის:

(პორტის, ქალაქის დასახელება)

(რიცხვი, ოვე, წელი)

პატივცემულო ადმირალო!

გამოვხატავ მადლიერებას თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი ზომალდების მონაწილეობისათვის გამარჯვების დღესასწაულში.

პატივისცემით _____

(თანამდებობა, წოდება, გვარი)

კონტრადმირალს _____

(გვარი)

უფროს საზღვაო მეთაურს _____

ზომალდი _____

(სახელწოდება)

პორტი _____

(სახელწოდება)

დანართი 6.

ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული სამზარეულოს თავისებურებანი

ინგლისური სამზარეულო (გავრცელებულია ასევე კანადასა და აშშ-ში) ხასიათდება ნატურალური, როგორც წესი, ოდნავ უმაღლარჩინილი ხორცეულის კერძების მრავალფეროვნებით. მასში ფართოდ გამოიყენება მრავალრიცხოვანი საუზმეები, განსაკუთრებით თევზეული, ასევე სხვადასხვა სახის სენდვიჩები და კანაპეები.

პირველი (წვნიანი) კერძების მენიუში უპირატესობა ენიჭება წვრილად დაჭრილ ხორციან წვნიანებსა და ბულიონებს, რომელიც იჭმევა ჩანგლისა და დანის გარეშე. მეორე (მშრალი) კერძების მენიუში შედის ბიფშტექსები, როსტბიფები, ლანგეტები, საქონლის, ხბოს, ცხერის, ღორის მჭლე დაბეგვილი ხორცი, ასევე მოხარშული ან შემწვარი ფრინველი, თევზი და კვერცხი. გარნირებად ხორციან კერძებთან გამოიყენება: ბოსტნეული, შემწვარი კარტოფილი, სიმინდი ნაღებთან ერთად და სხვა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ხილი, ხილკენკროვანი პიურები ნაღებთან ერთად, ნაყინი.

ბევრ ინგლისელს არ უყვარს წითელი ხიზილალა და ლაბასხმული თევზი, არ ჭამს ძეხვს, სოსისებსა და ბურღულეულის გარნირს.

ინგლისური სამზარეულოს კერძების მენიუში შედგენისას შეაქვთ:

– ცივი საუზმე – შპროტი ლიმონით, სალათი, შებოლილი ან მოხარშული ზუთხი გარნირით, ბოსტნეულის სალათები, კიბორჩხალები ან გარეული ფრინველის ხორცი, შემწვარი ქათამი, ხორცეულის ასორტი.

– წვნიანი კერძები – ხორცისა და ქათმის ბულიონები ღვეზელით, გახუხული პურით, კვერცხით ან ქათმით, წვნიანი – პიურე ყვავილოვანი კომბოსტოთი, პამიდვრით, ქათმით ან გარეული ფრინველის ხორცით, შენელებული წვნიანები – ბორშჩები, მჟავე წვნიანები, ხორცისა და თევზის სოლიანკები, ატრიის წვნიანი ქათმით და ა.შ.

– მეორე (მშრალი) კერძები – შემწვარი ზუთხი გარნირით, ბიფშტექსი, ფილე, ლანგეტი, როსტბიფი, შემწვარი ქათამი ან ინდაური სალათით, კატლეტი კივეურად, ყვავილოვანი კომბოსტო ორცხობილი-

ან-ცხიმიანი საწებელით, ერბო-კვერცხი ხახვით, კარტოფილით, ლორით ან კარტოფილი „მუნდირში“ კარაქით და სხვ.

– დესერტი – კომპოტი კონსერვირებული ხილისა და კენკრისაგან. ხილკენკროვანი პიურეები ათქვეფილ ნაღებთან ერთად, ახალი ხილი და ყურძენი, ნაყინი პლომბირი მარწყვით ან მურაბითა და ნამცხვრით, ხილის ყელე, მუსი და სხვ.

ინგლისში სადილთან მოაქვთ გახუხული თეთრი პური.

ბულგარული სამზარეულო სხვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მასში შედის დიდი რაოდენობით ბოსტნეულის კერძები და გარნირები ახალი და დამჟავებული ბოსტნეულისაგან, აგრეთვე ცხვრის ხორცისაგან დამზადებული კერძები. ბულგარეთში უყვართ საჭმლის შეზავება სხვადასხვა სუნელ-სანელებლებით, ამიტომ მაგიდასთან მოაქვთ ძმარი, ცხარე ტომატ-საწებლები, შავი და წითელი წიწაკა. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ჭამს შავ პურს, რძის წვნიანებს, ბორშჩებს, ბურახის ბურღულეულ კერძებს, ხორცის ფარშისაგან დამზადებულ კერძებს, აგრეთვე, მაისის დასაწყისიდან – ძველ კარტოფილს. თუ არ არის ახალი კარტოფილი, მას ცვლიან ბოსტნეულით, ბრინჯით ან მაკარონით. საერთოდ, ბულგარული სამზარეულო ჰგავს სომხურს.

ბულგარული სამზარეულოს კერძების მენიუს შედგენისას მასში შეაქვთ ცივი საუზმე – კარაქი, ყველი, ცოცხალი ბოსტნეულის სალათები, ფარშირებული წიწაკა, თევზი მჟავესთან ერთად, შემწვარი ქათამი სალათით და სხვა.

პირველი (წვნიანი) კერძები – ქათმის ბულიონი კვერცხის გულით, ხბოს ხორცის წვნიანი ბოსტნეულით, ხარჩო, გახეხილი ხორცის ან ბოსტნეულის წვნიანები.

მეორე (მშრალი) კერძები – შემწვარი ხბოს ან ლორის ხორცი კომბოსტოთი, ლორის კატლეტები, ლულა-ქაბაბი, ცხვრის მწვადი ან რაგუ, ტოლმა, ფარშირებული პამიდვრები ან ბაყაყები; ცალკე ხორციან კერძებთან მოაქვთ მწვანე ან კიტრისა და პამიდვრის სალათი.

დესერტი – ახალი ან კონსერვირებული ხილი და კენკრა, ნაყინი, ტორტები, ნამცხვრები. დესერტის შემდეგ მოაქვთ შავი ყავა თურქულად.

უნგრული სამზარეულო – შეიცავს მრავალრიცხოვან ცხარე კერძს, რომელთა შემადგენლობაში შედის დიდი რაოდენობით ხახვი, წითელი და შავი წიწკა. ამასთან ერთად, მაგიდაზე აუცილებლად მოაქვთ მღოვი, ძმარი, შავი და წითელი წიწკა, სხვადასხვა ცხარე საწებლები.

კერძის მომზადებისას ხშირად იყენებენ არაჟანს, ხოლო ცხელხორციან კერძებს ამზადებენ მხოლოდ ღორის ქონზე. მათთან ერთად, როგორც წესი, მოაქვთ დამჟავებელი ბოსტნეულის სალათა, რადგან ცოცხალი ბოსტნეულის სალათა უნგრელებს მაინცდამაინც არ უყვართ.

უნგრელები უპირატესობას ანიჭებენ ნატურალური ხორცისაგან – ღორის, ძროხის, ხბოს, ბატკნის, გარეული ფრინველის და ცხოველისაგან დამზადებულ კერძებს. თევზეულს ჭამენ ძირითადად მტკნარი წყლისას, ძირითადად უფხოს (ფარგას, ცქერინს და სხვ.), არ უყვართ წითელი ხიზილალა, ქარხალა, ქაშაყი, წიწბურას ფაფა და კისელი, არ ჭამენ დაკეპილი ხორცისაგან დამზადებულ კერძებს და ცხვრის ხორცს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თევზის წვნიანი, დამზადებული თევზის არანაკლებ სამი სახეობისაგან და შეზავებული დიდი რაოდენობით ტომატითა და წითელი წიწკით; უნგრული „პაპრიკაში“ (ხორციანი კერძი დიდი რაოდენობის წიწკით), დაკონსერვებული კომპოტები, ხილი, ნაყინი, ნამცხვრები და ძალიან მაგარი ყავა – მომზადებული თურქული წესით.

ჩამოთვლილი კერძების გარდა უნგრული სამზარეულოში შედის:

– ცივი საუზმე – ყველი, კარაქი, ლაბასხმული ან თევზი მარინაღში, სარდინი, ღორი გარნირით, შემწვარი გოჭი, ხორცის ასორტი, მოხარშული ან შებოლილი ძეხვი,

– პირველი (წვნიანი) კერძები – გახეხილი ბოსტნეულის ბულიონი ღვეზელით, ქათმის წვნიანები, წვნიანები გუფთით და სხვ.

– მეორე (მშრალი) კერძები – ერბო-კვერცხი, შემწვარი და მოხარშული თევზი; შემწვარი ღორის, ქათმის ხორცი, ჩახოხბილი, გულიაში, ბიფსტროგანოვი; გარნირად მოაქვთ შემწვარი კარტოფილი, მოთუშული კომბოსტო და სხვა ბოსტნეული – ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი.

– დესერტი – ახალი და მოთუშული ხილი, კომპოტები, ტორტები, ნამცხვრები და ა.შ. დესერტის შემდეგ აუცილებლად მოაქვთ შავი ყავა.

რადგანაც უნგრელები ჭამის დროს, ჩვეულებრივ, იღებენ ბევრ სითხეს, მაგიდაზე დგამენ ჭურჭელს — წყლითა და ყინულით.

აღმოსავლურ-აზიური სამზარეულო სხვებისაგან გამოირჩევა კერძების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. უფრო მეტად გამოიყენება ისეთი პროდუქტი, როგორც არის ბრინჯი, ხორცი (ლორის, საქონლის, ფრინველის), ცოცხალი და დაკონსერვებული ბოსტნეული, პარკოსნები, კვერცხი და თევზი.

აღმოსავლურ-აზიურ ქვეყნებში არ ჭამენ უმად დამარილებულ თევზის ნაწარმს (ზუთხს, ორაგულს, ქაშაყს, ხიზილალას), ერბოს, მარგარინს, ყველს, არ უყვართ ბულიონი და პიურეს მავარი წვნიანები, საჭმელში იშვიათად ხმარობენ რძის პროდუქტებსა და კარაქს. კორეელების უმრავლესობას არ უყვარს ხაჭოკვერა, ხაჭო, მაწონი, არაჟანი, კარტოფილისაგან დამზადებული კერძები; თითქმის არ ჭამენ ქაშაყს, ორაგულს, შებობილ ზუთხს, სალათს, ხიზილალას, შპროტს. კორეაში პოპულარობით არ სარგებლობს ძეხვეული, ლორი, შავი პური, ჩაი ლიმონით, ყავა, კაკაო, საკონდიტრო ნაწარმი, მინერალური წყლები, აგრეთვე არაჟნიანი საწებლები, ბულიონები.

აღმოსავლეთ აზიაში საჭმლის მოსამზადებლად ჩვეულებრივ იყენებენ მცენარეულ ზეთს (სოიოს, შირბახტის და სხვ.) და ლორის ქონს. ბოსტნეულის კერძებს კმაზავენ ზეთით, ხაზვითა და ცხარე წიწაკით. ფართოდ იყენებენ საწებლებს, წიწაკას, ნიორს, ხახვს, დარიჩინს, მიხაკს, კოჭას. დაფნის ფოთოლს არც ერთ კერძში არ იყენებენ. მაგიდასთან მოაქვთ ბევრი თეთრი პური, მჟავე კიტრი, პამიდვრები, სხვადასხვა სახის მჟავეული და ცივი წყალი.

აღმოსავლურ-აზიური სამზარეულოს კერძებისაგან მენიუს შედგენისას მასში ჩვეულებრივ ჩაირთვება:

— ცივი საუზმე — ბოსტნეულის სალათები, სალათები სოკოთი, კომბოსტოთი; სალათა მჟავე კომბოსტოთი, ცოცხალი პამიდვრებით, კიტრით (მათ კმაზავენ სოიოს ზეთით); ვინეგრეტები, კიბორჩხალა ან მისგან დამზადებული სალათები, ლორი ბოსტნეულის გარნირით, ძეხვები, მარინადაში ჩადებული ან დამწნილებული ბოსტნეული, ხორცის ასორტი, ბუყენინა და სხვა.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ბოსტნეულის წვნიანები, ბორში, შჩი, ატრიის წვნიანი ქათმით ან სოკოთი, ხორცის ან თევზის ჩახოხბილი, წვნიანი ლობიოთი და სხვ.

– მეორე (მშრალი) კერძები – შემწვარი ფარგა, შემწვარი ფილე მწვანე მუხუდოთი, შემწვარი წიწილა, ქათამი, იხვი ბოსტნეულის გარნირით, ღორის მწვადები ბრინჯით, შემწვარი ღორის ხორცი კომბოსტოთი, პელმენები (ფარშს უმატებენ კომბოსტოს), კატლეტები, გუფთები ბრინჯით, შებრაწული კარტოფილი გულ-ღვიძლით, თირკმელები რუსულად, ღორის გულაში, ჩახოხბილი, ბიფსტროგანოვი, ბოსტნეულის რაგუ, ბოსტნეულის სოლიანკა, ლობიო ტომატში და სხვა. ბრინჯისა და ბოსტნეულის გარდა გარნირად ხმარობენ ვერმიშელსა და მაკარონს.

– დესერტი – ცოცხალი და დაკონსერვებული ხილი, საზამთრო, ნაყინი, კომპოტები.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მწვანე და შავი ჩაი, რომელთან ერთად მოაქვთ ნატეხი შაქარი, კანფეტები და ნამცხვარი.

ინდური სამზარეულო ძალზე მრავალფეროვანია და შეიცავს ამ ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში დასახლებულ მრავალრიცხოვანი ეროვნებების ნაციონალურ სამზარეულოთა თავისებურებებს. მათი კვების ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა რელიგიათა გავრცელება და რელიგიური ხასიათის აკრძალვები საკვებში ამა თუ იმ პროდუქტის გამოყენებაზე. მაგალითად, ბუდისტებს ეკრძალებათ ძროხის ხორცის, ხოლო მაჰმადიანებს ღორის ხორცის ჭამა.

ინდუსების უმრავლესობა ვეგეტარიანელია. მათი საკვები შედგება ძირითადად – ბრინჯის, ბოსტნეულის, რძის, რძის პროდუქტებისა და კვერცხისაგან. არის დიდი რაოდენობა ე.წ. მკაცრი ვეგეტარიანელებისაც, რომელთა რაციონიდან საერთოდ ამოღებულია ცხოველური პროდუქტები. ზღვისპირა რაიონების მცხოვრებთა რაციონში ჭარბობს თევზი.

ინდური სამზარეულოს კერძები ძირითადად ცხარე და სანელებლიანია. მათ ამზადებენ მრავალფეროვანი საწებლებისა და სანელებლების გამოყენებით, რომელთა შემადგენლობაში შედის წითელი და შავი წიწაკა, ჯაზვი, კოჭა, კვლიავი, მიხაკი, პიტნა, კამა, ანისული, ნიორი, ხახვი, ნი-

გოზი, ნუში, მაიორანი, ზაფრანა და სხვა. საჭმლის მოსამზადებლად უმეტესად იყენებენ ზეთს და იშვიათად — ძროხის ქონს.

ინდოეთში და სამხრეთ აზიის სხვა ქვეყნებში უყვართ ცხელი, მაგარი ჩაი და ტკბილეულობა. ჩაის, როგორც წესი, სუამენ ცხელ რძესთან ერთად, რომელიც მოაქვთ ცალკე, სარძევით. ყვაც ასევე სარგებლობს პოპულარობით. მას ამზადებენ აღმოსავლურად — რამდენიმე წვეთი ვარდის ესენციის დამატებით.

ინდური სამზარეულოს კერძებისაგან მენიუს შედგენისას მასში შეაქვთ:

— ცივი საუზმე — კარტოფილის, სოკოების, კომბოსტოს, ცოცხალი ბოსტნეულის (კიტრი, მწვანე ხახვი და სხვ.) სალათები, ფარშირებული წიწაკა, ბადრიჯნის ან ყაბაყის ხიზილალა, ლობიო ნიგვზის წვენში და მისთ.

— პირველი (წვნიანი) კერძები — ბრინჯის წვნიანი ხახვით, ბოსტნეულის ან კარტოფილის წვნიანები (ბოსტნეულის ან სოკოს ნახარშზე დამზადებული) არაყნით (ის მოაქვთ ცალკე), სოკოს ატრია, პიურე-წვნიანები დამზადებული სხვადასხვა ბოსტნეულისაგან, მუხუდოსაგან, ისპანახისაგან, ასევე ხილის ტკბილი წვნიანები ბრინჯით.

მეორე (მშრალი) კერძები — მოხარშული კარტოფილი (მასთან ცალკე მოაქვთ დაჭრილი ხახვი), ზეთში შემწვარი კარტოფილი, კარტოფილის კატლეტები სოკოს საწებლით, სტაფილოს ან კომბოსტოს კატლეტები, კომბოსტოს შნიცელი, ბოსტნეულის ტოლმა, ბოსტნეულის რაგუ, ბოსტნეულის ფარშირებული პამიდვრები, ყვავილოვანი კომბოსტო ერბოთი, ბრინჯი ქიშმიშით და მისთ.

დესერტი — ცოცხალი ხილი, ნესვი, საზამთრო, ცოცხალი ხილის სალათა, შემწვარი ვაშლი ან კომში ტკბილ საწებელში, ბლინები, მურაბა, ხილის პიურე შაქრის პუდრით, ცოცხალი და დაკონსერვებული ხილის კომპოტები, ბრინჯის შებრაწულა, ტკბილი ღვეზელები, ხილის ყელეები, მუსები და მისთ.

გარდა ამისა, მაგიდასთან მოაქვთ ხილისა და ტომატის წვენები, აგრეთვე შავი და წითელი წიწაკა, ნიორი, ხახვი და ცხარე ტომატიანი საწებლები.

ვეგეტარიანელი ინდუსებისათვის, ჩამოთვლილის გარდა, მოაქვთ რძე, კარაქი, ნაღები, მაწონი, კვერცხი და მისგან დამზადებული კერძები, ხოლო მაჰმადიანი ინდუსებისათვის მენიუს შემადგენლობაში შეაქვთ ცხვრის ხორცისაგან (მწვადი ან შემწვარი ხორცი) ან ფრინველისაგან (ქათმის კატლეტი, შემწვარი ან მოხარშული ქათამი ბრინჯით, ინდაური) დამზადებული კერძები, აგრეთვე რძიანი და კვერცხიანი კერძები.

იტალიური სამზარეულო ხასიათდება ცომეული ნაწარმის – სპაგეტის, ვერმიშელის ფართო გამოყენებით.

განსაკუთრებულ პოპულარულ ეროვნულ კერძად ითვლება მოხარშული სპაგეტი. ყოველი ულუფისათვის (250-300 გრ.) ცალკე მოაქვთ ერბო, გახეხილი ყველი და სხვადასხვა სახის საწებლები – ტომატის საწებელი, ტომატის საწებელი წვრილად დაჭრილი ხორცით და სხვა. ზღვისპირა ქალაქებში გავრცელებულია კერძები, დამზადებული ზღვის პროდუქტებისაგან – კიბორჩხალების, ასთაკის, ლანგუსტების, რვაფეხების, კალმახების, კრევეტების, ზღვის სავარცხელასი და მისთ.

კერძების მომზადებისას, როგორც წესი, იყენებენ მცენარეულ (ზეითუნის ან ზეთისხილის) ზეთს. საჭმელში კარაქს არ ხმარობენ.

მოსახლეობის უმრავლესობას არ უყვარს დაკეპილი ხორცისა და ქონიანი ღორის ხორცისაგან დამზადებული კერძები.

იტალიური სამზარეულოს კერძებისაგან მენიუს შედგენისას მასში შეიძლება ჩაირთოს შემდეგი კერძები:

– ცივი საუზმე – კიბორჩხალა ან მისგან დამზადებული სალათა, სარდინი, მოხარშული ან ლაბასხმული თევზი, თევზი მარინაღში, ღორი, მოხარშული ენა, ზეთისხილი, მოხარშული ან შემწვარი ქათამი და მისთ.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ატრიის წვნიანი ქათმით, ბულიონი სხვადასხვა გარნირებით, ხორცისა და ბოსტნეულის პიურეს მსგავსი წვნიანები.

– მეორე (მშრალი) კერძები – შემწვარი თევზი კარტოფილითა და ბოსტნეულით, ნატურალური ხორცის კერძები – დამზადებული სუკისაგან, შემწვარი ინდაური ან ქათამი, გულიაში ან აზუ მაკარონით, მჭლე ღორის ან ცხვრის შემწვარი ხორცი, ყვავილოვანი კომბოსტო ზეთში; მეორე – მშრალ კერძებთან მოაქვთ მწვანე სალათა;

– ღესურტი – ცოცხალი ხილი და კენკრა, ფინიკი, კომპოტები, ნაყინი, ბისკვიტი-ტორტები ან ნამცხვრები.

ლათინოამერიკული სამზარეულო ხორციანი კერძის მომზადების წესით (ნაკვერჩხალზე შეწვა) ჰგავს კაკასიურს, მაგრამ ახასიათებს თავისებურებებიც. ლათინოამერიკელებისათვის დამახასიათებელია წვნიანი კერძების მცირე რაოდენობით მოხმარება, სამაგიეროდ, დიდი რაოდენობით ხმარობენ ხორცს. მას მოზრდილ ნაჭრებად წვავენ ნაკვერჩხალზე და ჭამენ სადილად და ვახშმადაც. ხორცს წვავენ უფრო ხშირად ბოლომდე ან ნახევრად (სისხლიანი, ცვრიანი), 350–500გ თითო ულუფაზე. დიდი პოპულარობით სარგებლობს ხორცის ძეხვები, რომლებიც წააგავს კუპატს. მასაც წვავენ ნაკვერჩხალზე. ასეთი ძეხვების ფარშს ამზადებენ წვრილად დაჭრილ-დაკეპილი ძროხის ხორცისა და ღორის ქონისაგან. ფარშს უმატებენ ხახვს, წიწაკას და დარიჩინს.

ფართოდ გავრცელებულ კერძებს განეკუთვნება ხორცის ცხელი ასორტები. მათ ამზადებენ შემწვარი თირკმლის (მოლინად), ღვიძლის, საქონლისა და ხბოს ხორცისაგან, ულუფა მიაქვთ არანაკლებ 500 გრამისა. საყვარელ კერძად ითვლება ატრია – ყველით და გულიაშით.

ლათინოამერიკულ სამზარეულოს კერძებში შედის საწებლიანი – მოთუშულ-ხორციანი კერძები. მათი მომზადებისათვის საქონლის ან ღორის ხორცის ნაჭრებს წვავენ, შემდეგ კი თუშავენ ტომატის საწებელში, რომელიც შეზავებულია წიწაკით, წითელი ლობიოთი და შებოლილი ძეხვით.

ხორცთან და თევზთან მეორე (მშრალი) კერძებისათვის გარნირად მოაქვთ სხვადასხვა ბოსტნეული – მწვანე პარკი ლობიო, ყვავილოვანი კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ისპანახი, შემწვარი კარტოფილი, კარტოფილის პიურე, ბრინჯი და სატაცური. გარნირს აზავებენ კარაქით და შესაბამისი ჭურჭლით ცალკე მოაქვთ.

ლათინოამერიკული კერძების მენიუში, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა შეაქვთ შემდეგი კერძები:

– ცივი საუზმე – კარაქი, ყველი, „სალიამის“ ტიპის შებოლილი ძეხვი, ღორი, მწვანე სალათა, ცოცხალი ბოსტნეულის სალათა, მწვანე მუხუნდო, პამიდორი, კიტრი (მოაქვთ მთელ-მთელი), წითელი წიწაკა, წი-

წაკა ნიგეზის წვენში ან ბოსტნეულის ფარშით, კიბორჩხალები, მოხარ-
მული ან შემწვარი ინდაური ან ქათამი, როსტბიფი ბოსტნეულით, გარ-
ნირითა და ზეთისხილით, სალათს კმაზავენ ზეთუნის ზეთით ან სპეცია-
ლური სალათის სუნელით, მაიონეზი ან არაჟანი ამისათვის არ იხმარება.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ბულიონი სხვადასხვა გარნირით,
პიურე წვნიანი, ბორში, ხარჩო.

– მეორე (მშრალი) კერძები – „ტაბაკა“, კიევური კატლეტები,
როსტბიფი, შემწვარი სუკი, ბიფშტექსი, შემწვარი ხბოს ხორცი, ცომში
შემწვარი თევზი, ჩახოხბილი, ფლავი.

– დესერტი – ცოცხალი ხილი და კენკრა, ცოცხალი ხილისაგან
დამზადებული კომპოტები, ნაყინი, პლომბირი, ყელე, მუსი, კრემი, ტკბი-
ლი ღვეზელები, ტორტები, ნამცხვრები, ტკბილი პუდინგები და ყავა ნა-
ყინით.

სადილისა და ვახშმის შემდეგ აუცილებლად მოაქვთ შავი ყავა, რო-
მელიც ლათინოამერიკულ ქვეყნებში ნაციონალურ სასმელად ითვლება.

გერმანული სამზარეულო – განსხვავდება სხვა დასავლეთ-ევროპული
სამზარეულოებისაგან ღორის ხორცისაგან დამზადებული კერძების მრავალფეროვნებით, ასევე, შინაური და გარეული ფრინველის ხორცის უხვი გამოყენებით. ნაკლებად იყენებენ ძროხის, ხბოს ხორცსა და თევზს; თითქმის არ ხმარობენ ცხვრის ხორცს. გარნირად, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ბოსტნეული, უპირატესად კარტოფილი და კომბოსტოს სხვადასხვა სახეობა, უმეტესად – მოხარმული. პირველ (წვნიან) კერძებს ამზადებენ ან პიურესმაგვარი მასის, ან სხვადასხვა გარნირიანი ბულიონის სახით. წვნიანი კერძების მომზადებისას სუნელ-სანელებლები იხმარება ზომიერად.

გერმანულ სამზარეულოში ფართოდ არის წარმოდგენილი ძეხვებისა და სოსისების განსხვავებული სახეები, ასევე მყავე რძის პროდუქტები, იშვიათად – დაკეპილი ხორცის კერძები. დიდი პოპულარობით სარგებლობს სხვადასხვა სახის ბუტერბროდები.

გერმანული სამზარეულოს მენიუში, ჩვეულებრივ, ჩართულია:

– ცივი საუზმე – კარაქი, ყველი, სხვადასხვა სახის ძეხვეული, შპროტი, სარდინი; ბოსტნეულის, ხორცის, თევზის (მაიონეზით შეზავე-

ბული) სალათები, თევზის და ხორცის ასორტი, ლაბასხმული თევზი, ქაშაყი გარნირით, ღორი, ბუჟენინა, მოხარშული ქათამი სალათით, ფარშირებული კვერცხი და სხვა.

– პირველი (წვნიანი) კერძები – პიურესმაგვარი წვნიანები ყვავილოვანი კომბოსტოთი, პამიდვრით, მუხუნდოთი, ქათმის ან გარეული ფრინველის ხორცით, ბულიონი სხვადასხვა ბოსტნეულით, ბურღულეულის გარნირითა და ღვეზელებით, კვერცხით, ერბოკვერცხითა და სხვა.

– მეორე (მშრალი) კერძები – მოხარშული ფარაგა ან ზუთხი კარტოფილითა და ბოსტნეულით, სოსისი კომბოსტოთი (უტომატო), შემწვარი ან მოხარშული ღორის ხორცი ბოსტნეულით, შემწვარი ან მთუშული ძროხის ხორცი, გარეული ფრინველი, ქათამი ან ინდაური, ქათმის კატლეტები, ღორის ხორცის კატლეტები, ერბოკვერცხი, და სხვ.

– დესერტი – კომპოტი, კისელი, ჟელე, მუსი, ნაყინი, ცოცხალი ხილი და საკონდიტრო ნაწარმი.

დესერტის შემდეგ მოაქვთ შავი ყავა, რომელსაც გერმანელები უფრო ხშირად რძიანს სვამენ (რძე მოაქვთ ცალკე ჭურჭლით).

პოლონური სამზარეულო – ბევრი რამით ჰგავს რუსულს. მასში ფართოდ გამოიყენება ხბოს, ძროხის, ღორის, ქათმის, გარეული ფრინველის, თევზის, კვერცხის, ბოსტნეულის და განსაკუთრებით, კარტოფილისაგან დამზადებული კერძები. თითქმის არ ხმარობენ ცხვრის ხორცს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის სალათები (მათ აზავებენ მაიონეზით, არაჟნით, ლიმონის წვენი ან მცენარეული ზეთით), ლაბასხმული თევზი პირმუშხათი, ხორცის ასორტი, ბუჟენინა, მოხარშული ან შემწვარი ქათამი გარნირით, ფარშირებული კვერცხი მაიონეზით და სხვა. ცხელი საუზმის სახით პოლონელებს უყვართ ერბოკვერცხი, ტაფამწვარი, თოხლო კვერცხი, გახუნული პური, პური ღორით ან სოსისით, ხორციანი ღვეზელი და სხვა.

პოლონური სამზარეულოს კერძების მენიუში, გარდა ზემოჩამოთვლილისა ჩაირთვება:

– პირველი (წვნიანი) კერძები – გამჭვირვალე წვნიანები, დამზადებული ქათმის ან ხორცის ბულიონზე, ღვეზელით, გახუნული პურით, კვერტცხით, ქათმით, ბოსტნეულით, ბრინჯის მობრაწულათი და სხვ.

შეკმაზული წვნიანები — ბორში, ხორცის, თევზის ან სოკოს სალიანკა (ჩახოხბილი), წვნიანი ატრიით ან მაკარონით, პიურესმაგვარი წვნიანები, განსაკუთრებით, ჰამიდვრებისა და ყვავილოვანი კომპოსტოთი.

— მეორე (მშრალი) კერძები — შემწვარი ხბოს ან ღორის ხორცი ბოსტნეულის გარნირით, შემწვარი ან მოხარშული ქათამი ან ინდაური გარნირით, მოხარშული ხორცი კარტოფილით, გულიაში, ბიფსტროგანოვი; გულ-ღვიძლისაგან დამზადებული კერძები, მოხარშული ან შემწვარი თევზი კარტოფილით, ღვეზლები და ბლინები ხორცის ან თევზის ფარშით; მეორე (მშრალ) კერძებთან ცალკე მოაქვთ მწვანე, ან კიტრისა და ჰამიდვრის სალათა.

— დესერტი — სქელი კისელები, კომპოტები, ხილის სალათები, ჟელე, მუსები, კრემები, ნაყინი.

პოლონელებს უყვართ რძიანი შავი ყავა. მას სვამენ, როგორც საუზუმის დროს, ისე სადილისა და ვახშმის შემდეგ.

რუმინული სამზარეულო — შეიცავს დიდი რაოდენობით კერძებს, რომლებიც მომზადებულია კარგად შემწვარი ღორისა და საქონლის ხორცისაგან, აგრეთვე ქათმისაგან. გარნირად გამოიყენება მოხარშული, შემწვარი, დამჟავებული და დამარილებული ბოსტნელი.

რუმინელები ძირითადად ჭამენ თეთრ პურს, არ უყვართ კისელი და საწებლები, ცხვრისა და დაკეპილი ხორცისაგან დამზადებული კერძები.

რუმინული სამზარეულოს კერძებისაგან შედგენილ მენიუში შეაქვთ:

— ცივი საუზმე — კარაქი, ყველი, ცოცხალი ბოსტნეულისაგან დამზადებული სალათები, ღორი დაკონსერვებული ბოსტნეულით, ძეხვები, თევზი მარინადში, ხორცის ასორტი, შემწვარი ქათამი და სხვ.

— პირველი (წვნიანი) კერძები — ბულიონი ბრინჯით, მანანის ბურღულით, გუფთით, ატრიის წვნიანი ქათმით; ბორში, ბოსტნეულის წვნიანი და მისთ. — მეორე (მშრალი) კერძები — შემწვარი სუკი, ღორის მწვადი, შემწვარი წიწილა, ქათამი, იხვი, ბატი, მოხარშული ან შემწვარი თევზი, სხვადასხვაგვარი ერბოკვერცხები.

— დესერტი — ცოცხალი და დაკონსერვებული ხილის კომპოტები, ნაყინი, ცოცხალი ხილი, საკონდიტრო ნაწარმი.

სადილის შემდეგ აუცილებლად მოაქვთ შავი ყავა.

სკანდინავიური სამზარეულო — ზოგადვეროპულისაგან გამოირჩევა თევზეულის ფართო გამოყენებით. ფინელებს უყვართ ნატურალური ქაშაყი მოხარშული კარტოფილით, თევზის დელიკატესები, ბლინები არაყნით, წიწბურას ფაფა კარაქით, სოსისები, ჭამენ ახალ პურს.

ყველა სკანდინავიურ ქვეყანაში ცხელ კერძს ჭამენ ერთხელ დღეში სადილობის დროს, რომელიც საკმაოდ გვიან ინიშნება. სხვა შემთხვევაში ჭამენ ბუტერბროდებს და სხვა ცივ საუზმეებს. დანიელები, ნორვეგიელები და ფინელები ბუტერბროდში გულისხმობენ მცირე ზომის პურის ნაჭერს კარაქით, ლორით, ძეხვით, ყველით, ორაგულით, სალათით ან სხვა რომელიმე საუზმით. სკანდინავიელები თვლიან, რომ ეს ძალიან გემრიელია და რაც მთავარია, პრაქტიკულია. დანიაში, ბუტერბროდის 200 სახეობაა, რომელთაგანაც თითოეულს თავისი სახელწოდება აქვს.

სკანდინავიური სამზარეულოს კერძებისაგან მენიუს შედგენისას მასში, ჩვეულებრივ, შედის:

— ცივი საუზმე — ხიზილალა კარაქით, ორაგული, ჩრდილოეთის ორაგული ლიმონით, შპროტი, სარდინი, ქაშაყი გარნირით, ბოსტნეულის სალათები, ფარგა მარინადში, ლაბასხმული ზუთხი, ლორი გარნირით.

— პირველი (წვნიანი) კერძები — თევზის წვნიანი (უხა) კარტოფილით, ბულიონი ღვეზელით, პელმენით ან გუფთით, ბოსტნეულის ან ბურღულეულის გარნირით, ასევე მაკარონის ნაწარმით, შჩი, ბორში, თევზის ან ხორცის „სალიანკა“, ატრიის წვნიანი ქათმით.

— მეორე (მშრალი) კერძები — მოხარშული ან შემწვარი ფარგა, შემწვარი ზუთხი მოსკოვურად, თევზი ცომში, თევზი რძიან საწებელში, ნატურალური ხორცის კერძები — ფილე, ბიფშტექსი, ანტრეკოტი, შემწვარი ღორის ხორცი, შინაური და გარეული ფრინველის სხვადასხვა კერძი; კვერცხი, ყვავილოვანი კომბოსტო კარაქით, ბოსტნეულის რაგუ და სხვ. გარნირად მოაქვთ სხვადასხვა ბოსტნეული, როგორც მოხარშული, ისე შემწვარი.

დესერტი — ცოცხალი ხილი და კენკრა, კომპოტები, ნაყინი, პუდინგი, ყელე, მუსი, შებრაწული ვაშლები ღვინით, ტორტები, ნამცხვრები და ა.შ.

ფრანგული სამხარეულო ხასიათდება, როგორც გამოყენებული პროდუქტების დიდი მრავალფეროვნებით, ისე კერძების მომზადების წესის მრავალფეროვნებით. კულინარული ხელოვნება და ოსტატობა საფრანგეთში ძალიან განვითარებულია. ეროვნულ სამხარეულოში გამოიყენება ხორცის ყველა სახეობა – ხბოს, ძროხის, ცხვრის, ფრინველის, გარეული ფრინველის, შედარებით ნაკლებად – ღორის ხორცი. ხორცისაგან ამზადებენ შემწვარ, მოხარშულ და მოთუშულ საჭმელებს. ფართოდ არის წარმოდგენილი ცოცხალი ბოსტნეულისა და ბურღულეულისაგან დამზადებული კერძები და გარნირები. დიდი მოთხოვნა რძის პროდუქტებსა და მათგან დამზადებულ კერძებზე. ფრანგები დიდ ყურადღებას უთმობენ ტკბილ კერძებს, საწებლებს და საწებლიან კერძებს, რომელთა ასორტიმენტი დიდი და მრავალფეროვანია. განსაკუთრებული ადგილი აქვს სალათებს. მათ ამზადებენ მოხარშული, დაკონსერვებული და ცოცხალი ბოსტნეულისაგან, აგრეთვე ხორცის, ფრინველისა და გარეული ფრინველისაგან.

პირველი (წვნიანი) კერძებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს გამჭვირვალე წვნიანები (კონსომე), წვნიანები ყველანაირი გარნირით; პიურე, წვნიანები და კრემები, დამზადებული ხორცისა და ხორციეული პროდუქტებისაგან, ბოსტნეულისაგან, კიბორჩხალებისაგან, მწვანე მუხუდოსაგან.

მეორე (მშრალი) კერძებად საფრანგეთში მიღებულია მწვანე სალათა, კომბოსტოს ან კიტრის და პამიდვრის სალათა, დესერტის წინ – ყველი.

ფრანგული სამხარეულოს კერძებისაგან შედგენილ მენიუმში, როგორც წესი, ჩართულია:

– ცივი საუზმე – ცივად მოხარშული თევზი ბოსტნეულის გარნირით, ლაბასხმული თევზი მარინადში, ხიზილალა, მოხარშული ან შემწვარი ქათამი, ხორცის ასორტი, ყოველგვარი სალათა და მისთ.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ბულიონი ღვეზელით, პიურესმაგვარი წვნიანები; ფრინველის ხორცისაგან, სხვადასხვა ბოსტნეულისაგან, მწვანე მუხუდოსაგან დამზადებული წვნიანები, აგრეთვე შჩი და ბორში.

– მეორე (მშრალი) კერძები – მოხარშული, შემწვარი, მოთუშული თევზისაგან, ძროხის, ცხვრის, ფრინველის, გარეული ფრინველის, ბოსტნეულისაგან, კვერცხისაგან დამზადებული კერძები.

– დესერტი – ახალი ზილი და კენკრა, ღვეზელები, ყელე, კრემები, მუსი, კომპოტები, ახალი ხილის სალათები, შაქრის პუდინგი, ბლინები მურაბით.

დესერტის შემდეგ მოაქვთ შავი ყავა.

ჩეხური სამზარეულო – შეიცავს ღორის, ხბოს, ძროხის, ქათმის, გარეული ფრინველისა და ბოსტნეულისაგან დამზადებულ მრავალფეროვან კერძებს. ფართოდ გამოიყენება რძის პროდუქტები. ცივი საუზმის მოსამზადებლად ხშირად იყენებენ ნაღებს, მარინადს და მაიონეზს.

ჩეხეთში ბევრს არ უყვარს ცხვრის ხორცისა და დაკეპილი ხორცისაგან დამზადებული საკვები. თევზს ჭამენ იშვიათად, ძირითადად ცივად.

ჩეხური სამზარეულოს კერძებისაგან შედგენილ მენიუში ჩაირთვება:

– ცივი საუზმე – თხლად დაჭრილი მოხარშული ენა და ღორი, ბოსტნეულის სალათა, შეზავებული მაიონეზით ან ნაღებით; ძეხვები, ყველი, ხორცის ასორტი, სხვადასხვა ბუტერბროდი – მაიონეზით გაწყობილი ხორცის, ბოსტნეულის ან თევზის პროდუქტებით.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ბულიონი ღვეზელით ან გუფთებით, წვნიანი პიურე კარტოფილით, მუხულოთი ან ყვავილოვანი კომბოსტოთი, ატრიის წვნიანი ქათმით, წვენები მაკარონის სხვადასხვა ნაწარმით, ცომის გუფთით და მისთ.

– მეორე (მშრალი) კერძები – მოხარშული ან შემწვარი ღორის ხორცი კომბოსტოთი, ღორის ხორცის შნიცელი, შემწვარი ან მოხარშული ხბოს ხორცი არაჟნის საწებლით, შემწვარი ფრინველი, გულიაში, ბიფსტროგანოვი, ტოლმა, სატაკური, ყვავილოვანი კომბოსტო – ორცხობილიან ცხიმთან საწებელში.

ცალკე, მეორე (მშრალ) კერძებთან მოაქვთ ცოცხალი ბოსტნეული, ხოლო დესერტის წინ – ყველი.

დესერტი – ცოცხალი ან დაკონსერვებული ხილის კომპოტები, ცოცხალი ზილი და კენკრა, ტორტები (მოტანის წინ მათ ჭრიან 40-60 გრამიან ულუფებად) ან სხვა საკონდიტრო ნაწარმი ათქვეფილი ნაღებით.

დესერტის შემდეგ მოაქვთ შავი ყავა.

იაპონური სამზარეულო გამოირჩევა ზღვის პროდუქტებისაგან (კიბორჩხალა, კრევეტი, ზღვის კომბოსტო, თევზი) დამზადებული კერძების მრავალფეროვნებით. ფართოდ გამოიყენება ბრინჯი. მას ამზადებენ ორთქლზე. დიდი პოპულარობით სარგებლობს კვერცხი და მისგან დამზადებული კერძები.

ზორცის პროდუქტებიდან კერძებში იყენებენ ძროხის, ღორის და ფრინველის ხორცს.

იაპონელებს უყვართ პირველი (წვნიანი) კერძები – ახალი შჩი, ბორში, შენელებული წვნიანები, ბულიონები, უხა. მათ ჭამენ დღეში სამჯერ მცირე – 250 გრამიანი ულუფებით. ბევრ იაპონელს არ უყვარს მჟავე კომბოსტოიანი შჩი და სალიანკა, არ ჭამენ შავ პურს და არ სვამენ მინერალურ წყალს.

იაპონურ სამზარეულოში გავრცელებულია ფერმენტული საწებლები. ისინი, როგორც სუნელები და კარაქი სუფრასთან ცალკე მოაქვთ.

იაპონური სამზარეულოს კერძების მენიუში ჩართულია:

– ცივი საუზმე – ახალი ბოსტნეულის სალათები მაიონეზით, მოხარშული თევზი გარნირით, თევზი მარინაჟში, მოხარშული ან შემწვარი ქათამი სალათით, როსტბიფი ბოსტნეულით, ენა.

– პირველი (წვნიანი) კერძები – ბულიონი გუფთებით, პელმენებით, ბოსტნეულით, კვერცხით, ომლეტით ან ღვეზელით, წვნიანი – პიურე ყვავილოვანი კომბოსტოსაგან, მწვანე მუხუდოსაგან, პამიდვრისაგან, ქათმის ან კიბორჩხალისაგან, ახალი კომბოსტოს შჩი, გლეხური წვნიანი, ბორში, ატრიის წვნიანი ქათმით, სოკოს ატრიის წვნიანი და სხვა.

– მეორე (მშრალი) კერძები – მოხარშული ან შემწვარი თევზი გარნირით ახალი ბოსტნეულისაგან, ბიფშტეჟსი, ანტრეკოტი, როსტბიფი, ფილე, ნატურალური ლანგეტი ძროხის ხორცისაგან ბოსტნეულის გარნირით, შემწვარი ღორის ან ცხვრის ხორცი ბოსტნეულით და ბრინჯით, ქათმისაგან დამზადებული, ბოსტნეულის რაგუ, ყვავილოვანი კომბოსტო ან მწვანე მუხუდო ზეთით.

დესერტი – ცოცხალი ხილი, კომპოტები, ნაყინი.

დესერტის შემდეგ მოაქვთ ჩაი ან ყავა.

ზოგიერთი მონაცემი უცხოეთში გარდაცვლილთა შესახებ



მეზღვაურთა ერთ-ერთი საამაყო ტრადიციას უცხოეთში გარდაცვლილ თანამემამულეთათვის პატივმიგება, რასაც ისინი საიმოვნებით ასრულებენ უცხოეთში ოფიციალური თუ არაოფიციალური ვიზიტებისას.

როგორც წესი, გარდაცვლილ თანამემამულეთათვის პატივმიგება სამხედრო ზომალდების უცხოეთის პორტებში ოფიციალური ვიზიტის დროს, გათვალისწინებული არის ხოლმე ვიზიტის პროგრამით.

სამშობლოდან ადრე დევნილმა და დღევანდელ პერიოდში იძულებით ლტოლვილმა მრავალმა ქართველმა უცხოეთის ცის ქვეშ კპოვა სამუდამო თავმესაფარი და უკვე ბევრმა მათგანმა სამუდამო განსასვენებელი ადგილი.

წლები გადის. დროთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ლტოლვილის ნეშტი შეემატა საძვალეებს – ცნობები კი მათ შესახებ არ დაბეჭდილა. ვინ მოთვლის იმ თანამემამულეთა საფლავებს, რომელთა შესახებაც არავითარი ცნობები გაგვაჩნია. ქვემოდ მოცემულ სიას, რა თქმა უნდა, საქართველოს გარეთ განსვენებულთა სრული ჩამონათვალის პრეტენზია არა აქვს. ამის მაგალითად საკმარისია, რომ მასში ასახული არ არის უკრაინისა და რუსეთის შავი ზღვის საპორტო ქალაქებში მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ჩვენი ათასობით თანამემამულე, რომელთა განსასვენებლის მოძიება დღემდე გრძელდება.

